বড়বগুন

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ „ᲐᲘᲔᲢᲘ“ 25 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!
ინსტიტუტის 130-ზე მეტი
კურსდამთავრებული ამჟამად ექიმად
მუშაობს ამერიკის წამყვან ჰლინიკებში.
თუ გსურთ თქვენმა ახლობლებმაც
მოიპოვონ უმოკლეს ვადებში
ამერიკის ექიმის ლიცენზია,
ინფორმაციის მისაღებად ჩაეწერეთ
ᲦᲘᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲖᲔ
რომელსაც უნივერსიტეტის
ხელმძღვანელობა ატარებს
დეკიდსონ-რადიოს მისაღებში
10 მაისს, 17 საათზე.
2508 Coney Island Ave, Brooklyn, NY 11223
ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔᲠᲘᲫᲔᲡ
917-379-7141

ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება ბატონ **რამაზ ბოცირიძისა** და ქალბატონ **მარინა სანაძის** უშუალო თანადგომით

5 **სარედაქტორო**
სამშობლო ადამიანებიცაა!

16 **პატრიარქის**
სააღდგომო ეპისტოლე

20 **სიახლეთა პანორამა**
რა ხდება დიასპორაში?

22 **როგორ მირჩევდნენ**
გუბერნატორად

24 **გვახსოვს აფხაზეთი?**
აფხაზი დედის წერილი ქართველ მეომარს

26 **ინტერვიუ**
ქვეყნისთვის მთავარი კარგი ექიმია

28 **„ილუზიონი“ კაბადონებში**
ფელინიანა

34 **ბელურების გადაფრენა**
სარკეებიან დარბაზში

42 **ისტორიული კადრები**
ოჯახური ფოტოალბომიდან

45 **არ მომკვდარა!**
აკაკის გარდაცვალებიდან 100 წელი

49 **ფიქრები**
ემიგრანტობაზე

50 **ხმები და ადამიანები**
გალაკტიონის საყვარელი ფიჭვი

53 **არის!**
ქართული „თონე“ მანჰეტენზე

54 **მსოფლიოს ქართული ბესტსელერი**
პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“

62 **გუჯა**
ბერად აღკვეცის სურვილი

ნოდარ დუმბაძის
დღემდე დაკარგული გამოსვლის ტექსტი აკაკის იუბილეზე

მზესა და გენიოსებს ორი საერთო თვისება აქვთ: ორთავე საოცრად ნათელია და ორთავე სიცოცხლის შემოქმედი. ახლა მე მზეზე კი არა, აკაკიზე მოგახსენებთ.

ალბათ 7 თუ 8 წლის ვიქნებოდი, კარგად არც კი მახსოვს, აკაკის „განთიადი" რომ მასწავლეს. ვისწავლე და გავვოცდი, გავვოცდი იმიტომ კი არა, რომ აკაკის გენიოსობა შევიგრძენი, არა - ავხედე ცას და ფირუზის ფერი იყო, დავხედე ხმელეთს და ზურმუხტის ფერი იყო. სამშობლოსათვის რომ უნდა მოვმკვდარიყავი, ეს დედისაგან ვიცოდი და გამიკვირდა: ასე თავისუფლად, ასე უბრალოდ, ასე გასაგებად ამას ხომ მეც ვიტყვი მეთქი... და აი, უკვე 40 წელია ვეჯიბრები აკაკი წერეთელს, რომ „განთიადის" მსგავსი ერთი ლექსი მაინც დავწერო და ბოლოს მივხვდი, რომ მთელი ჩემი შემოქმედება ამ ლექსის ერთი სტრიქონის ფასადაც არ ღირს.

და მე კიდევ მეტს მივხვდი, კერძოდ იმას, რომ „განთიადი" კაცის დაწერილი არ არის. ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალღონეს აღემატება, დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი.

ერი და ერისკაცი ზიარ ჭურჭელსა ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ. ვინ იცის, იარსებებდა თუ არა დღეს ქართული ენა და საქართველო, მეცხრამეტე საუკუნეში ილია, აკაკი, ვაჟა და იაკობი, ეს ოთხი მესია რომ არ მოვლენოდნენ მას.

როგორც დღე მისდევს დღეს, ისე მოდიან თაობები და ცვლიან ერთმანეთს, მაგრამ აკაკი, ბულბული საქართველოსი, შუამავალი ცისა და მიწისა, უცვლელია. იგი ყოველ დილით ამოდის საქართველოს ცაზე ბრდღვიალა მზესავით, რომ ნათელი მოჰფინოს სულ ახალ და ახალ თაობებს.

რამდენიმე წლის წინ თურქეთის საზღვარზე ვმსახურობდი მესაზღვრედ. იქ, აჭარის მთებში ერთი სოფელია - მარადიდი. ამ სოფელს მდინარე ჭოროხი ჰყოფს შუაში, ერთი ნახევარი სოფლისა ჩვენია, მეორე ნახევარი - თურქეთისა. სწორედ იქ გახლდით საზღვრის ინსპექციაზე. ერთ დღეს ორი ჯარისკაცის თანხლებით საზღვრის წინა ხაზზე გავედით. ზედ ჭოროხის პირას თურქებს სკოლა აქვთ, სადაც ქართველი ყმაწვილებიც სწავლობენ. ნაპირს რომ მივადექით, შესვენება ჰქონდათ ბავშვებსა და დაგვინახეს თუ არა, თავის ნაპირს მოაწყდნენ. როგორც შავგვრემანი, ალბათ, ქართველად შემიცნეს. მერე ბავშვებს ერთი თეთრსაყელოიანი პატარა ბიჭი გამოეყო, მდინარეში ნავივით შემოცურებულ ვეებერთელა ლოდზე შედგა, ორთავე ხელი ცაში ააპყრო და ხმის კანკალით თავანკარა ქართულით დაიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები.
შენზედვე მგლოვიარეო..."

ასკერმა ლექსის თქმა ბოლომდე არ აცალა, გარეკა ბავშვები. იმ წუთში გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ვიდექი და უსირცხვილოდ ვტიროდი გაკვირვებული ჯარისკაცების წინაშე.

დიდი ილიას ნეშტს აკაკი ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა:

- თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!

დღეს მე მინდა მისივე სიტყვები ასე დავუბრუნო აკაკი წერეთელს:

- შენ, ჩვენი ერის სინათლევ და სიამაყევ, საქართველოს სიკვდილი არ უწერია თუნდაც იმიტომ, რომ ერს შენისთანა კაცი გაუზარდა და დაუტოვა, როგორც სიმბოლო უკვდავებისა და მარადისობისა!

სპეციალური აღიარებაა!

„კარგს რომ გვიქადდის
მომავალს,
შენი ბეჯითი გარჯანი,
ვინც იყო, იგი რომ არა,
არ იქნებოდა, რაც არი!“
მუხრან მაჭავარიანი

❖ **მანუჩარ კაჭახიძე,**
ჟურნალ „მამულის“ რედაქტორი

ყოველი მოვლენიდან თუ საგნიდან, პიროვნებიდან თუ ფაქტიდან პოზიტივის დანახვა პატრიოტიზმში. პოეზიას ეს შეშვენის, ხარისხით მაღალმხატვრული იქნება ნაქმნი თუ მდორე. ხოტბის არეალში მოქცეულია სამშობლოს ბუნება –

მთა-ბარი,
ზღვა,
მდინარე,
ჩიტის ჭიკჭიკიც კი საამოა, როდესაც ფიქრობ მამულზე.

მარადი სიხარულშია ჩაფლული განწყობა და აღმატებული გრძნობა გეუფლება. ფიქრის საშუალებასაც გვაძლევს დიდი პოეზია, სიტყვის ძალა, რომელიც გამომდინარეობს გულიდან.

ამის პარალელურად არსებობს ზერელე არაფრისმთქმელი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვამრავლობა, რითმების რახუნი რომაა მხოლოდ, რათა ლექსის ფორმას დაემსგავსოს სიტყვათა სიუხვე.

რა თქმა უნდა, სხვადასხვაა ჭეშმარიტება და სიყალბე. ეს მით უფრო იგრძნობა, როდესაც მიმართავ სამშობლოს, რადგან ერთგვარი ბარომეტრია პოეზიის ავ-კარგიანობის შესაფერებლად. სიტყვაკაზმული პოეზია აუცილებლად დაგვფიქრებს, რაღაც ახალს იტყვის, ეროვნულ ტკივილზე მიუთითებს, რათა აღმოფხვრას მანკიერება საზოგადოებაში, თანაც ერთგვარი ეროვნული პროგრამაა, რომელსაც მოჰყვება პრაქტიკული მოქმედება.

მოხდენილად ნათქვამი ყველაფერი კარგია და ლამაზი, მომხიბლავი და საამოა.

ილიას ლირიკა თავიდან ბოლომდე გაჯერებულია მამულზე ფიქრით და ეროვნული ხსნის პრობლემატიკით. ასეთი პოეტური ქმნილებანი მძიმეა საკითხავად.

სამაგიეროდ მსუბუქი და ჰაეროვანია სამშობლოთი ტკბობა აკაკის პოეზიაში.

ვაჟასთანაც მიმზიდველია, რამდენადაც დახლართული არ უნდა იყოს სიუჟეტური ქარგა. ზოგჯერ ზედაპირზეა ამოტანილი მშვენიერი ბუნება მამულის, ზოგჯერ კიდევ სტრიქონსა და სტრიქონს შორის იკითხება უსაზღვრო სიყვარული საკუთარი ქვეყნის. აქ მხოლოდ ბუნებით ტკბობა არაა წარმოჩენილი და არც მხოლოდ პეიზაჟია დახატული.

როგორიც არ უნდა იყოს,
წელიწადის რა დროში,
სამშობლოს მიწა-წყალი ყოველთვის სიღრმისეულ ტკივილამდე ტკბილია.

ყველას საკუთარი მოსწონს,
ყველას საკუთარი უყვარს –
ზოგს ყინულოვანი,
ზოგს უდაბნოს მცხუნვარებით,
ზოგს ზღვით,
ზოგს მთით.

ბუნება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. ჩვენც გამონაკლისი არა ვართ ამ გრძნობის გამოხატვაში. გვიყვარს, თავს ვევლებით და საჭიროების შემთხვევაში თავსაც ვწირავთ.

შევტრფით და შევხარით წარსულ დიდებას,
შევტირით სავალალო აწმყოს და
იმედი გვაქვს უკეთესი მომავლის.

თუნდაც უხარიხსო ლექსებითაც ვეტრფით ჩვენს სამშობლოს, აბა, ყველა გენიოსი და ფენომენი ხომ არ იქნება!.. მთავარი და ღირშესანიშნავი სწორედ ისაა, რომ პატრიოტული პოეზია გვიხსნის სამშობლოს სიყვარულის სხვადასხვა ასპექტებს -

რომ სამშობლო ჩვენი მიწა-წყალია,
რომ სამშობლო ჩვენი ისტორიაა,
რომ სამშობლო ჩვენი აწმყო და მომავალია...
და რაც მთავარია,
სამშობლო ადამიანებია!

ამ სიტყვის ფართო გაგებითაც და კონკრეტული მნიშვნელობითაც.

ეჭვი არ არის, რომ სამშობლო ჩვენცა ვართ, ყოველი ქართველი,
სადაც ცხოვრობს,
როგორაც ცხოვრობს,
სულ ერთია,
ყველგან და ყველასთან სამშობლოა თითოეული მათგანი.

არა აქვს მნიშვნელობა
არც სქესს,
არც ასაკს,
არც მრწამსს,
არც შეხედულებას,

მთავარია იყო ქართველი ამ სიტყვის ყოვლისმომცველობით. ჩვენ პატრიოტული ჟანრის ლიტერატურა იმისთვის გვეძლევა, რომ საკუთარ თავში გამოვზარდოთ და გამოვწვრთნათ მამულიშვილები და სადაც არ უნდა ვიყოთ, და მით უმეტეს ემიგრაციაში, ერთმანეთი უნდა მოვიძიოთ, ერთმანეთისთვის სამშობლო უნდა ვიყოთ, რათა ნოსტალგია დაავადებაში არ გადაიზარდოს.

სიმრავლეში მამულის სახე არ იკვეთება, სიმრავლეში მისი სიცოცხლისუნარიანობა ძლიერდება. ამერიკაში მყარია ქართული დიასპორა, უფრო მეტად - ევროპაში. კონტინენტებსა და დედამიწის ნახევარსფეროთა დაცილებამ ვერ უნდა შეძლოს გაწყვეტა იმ უხილავი ძაფისა, რასაც გულთა შორის კავშირი ჰქვია.

სიყვარულმა ხომ საზღვრები არ იცის...

სიყვარული მაშინ მოდის, როცა ძლიერია გრძნობა მშობლიურობისა. ბევრჯერ განმიცდია ეს გრძნობა აქ, როცა, პირველყოვლისა, საქართველოდან ჩამოდიან სტუმრები. თუ სადმე გავიგონებ აქ ქართველ კაცს დაუდგამს ფეხიო, ვეთაყვანები იმ ნატერფალს - ასე იყო კოლია ქვარიანისა და გიორგი პაპაშვილის შემთხვევაში. ცოცხალ მოქმედებაში მოვიდა ჩემი ინტერესი და იმ პერიოდში არც ერთი დღე უშინაარსოდ არ გამიტარებია. რაც უფრო იძირები მამულის სიყვარულში და მამულიშვილთა პატივისცემაში, მით უფრო იკვეთება სამშობლოს სახისმეტყველება შენით და შენში.

სიხარული მერე მოდის, ცრემლი რომ დაანამავს მის ცხოველსმყოფლობას. მარტოდენ საკუთარ თავში ჩაღრმავება და საკუთარი ინტელექტის გაზრდა ათასი მეცადინეობით არ კმარა

იმისთვის, რომ გეწოდოს პატრიოტი,
იმისთვის რომ შენი სამშობლოს სახე

იყო უცხოეთში.

ამისათვის ზნეკეთილობაა საჭირო. ყველასთან ურთიერთობაში უნდა გამოამჟღავნო შენი ქართველობა. ამის მაგალითად ექიმ ჟორდანიას თავგანწირვის დიდებული ამბავი იკმარებდა. იგი როგორც ქართველი, ისე ადამიანი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო და პირვანდელობის მნიშვნელობით. მან ქართველი ბავშვი კი არა, სხვა ეროვნების ბავშვი გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ამით იგი - დიდი ადამიანი
დიდი ექიმი გახდა,
ყველაფერს კი ლეიტმოტივად გაადევნა ის, რომ ქართველი იყო,
რომ ქართველი ყოველთვის ასე გაწირავს თავს მოყვასთათვის.

ერთია გმირობა, სხვა კიდევ მსგავსი მრავალი.

რამდენადაც ბევრნი ვიქნებით ბუნებით რაინდები, მით უფრო გამოიკვეთება სამშობლოს სახე და ხასიათი, საზოგადოდ ხალხის სახისმეტყველების ანარეკლის შესაბამისად. არც ესაა გასაკვირი, რამეთუ ჩვენ ცოტნე დადიანის ჯიშისანი ვართ.

გამოკვეთილი სახეები

ერის სახის თითოეული ნაკვთი, თითოეული ნიუანსი დიდი კაცების სახისმეტყველების შესაბამისად იქმნება. ეს სახისმეტყველება თავისთავად განსაზღვრავს თვით ჟამთასვლას და მის ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა, სიმბოლო კი თავისთავად მარადისობის საკურთხეველზე

სიავკარგის,
სიდიადის,
გონიერების,
ღვთისმოსაობის საზომია.

მართალია მსოფლიო პარამეტრები სხვაა, მაგრამ ჩვენ მასთან ერთად ჩვენი საკუთარი საზომები და ათვლითი წერტილები გაგვაჩნია, ესეც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო აზროვნებასთან, უკეთეს შემთხვევაში, ამ საზომთა სიზუსტეში, სიწმიდესა და უტყუარობაში ვუსწრებთ კიდეც საკაცობრიო ღირებულებებს. იქამდე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გარკვეულწილად და ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში ვკარნახობთ მსოფლიოს ბევრ რამეს. ყველაფრის შემდეგ თვითონაც ომებითა და სისხლისღვრით უფლებრივად მოიპოვებს ხოლმე ამ ღირებულებებს. კონკრეტულად ასე იყო რუსთაველთან მიმართებაში. სანამ ევროპაში მსოფლიო ომები და რევოლუციები არ მოხდა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე არავის უფიქრია. ჩვენ კი არათუ შევქმენით და დავწერეთ - „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო," - არამედ პრაქტიკულადაც განვახორციელეთ ქართულ პოლიტიკაში და სხვათაშორის წარმატებითაც. ქართველ მამაკაც მეფეთა საუკუნეობრივი ნაქმნის ნაყოფი თამარ მეფემ მოიმკა, იგი ქართული სახელმწიფოებრიობის გვირგვინად იქცა, რადგან რაც თამარის დროს იყო საქართველო, იმაზე შორს და იმაზე მტკიცედ ვერც ერთ დროში ვერ წავიდა ჩვენი სამშობლო. არადა, დიდებული მეფეები ჰყავდა მამულს -

ფარნავაზი,
ვახტანგ გორგასალი,
ბაგრატ დიდი,
დავით აღმაშენებელი,
ლაშა-გიორგი,
გიორგი ბრწყინვალე,
სიმონ მეფე,
სოლომონ პირველი,
ერეკლე მეორე...

თამარის, ასე ვთქვათ, თანამდებობაც „მეფე" იყო და მისი ზედწოდებაც. იგი ასეთად დაიბადა თავისი დიდბუნებოვნებით... ამიტომ მისმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა სამშობლოს გულში

სათნოების,
სამართლიანობის,
ღვთისმოსაობის,
ხელმტკიცეობის სახით.

აქედან გამომდინარე ქართულმა აზროვნებამაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ თამარის ეპოქაში მიაღწია, როდესაც ერმა ქვეყნიერებას მოუვლინა შოთა რუსთაველი. პოეტები და ფილოსოფოსები მანამდეც ბევრი გვყოლია და მის შემდეგაც არ ვუჩიოდით მათ ნაკლებობას, მაგრამ დიდი შოთას მსგავსი არავინ მოვლენია საქართველოს. ვინც რა უნდა თქვას და როგორც არ უნდა გადააფასოს ღირებულებანი, ყველას შეიძლება შეეხოს გემოვნებათა გადაფასება ეპოქათა და მენტალიტეტთა ცვალებადობასთან ერთად, რუსთველს ეს არ ეხება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინმე უაზრო თინეიჯერი რომელიმე ინტერნეტ-პორტალზე რა უხამსობას დაწერს, ეს მის ინტელექტზე მეტყველებს მხოლოდ. რუსთველს ნიკო მარი ებრძოდა თუ ებრძოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა და თითი მოკაკვა, ასე რომ ვთქვათ. ნიკო მარზე აზრიანად და არგუმენტირებულად ვერავინ შებრძოლებია დიდ პოეტს... და როგორც ცოცხალი მითი, რუსთველი ყოველთვის გამარჯვებული დარჩა

ყველა დროში,
ყველა ეპოქაში და
ყველა სივრცეში.

იგი გამარჯვებული მაშინაც დარჩა, როცა ვიღაც ხელმრუდმა და ხელშავმა მისი ფრესკა დააზიანა იერუსალიმში ჯვრის მონასტერში. ეს არამარტო იმიტომ მოხდა, რომ ვანდალური ქმედება საყოველთაო გასაკიცხია, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რუსთველის ფრესკა მარტო ერთი პიროვნების სახე არაა, იგი საქართველოს სახეა და მისი ფრესკიდან სრულიად საქართველო იმზირება მთელი საშუალო საუკუნეებით -

აზროვნებით,
ცხოვრებითა და
ყოფით,
ის, რაც გაკეთებულა და გაფუჭდა,
ის, რაც გასაკეთებელი იყო და ვერ, ან არ გაკეთდა.

საქართველოს ამაზე ნათელი სახე არცერთ ეპოქაში არ ჰქონდა, შესაძლოა არც არასოდეს ჰქონდეს. ეს სახე სისხლხორციელად, ფუძან-ფესვიანად ქართულია, ზნემთელი და სრულყოფილი, მეტი რომ არ შეიძლება იყოს, ისეთი იდეალური და ჭეშმარიტად ხელი-ხელ საგოგმანებია.

დრო თავისი მოთხოვნისდა მიხედვით ყველა ერს აძლევს სახისმეტყველებას დროისა და ეპოქის შესაფერისს, განკუთვნილს მხოლოდ მისთვის... არა მსოფლიო სახეს, არამედ კონკრეტულს, სხვათა ტოლს და არა აღმატებულს. რუსთველი მხოლოდ საშუალო საუკუნეების ცნობიერებაში არ ეტევა, არც მაინცა და მაინც მხოლოდ ქართული ნაკვთებია აღბეჭდილი მისი სახის კონტურებზე. იგი ზოგადკაცობრიული ფენომენია, რომლისთვისაც დრო სამარე კი არა, მალამოა,

რაც დრო გადის,
მით უფრო რომ ფასობს მისი ფენომენი
არათუ მხოლოდ ქართველობაში,
არამედ კაცობრიობაში.

სხვას რას უნდა მივაწეროთ ჯვრის მონასტერში ჩადენილი ვანდალობა. ეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა ჰქნეს,

თორემ კონკრეტულად რუსთველს -
პოეტსა და მოაზროვნეს, დარწმუნებული ვარ,
არც კი იცნობდნენ,
არც ეცოდინებოდათ, რატომაა ის მარადი სახე საქართველოსი.

და თუ რატომაა იგი საქართველოს განსახიერება, ამაზე ზუსტ და კონკრეტულ პასუხს მისი ნამოღვაწარი გაგვცემს,

თუ რატომ იყო, ასე რომ ვესათუთებოდით „ვეფხისტყაოსანს" - ახალგათხოვილ ქალებს მზითევში ვატანდით ამ უკვდავ წიგნს.

ბევრი უნიკალური წიგნია დაწერილი გარდასულ დროშიც და დღესაც, დაიწერება კიდეც, მაგრამ არავის მოფიქრებია, დავუშვათ, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" ქალიშვილისთვის გაეტანათ მზითევად, თუნდაც დავით გურამიშვილი, საბა, ილია, აკაკი. წიგნისადმი პატივისცემა კი არ შეიცვალა ამით, არამედ ფასეული და ღირებული მარადისობაში ტრადიციად გადაიქცა, ის ერთადერთი იყო და თანაც მთლიანი საქართველოს ანარეკლი, ის, რისკენაც ყოველთვის უნდა ვისწრაფოთ.

რუსთველი საქართველოს ერთგვარი მითია, რომელიც ყოველთვის წრე-ბრუნვა-სავით იწყებს ყველაფერს

თავიდან,

თავიდან და

თავიდან,

თანაც ისე, რომ ის თავიდან დაწყება

სასიამოვნოა და

უფრორე მეტად სასიამოვნოა, ოცნებად ქცეული სამშობლო რომ ხელუხლებლად რჩება და მისკენ სვლა ახალ და ახალ დროებაში თავიდან იწყება. ეს სახე უბერებელია, რადგან სამშობლო და ამ ცნების შეგრძნება არასოდეს ბერდება, მარადი ახალგაზრდაა და აწრთობს ის ახალ თაობებს, ზრდის ზნეკეთილად, არავის არაფერს უშავებს, პატარა არაა...

რაც მთავარია,

დიდია და მწიფე,

იდეალურად სრულყოფილი. მეტი რამ დალპობისკენ ან უმწიფარობისკენ წაიყვანს ნაყოფიერებას. ედემის მსგავსია სამშობლო, საიდანაც ადამ და ევასავით დრო-ჟამმა გამოგვდენა და ახლა მივსტირით იმ დაკარგულ სამოთხეს.

ერი - ადამიანებში გამოხატული

ერი თუ დაღუპვისთვის არ არის განწირული, ცოცხალ ორგანიზმს წააგავს და იგივე საზრდო სჭირდება, ოღონდ მხოლოდ სულიერი. ის ვითარდება და იხვეწება ამით, შეესაბამება დროს და საწყის სახეს ამკვეთრებს და სახიერს ხდის. ერს თავისი მოთხოვნები აქვს ამა თუ იმ დროში, უპირატესი საფიქრალ-საკეთებელი, რითაც მეტად და მეტად უახლოვდება

თავის საწყისს,

პირველადობას,

ანუ საკაცობრიო გზის სისპეტაკეს და განურყვნელობას.

ჩვენ კოსმიური აზროვნება რომ შეგვიძლია, ამაზე ბევრიც თქმულა და ბევრიც დაწერილია. რუსთველზე რომ აღარა ვთქვათ,

თავისი პოეტური სიმდიდრით,

სინორჩით,

ზეადამიანური სიყვარულით,

სიკოხტავითა და

განუმეორებლობით –

ვაჟა-ფშაველას ვერავინ შეედრება, არათუ მხოლოდ საქართველოში, მსოფლიო ლიტერატურასა და ფილოსოფიაშიც. ვაჟა საქართველოს მსოფლიო სახე არ გამხდარა, რადგან იგი დაიჩაგრა როგორც პატარა ერის შვილი. იგი ბუნებასთან არის გაიგივებული, მაგრამ მხოლოდ ქართულ ბუნებასთან.

მასში არ არის დავანებული უკიდეგანობა ზღვის,

სულისშემხუთველობა უდაბნოსი,

თვალისმომჭრელობა ტროპიკების,

ან სულაც სიცივე არქტიკის,

გაუვალობა ტუნდრის.

მასში განისვენებენ მთანი მაღალნი ზომიერი გამყინვარებით,

სადაც ადამიანს გაეძლება ზომიერი სითბოთი,

სადაც ადამიანი მძლავრობს.

ბუნების მიღმა მასში ადამიანია თავისი კეთილშობილებითა და რაინდობით,

ტოლერანტობითა და სიყვარულით.

ვაჟა-ფშაველაში ბრძენიც არის და ბავშვიც, ერთად შერწყმულია და იგი ბრძენ-ბავშვია. მსოფლიო ლიტერატურას ასეთი ნათელი სახე არ მოპოვება... და ეს ჩვენი სამშობლოს სახისმეტყველების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, გარდასახვა ვიცით ქართველებმა უნიკალურად, და მიტომ.

მამულის აზროვნება,

ფიქრი,

საქმისადმი განხრა ხვეწავს მორალს,

წარმოაჩენს თავის მორალურ სახეს.

თუ სინდის-ნამუსს სახე გააჩნია, ასეთ სახედ ილია ჭავჭავაძე წარმომიდგენია, წმინდანადაც აღიარა იგი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა. ეს მხოლოდ იმის გამო კი არ მომხდარა, რომ მან სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა, აქ განმსაზღვრელი ტყვია კი არა, თვით პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითია. ერს თუ თავისი სინდისი და ზნეობა არ გააჩნია, მაშინ ფუჭია მისი გარჯა-მეცადინეობა გენიალურ და განუმეორებელ ერობაზე, პრეტენზიაც კი არ უნდა გამოთქვა მაშინ.

ჩვენ უფალმა მოგვმადლა დიადი ზნეობა. ყოველ დროში იყო, რა თქმა უნდა, ზნეობრივი მამები, მაგრამ ილიამ მართალი ცხოვრებით ყველა მათგანი განაზოგადა თავისი სახისმეტყველებით და ერის ერთიანი გონიერი ფენომენი ჩამოყალიბებულ ზნეკეთილ სახედ აქცია სახეში, რომელშიც ყველაფერია და ყველანი არიან,

ილიამდეც ვისაც უცხოვრია და

მის შემდეგაც განაგრძობს ეს სახე ქართველი ერის წრთობას. არა აქვს მნიშვნელობა იმის გარკვევას, თუ რატომ მივიდა ზნეობრივი ერი ზნეობრივი მამის მკვლელობამდე. ისეთი ძალა მოდიოდა და ისეთი უმეცრება მკვიდრდებოდა დედამიწაზე, რომ ილიას მკვლელობა ბუნებრივი ნაბიჯი იყო იმ ბნელი ძალებისა და გასაკვირი იქნებოდა მხოლოდ ის, რომ ილიასთვის დაეცლიათ ბუნებრივი სიკვდილი. ილია თუ არა, სხვა ვინმე იქნებოდა და თუ არა ილია, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო ის ერის ზნეობის მედროშე, რომელიც ყველაზე მეტად უშლიდა ხელს უზნეობას თავიანთი შავ-ბნელი საქმეების აღსასრულებლად.

ილია და მხოლოდ ილია უნდა მოკლულიყო,

რადგან ისტორიამ დაგვანახა, რა პირსისხლიანმა ძალამ დაიპყრო საქართველო,- და მით უფრო მთელი რუსეთი.

ილიას ვინ გაახარებდა?!

ოცდამეერთე საუკუნის გადასახედიდან არ მიკვირს არავის სიცოცხლის მოსწრაფება, მაგრამ დასანანია,

რომ ამ გამხეცებულმა პირუტყვებმა

მოხუცი,

სიკვდილის პირამდე ისედაც მისული გაიმეტეს სასიკვდილოდ.

რა ძალისა უნდა ყოფილიყო ეს დიდი მოძღვარი ქართველი ერისა თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლებში?!

არც ისაა შემთხვევითი, უგვირგვინო მეფე რომ უწოდეს მას, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მოშთობილი ბაგრატიონთა დინასტია და საქართველო ცხოვრობდა სამეფო ხელისუფლებაში ე.წ. „ცარიზმის დროს“, ხოლო მონარქიული მენტალიტეტის იმპერიაში მეფეს ვაგლახად არავის უწოდებდნენ, თუ არა მართლაც მეფეს და

ილია საქართველოს მეფე იყო

ზნეობის,

კულტურის,

რაინდობის,

თავდადების.

მას მორალური და სულიერი თვალსაზრისით იმაზე მეტი მოეთხოვება, ვიდრე ოდესმე მოეკითხებოდა გვირგვინოსან ხელმწიფეებს, ქართველი ხელმწიფე იქნებოდა ის, თუ რუსი ცარ-ბატიუშკა.

ილიამ თავისი აზროვნებით, თავისი მსოფლმხედველობითა და პირადი ცხოვრების სანიმუშოობით გადააბიჯა თავის საუკუნეს სიცოცხლეშივე და ამის იქით ბოლშევიკების მეცადინეობა ილიას გზიდან ჩამოცილებისა ნებისმიერი ხერხით დაგვიანებული და უშედეგო იყო. საბჭოთა კავშირის არსებობისას და მანამდეც - ილიას მკვლელობის შემდეგ მის მკვლელებს თან დასდევდათ ამ დიდი ქართველის აჩრდილი, როგორც სულიერი წამება. თავი რომ რაიმეთი ემართლებინათ, ის დააბრალეს, რასაც სიცოცხლეში ებრძოდა. ეს-დეკებმა კი უსუსურად დაიწყეს თავის მართლება

ესაოდა, მეფის ოხრანკამ მოკლაო.

რომ არა გამოუვიდათ რა,

მერე ისა თქვეს,

იმიტომ მოვკალით, რომ გლეხებს თავზე კოკებს ამტვრევდაო.

მერე შეცბუნებულები იმასაც ამბობდნენ,

არა, ჩვენ კი არა, გამწარებულმა გლეხებმა მოკლესო.

ასე ცოდვილობდნენ, ილიას კი წამებულის გვირგვინი დაადგეს თავზე და იმ ერთი, თუ რამდენიმე ტყვიით, რომლითაც მოუსწრაფეს მოხუც ბრძენ-კაცს სიცოცხლე, ილიაში ჩაატიეს მთელი ქართული ძარღვმაგარი ზნეობა, რომელიც დიდ ქართველებს ილიამდე რუდუნებით უტარებიათ, ილია ამ ტყვიით სრულყოფილებად აქციეს, რომელმაც თავის სახისმეტყველებაში ჩაატია

გრიგოლ ხანძთელიც,

გიორგი ჭყონდიდელიც,

არსენ იყალთოელიც,

ცოტნე დადიანიც,

სიმონ მეფეც,

საბა-სულხანიც,

დავით გურამიშვილიც

და მრავალი სხვა გარდასული ქართველი...

და ასე სრულყოფილად ჩამოძერწა საქართველოს სახე –

მაღალი შუბლი,

ჭკვიანი თვალები,

კეთილი ღიმილი,

ის, რითაც ფასობს საქართველო ქართველობით მსოფლიოში.

ოდითგანვე გამოვირჩეოდით ჩვენი ტემპერამენტით, ფეთქებადი ხასიათით. ამავე დროს ჩვენ ინერტულები და ინდიფერენტულებიც ვიყავით გარემო პირობებისა და ვითარების მიმართ. ერთმანეთს ხელს არ უშლიდა ქართული ნიშან-თვისებათა ეს სხვადასხვაობა, პირიქით ავსებდა კიდეც ასეთი პოლიუსური სხვაობა. სრულმომცველობით ეს თვისებები, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ფიროსმანმა თავისი სახის-მეტყველებითა და ფენომენით სრულჰყო.

ვიღაცას გაუკვირდება:

ფიროსმანი და მჩქეფარე,

ფეთქებადი ბუნებაო?

სწორედ ფიროსმანმა გამოხატა ეს ბუნება თავის შემოქმედებაშიც და პირადი ცხოვრებითაც მოგვცა მაგალითი.

მას არა აქვს დახატული ცეცხლოვანი ცხენები, ბრძოლის ველზე რომ გარბიან,

მას ხრმალი არ ამოუღია და არ იქნევდა მარჯვნივ და მარცხნივ.

მისი ეს ცეცხლოვანი ხასიათის ცხადება მის ზედმიწევნით სიწყნარეში გამოიხატა, მდუღარე სიწყნარეში, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება იფეთქოს მილიონი ვარდის მსგავსმა თავდავიწყებამ, მსოფლიოს რომ გადაევლო და გააოგნა უცნაურობით.

მისი მეეზოვეცა და მეთევზეც უხილავი ომია აბსტრაქციასთან.

ეს უფრო დიდია და ყოვლისმომცველი, ვიდრე ბრძოლებში გადარეული ცეცხლოვანი თვალების სახვა. დააკვირდით ფიროსმანისეულ თვალებს, როგორ უნიკალურად და უნაკლოდ არის შეხატული ქართულ ხასიათში.

ინდიფერენტულობა?

რამდენიც გინდა, იმდენია ამ მოლაღე ქართველ თავადაზნაურობაში. ამასთანავე იმ ფეხებზემკიდიაობაში

როგორი ძალაა ბრძოლის,

როგორი აღტკინებაა გადარევისა და თავდავიწყების.

ვინ უნდა ყოფილიყო უფრო განსახიერებადი ქართულ ხასიათთან, თუ არა ფიროსმანი. ბედ-იღბლის აღმა-დაღმა ტრიალშიც უბადლოა, შეუდარებელია უიღბლობითა და დაუფასებლობით, ესეც ქართულად და ესეც მთელის სიმწვავით. ფიროსმანი საქართველოს განსახიერებაა მსოფლიოს თვალში, ბებერი ევროპისთვის -

უცნობი და შეუცნობელი,

გამაოგნებელი და უცნაური,

რომლის სიკვდილს უნდა დაელოდო, რათა მერე ექსკლუზიური უფლება მოიპოვო და შენ თქვა, მსოფლიო მოვლენა იყო ფიროსმანი საქართველოსათვისო.

იტყვიან –

„იყო და არა იყო რაო“, -

ზღაპარივით,

მაგრამ ფიროსმანსავით წამოდგება ფეხზე საქართველო და მიაკითხავს მის მაქებარს, რათა უთხრას, -

„თუ ასე კარგი ვარ, ცოცხალი ვარ და ვაგრძელებ სიცოცხლესო“.

ეს საქართველოს ხვედრია, სალაპარაკო და მჯიღების გულზე კვრის სურვილი რომ მოუსპოს ვაიმეგობრებს, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით რომ აბრუებენ თანამეინახეებს და არრას ღონილობს სიტყვის აღსასრულებლად, ისე კი ძირს უთხრიან საქართველოს თავისი ცბიერი ღიმილით.

ფიროსმანი ის ფენომენია და საქართველოს ის სიმეტრიული სახისმეტყველებაა, ამ ცბიერებას და ფარისევლობას რომ ფარდას ხდის და ნიღაბის მიღმა კბილებდალესილი მგელი რომ იმალება.

ჯვაროსნული ომების უსირცხვილობა და უტიფრობა დღემდე მოსდევს გაიძვერა ევროპას და საქართველომ იცის მასთან ბრძოლის საშუალებები - ეუბნება:

„მე შენიანი ვარ, ერთ-ერთი შენთაგანი და თუ არ დამეხმარები, ხელს ნუ შემიშლი ჩემს უთანასწორო ბრძოლაში ჩემს დაუძინებელ მტერთანო“.

ერის მეხსიერება და სახე

ჩვენი დასაბამი შორეულ წარსულში იკარგება, სადაც მეხსიერება უძლურია შეაღწიოს. გონების დაძაბვა და გახსენება იმისა, თუ რანი ვიყავით თავდაპირველობისას, შეუძლებელია. ვეძებთ ამიტომ მიწაში ჩაფლულ გარდასულ სინამდვილეს,

არ ვისვენებთ, რადგან ეს მთლიანობაში ქართველი ერის გარდასულ ჟამთა ცხოვრებაა. როდესაც დამწერლობა შევქმენით, მახსოვრობა მტკიცედ ჩამოყალიბდა. მაგრამ დროთა მდინარებამ ყველა ძველი წიგნი მიმოფანტა და სანთლით ვეძებდით ყოველ დროში თითოეულ წიგნს, თითოეულ მონათხრობ ამბავს და ჩამოყალიბებულად ერთიანი სისტემით არ წაგვიკითხავს ისტორია ჩვენი ქვეყნის. ერი ითხოვდა ამას თავისი შვილებიდან და ერმავე გამოზარდა ივანე ჯავახიშვილი. მან ერ-

თარსად შეკრიბა ქართული მატიანენი და შეისწავლა, მიწაში ეძება გარდასულ დროთა დიდება და იპოვა. იგი ერთი იყო უამრავთაგან, რომელმაც სრულჰყო სისტემა საქართველოს ისტორიისა.

რაღაც აუცილებლად მიწაში მიდის ისე, რომ მისი პოვნა შეუძლებელი ხდება,

რაღაც კი ისევ ამოტივტივდება ზედაპირზე ათასწლეულთა შემდეგ და ერი მას აუცილებლად გაიხსენებს, რადგან მას ყველაზე ძლიერი მახსოვრობის უნარი გააჩნია და ეს მახსოვრობა ივანე ჯავახიშვილია.

ბევრი გვყოლია მეისტორიე, რომელმაც დღემდე მოიტანა ისტორიანი

ქართველთა მოქცევისა,

არაბთა შემოსევებისა,

კურაპალატთა საქართველოისა,

დავითისა და თამარის ოქროს ხანისა,

ლაშა-გიორგიდან მოყოლებული მთელი ასწლოვანი მატიანე...

ერთის სიტყვით ქართველი კაცი არასოდეს უჩიოდა მეხსიერებას, იგი ყოველთვის წერდა თავის თავგადასავალს, ყველა მათგანში რაღაც მაინც იყო ტენდენციური, რაღაც უზუსტობა გაპარულიყო რაღაცის გამო, ან ვიღაცის გამო.

საჭირო იყო რუდუნებით შეექმნა ერს თავისი თავგადასავალი, გაეანალიზებინა თავისი

ზნე-თვისებები,

სამართალი,

ეკონომიკა,

ყველაფრისათვის შეეხედა კრიტიკული თვალით,

რათა წარმოდგენა შექმნოდა საკუთარ თავზე არა გადამეტებულად თავმოყვარეობით ან თავმოძულებით, მხოლოდ გონიერი თვალით, ისეთი გონიერით, როგორიც თვითონაა ჩემი მამული.

აქ სიჩქარე შეუძლებელია, ამ საქმეს მთელი შეგნებული ცხოვრება უნდა შეალიო. თითოეული ქვა საფუძვლიანად შეისწავლო, გაანალიზო, შეუფარდო მსოფლიო ისტორიულ მსვლელობას და საკაცობრიო ჭრილში უნდა გაახსენო ერს,

თუ ვინ იყო ის განვითარების თითოეულ ეტაპზე,

როგორ დაიხვეწა და მოაღწია დღემდე,

როგორ გაითავისა მსოფლიო და

როგორ შეერწყა ისიც მსოფლიო მსვლელობებს. ოდნავადაც არ ჩამორჩენილა, ერთი ნაბიჯითაც კი, ფეხდაფეხ იარა საქართველომ და ეს შენ იცი ყველაზე უკეთ, ჩემი ქვეყნის ყველაზე დიდო მეხსიერებავ.

ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლება შეგვხვედრია, ბევრ მომხვდურს სურდა ჩვენთვის გზა აერია, უკუღმაც გვივლია, მაგრამ წაღმართიანად შემოვბრუნებულვართ და გამოვსულვართ დიდ გზაზე. ესეც იმიტომ, რომ

შენ,

ჩემო მამულო,

დიდი მეხსიერება გაქვს და ამ მეხსიერებით კვებავდი შენს შვილებს. იცოდი ეპოქათა კანონზომიერებები, რომლებშიც გიწევდა ცხოვრება და თავის გატანა. ამიტომ უადვილდებოდა შენს შვილებს შენი ნამცნებით მომავლის განჭვრეტა.

მიწაც გვიჩიჩქნია, ერის ნატვრის თვალი რომ გვეპოვნა. რა აღარ ვიპოვეთ შენგან გამოვლილი. თანამედროვეობა ძალზედ პატარაა ისტორიასთან შედარებით.

ისტორიას უნდა თავმოყრა,

ისტორიას უნდა სათანადო პატივის მიგება. ამას შენი დიდი მეისტორიე ყველაზე კარგად ახერხებდა.

ნატვრის თვალის მიღმა შენი წრფელი გული იპოვა და შთამომავლობას გადმოგვილოცა. იშვიათია, როდესაც მეისტორიე თავისი კვლევის ობიექტის გულს იპოვის და გააცოცხლებს.

არათუ ექიმს, მესაათეს მაგონებს ივანე ჯავახიშვილის დაუღალავი შრომა,

მესაათეს, რომელიც უწვრილესი დეტალებით აწყობს მთელს მექანიზმს ძველი საათისა და ცხოველ მოქმედებაში მოჰყავს.

მანაც ხომ შენი გაჩერებული დრო აამუშავა სასიკეთოდ, ჩემო მამულო.

ისიც შენი სახეა და შენ ხარ იგი - მოხუცი მეისტორიე,

რომელსაც ლოგინში სიკვდილი არ უწერია.

დღეს ბევრი მეისტორიე გვყავს,

ხან ასეთი,

ხან ისეთი,

ხან ყალბი,

ხან მართალი,

ხან მეწვრილმანე,

ხან მემსხვილმანე,

მაგრამ შენ, მამული რომ გქვია სახელად, იმ სანუკვარ სახეს არ იცვლი, რაც ჩაგებეჭდა და ჩაიბეჭდე გონებაში. ყველა ახალდროების მეისტორიეს იმ დიდებულ სახეს აძლევ ნიმუშად და ყველა მათგანი გმორჩილებს, სხვა მეტი დიდი და დიდებული ჯერ არ შექმნილა შენს წიაღში და ვგონებ, არც არასოდეს შეიქმნება.

სიყალბე

შეუძლებელიცაა და

დაუშვებელიც,

ისტორია ერის მეხსიერებაა, და მიტომ.

ყველაზე უკეთ მეხსიერებამ იცის რა, სად და როგორ ხდება, მომხდარა და არც ის შეეშლება ივარაუდოს, როგორ მოხდება. ამიტომ აზრი არა აქვს სიყალბეს, იმ დიადი სახების კონტურებში ვერ მოექცევა გამყალბებელი, და მიტომ.

ამიტომ ვერ მოძოვა საქართველოს საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ, ყველაფერს თვალნათლივ აეხადა ფარდა. დღეს გაკოტრებულები არიან წითელი პროფესორები, მათ სიტყვას ფასი აქვს დაკარგული, რადგან იმ დიდებული სახის ყალიბში ვერ ჯდებიან, ეს მაშინ, როცა ერის მეხსიერებას სრულფასოვანი სახისმეტყველება აქვს.

ამ სახის მიღმა ყველაფერი კარიკატურაა, ნაკვთი ნაკვთს არ ემთხვევა,

ხრტილი ხრტილს,

აზრი აზრს კარგავს.

ეს იმიტომ კი არა, რომ ყველანი დავემსგავსოთ უნდა კონკრეტულ პიროვნებას. არა, ჩვენ რომც არავის დავემსგავსოთ და ჩვენი პირადი ხელწერა გვქონდეს შემოქმედებაში, თუ მართალი ხარ, ყველა მართალს დაემსგავსები და ყველაზე დიდი მართალი ქვეყნად ჩვენი სამშობლოა, ის კი პირუთვნელად გამოარჩევს ერთმანეთისგან ყალბსაც და ნამდვილსაც.

ქართული ტემპერამენტი

ქართველ ერს ოდითგანვე მოსდგამდა თანდაყოლილი ტემპერამენტი, რომელიც შეიძლება გავაიგივოთ სიფიცხესთან. ფსიქიკური წყობის ეს თავისებურება ცხოვრებისეულ ყველა ასპექტში ვლინდება. ხასიათების ამგვარი გამოვლენა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროშია გაბატონებული. რაღაც შემთხვევაში ეს ჩვენი აქილევსის ქუსლია, მაგრამ უმეტესწილად როცა ჩვენეულ, სამხრეთულ ტემპერამენტს ვავლენთ, მას პოზიტივით ვმოსავთ.

თუ ერის აზროვნება,

სინდისი,

ხასიათი და

სხვა გონიერი გამოვლინებანი

დამოკიდებულია რჩეული კაცების ნამოღვაწარზე, ტემპერამენტი ისეთი გააჩნია ჩვენს ერს, რომ თითოეული ქართველი უბადლო შემსრულებელია ამ თვისების. ამისთვის არ არის საჭირო ერმა წარმოშვას კორიფე, რომელიც უმაღლეს ხარისხში აიყვანს ქართულ ბუნებას.

მაგალითისთვის,

ნებისმიერი ქართველი არაფრით ჩამოუვარდება თავისი სიფიცხით

არც ალექსანდრე ყაზბეგს,

არც კონსტანტინე გამსახურდიას,

არც გრიგოლ რობაქიძეს,

არც ლადო გუდიაშვილს.

ეს ხასიათია,

ესაა ხასიათი!!!

რაც არ უნდა შექმნან გენიოსებმა, შექმნილად ჩაითვლება და ჩვენ ყველანი ვიამაყებთ ამ შექმნილით. რა თქმა უნდა, შემოქმედებითი მოღვაწეობა ყველას ხელთ არ ეწიფება. სამაგიეროდ ცეცხლოვანი ბუნების გამოვლინება ყველა ქართველს შეუძლია თანაბრად და, შეიძლება ითქვას, იმ საფიცარ გენიოსებზე უკეთადაც. ჩვენ იმდენად გვაქვს სისხლ-ხორცში გამჯდა-

რი სანგვინური ფსიქიკა, რომ როცა მელანქოლიურ განწყობაზე ვიმყოფებით, მაშინაც კი ეს მელანქოლია თავისი არსით სიფიცხიდან მომდინარეობს,

გულგრილი განწყობაც ასეთივეა
და მხიარულიც.

ყველაფერს ხალიბურ რვალსავით საკუთარი ენერგიის ცეცხლში ვაწრთობთ,

გვიხარია თუ გვწყინს,
არა აქვს მნიშვნელობა.

ძნელია ასეთ დროს იპოვო კრებითი სახე და თქვა, რომ მან სრულჰყო ჩვენი ქართული ცეცხლოვანებაო.

აზიური თავაწყვეტა და
თავდავიწყება

პატარა ქართველშიც იმ დოზითაა მოცემული, რომ დიდსაც კი გაუკვირდებოდა და ზოგჯერ შეეხარბება კიდეც. დავაკვირდეთ საკუთარ შვილებს და მივხვდებით, რაოდენ დიდია მათში ქართველობა, ეს მაშინაც ხდება, თუ ბავშვი უცხო გარემოში იზრდება, არაქართულში. ამიტომ იყო ისტორიულად ჩვენს თავსატეხთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მწარე თავსატეხად -

ლეკიანობა - აღმოსავლეთ საქართველოში,

ტყვეთა სყიდვა კი დასავლეთში.

რას ეძებდნენ უცხოელები ჩვენში?

სწორედ იმ ცეცხლს, ამირანმა რომ დაანთო ყველა მამულიშვილის გულში. ცეცხლი გადამდებია და გრძნობადამცხრალი თუ ჩამქრალი გადამთიელები ჩვენით ცდილობდნენ აღეგზნოთ გულები ცეცხლით. მამლუქიანობამ დაანახა მთელს არაბულ სამყაროსაც და ევროპასაც, რომ არაბეთის უდაბნოს მცხუნვარებაშიც კი ცეცხლოვანი ქართველი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში და საუკუნეების განმავლობაში ფლობდა ეგვიპტისა და ერაყის ქვეყნებს.

აი, სად გაიღვიძა მამულის გენმა!

ესეცაა,

სარწმუნოებაც მებრძოლი გვაქვს, ჩვენი მთავარი სალოცავი წმიდა გიორგია - გველეშაპთან და ბნელეთის ძალებთან მებრძოლი რაინდი.

ეს ხატი ქართველმა ერმა წმიდა მოწამე კაბადოკიელი გიორგის დაბადებამდე შექმნა და მას თეთრი გიორგი უწოდა, კავკასიის მთიანეთში ჯგრაგს, ჯგირაგს არქმევდნენ.

სარწმუნოებისთვის თავდადებაა მთავარი ჩვენს რწმენაში, ამიტომაც ვითვლებით წმიდა გრაალის რაინდებად. მეფიდან დაწყებული უბრალო გლეხით დამთავრებული მრავლად მოგვეპოვება ქრისტესთვის წამებული. ქრისტიანობა ჩვენთვის გაიგივდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლად და საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე ჩვევად და მოთხოვნად გვექცა თავგანწირვა, თუნდაც უაზრო, მაგრამ ჩვენ მას უაზრობის საბურველიდან ვათავისუფლებდით.

ქართველი და მუსლიმანი გათათრებულად მიგვაჩნდა,

ქართველი და კათოლიკე შეუფერებლად.

სულხან-საბა ორბელიანი კათოლიციზმის აღიარების გამო მცხეთელმა ბერებმა სცემეს. ესეც ნიშანდობლივია - ჩვენ ფუფუნებასა და მარადჟამულ კეთილდღეობას ვერ ვიტანთ, იქვე მცონარებას მივეცემით. ილია ამბობდა და შესჩიოდა ბედს –

„ო, ღმერთი ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებაო“.
ჩვენ ვინ დაგვაცლიდა ძილს,
მონღოლის დროს ვფხიზლობდით,
თემურ-ლენგის დროს ვფხიზლობდით,
შაჰ-აბასის დროს ვფხიზლობდით,
ოსმალოსა და სპარსეთის ინტერვენციების დროს ვფხიზლობდით,
რუსის დროს ვფხიზლობთ.
ვინ დაგვაცალა ძილი?!

ამ თავსხმა მომხვდურობის ჟამს რომ გვძინებოდა, აღარასოდეს გაგვეღვიძებოდა.

აბა, როდის გვეძინა?

როგორადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, თამარის დროს გვეძინა ღრმა ძილით და ამიტომ შემოგვეპარა ჯალალ-ედ-დინი, თავისი ქვეყნიდან გამოქცეული და დამარცხებული, რომელიც რისხვად დაგვატყდა თავზე. მძინარე ერი დაგვამარცხა, თორემ ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმულ ქვეყანას, ახალ ბიზანტიად გამზადებულ ქვეყანას როგორ დაგვამარცხებდა საკუთარი ქვეყნიდან გამოგდებული ჯარი, დამარცხებულის კომპლექსი რომ სდევდა თან.

ღვთისთვის თავგანწირული ერი თავის სახეს და ტემპერამენტს მშვიდობაში ვერ გამოავლენს. საქართველოს მეფეებს არასოდეს ჰქონდათ იმისი ფუფუნება, რომ მდიდრულ სასახლეებში ეცხოვრათ და ელჩები ელჩებზე მიეღოთ. ქართველი მეფეები ცხენზე ამხედრებულები და ხრმალამოღებულები ხან გარეშე, ხანაც შინაურ მტრებს ებრძოდნენ და სასახლეებში კი არა, ციხედარბაზებში ცხოვრობდნენ.

ამან გამოაწრთო ასნაკეცი ხალიბური ხრმალივით ქართული ნება.

გადავღუნულვართ ძალის წინაშე და არა გავმტყდარვართ. ძალა როდესაც იკლებს, იმ ასნაკეცი ნაწრთობივით ვსწორდებით წელში, თითქოს არც არასოდეს მოვხრილვართ, ისე გვიჭირავს თავი და ეს სამარცხვინო არ არის, შეშვენის ქართველს გარემო პირობებთან შეგუება და ყოველთვის ყოველი წნეხის შემდეგ გაასმაგებულად გაძლიერებულები ვრჩებით.

ეს სწორედ ის ფენომენია –

ხალიბური ხრმალი რომ იწრთობა.

ცხოვრებიდან აღებული მაგალითია ეს, ისეთი მაგალითი, წიგნებშიც რომ ვერ ამოიკითხავ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲛᲐᲣᲚᲡᲔᲑᲘ

ცნობიერება და ყოველგვარი ადამიანური შეგრძნება ერს იმისთვის სჭირდება,



რომ ნათლად გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი პოტენციალი, რათა გამოაწრთოს თავისი არსებობის არსი სულიერი მოთხოვნილების შესაბამისად. ჩვენ ძლიერი შინაგანი ენერგია გვაქვს, შეიძლება ითქვას, ამოუწურავი. ესეც იმიტომ, რომ მცირე ერი ვართ და თვითგადარჩენის ინსტინქტი ჭარბად გვაქვს მოძალებული.

თუ მუდმივად არ ვიმეცადინეთ:

თავის გატანაზე - მშვიდობიანობისას და

თავის გადარჩენაზე - ომიანობისას,

არსებობას შევწყვეტთ, რადგან ის, რაც ამოუწურავი გვქონდა იმით, რომ მუდამდღე ვიღწვოდით, ახლა ამოიწმება და სხვა აღარავინ დავრჩებით, თუ არა თავიჭამიები. მაშინ აღარც მეხსიერება დაგვჭირდება, აღარც ნიჭი და აღარც შემართება. ჩვენ საკუთარ სახეს დავკარგავთ და გადავინაცვლებთ სასიკვდილო აგონიის მდგომარეობაში. ქართველობას ბედად დაგვეწერა, რომ დალხენილნი თუ შეჭირვებულნი მაინც მივმართავთ ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ჩვენი გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ ძალდატანებით და თავსმოხვეული შემოქმედებითი შრომისა და თავისუფალი ნების გამოხატვის დროსაც თანაბრად ფენომენალური ფანტაზია გაგვაჩნია. მართალია, მსოფლიო აღიარება მაინცა და მაინც არა გვაქვს, მაგრამ არავის არაფერში ჩამოუვარდებით, პირიქით, სადღაც ვუსწრებთ კიდეც მსოფლიოში სახელგანთქმულ კორიფეებს. ეს ჩვენი ბედია ასეთი, რომ უნდა საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, თორემ სხვამ ერთი კუდის მოქნევაზე შეიძლება მიიღოს მსოფლიო სახელი. სხვაობა ისაა, რომ ისინი სწორედ რომ აღიარებისთვის იღწვიან, ჩვენ კიდევ ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ საკუთარი შემოქმედებითი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ვმოღვაწეობთ.

აი, თუნდაც, ქართული საოპერო ხელოვნების მამამთავარი ზაქარია ფალიაშვილი ევროპაში არ იდგმება, მისი შემოქმედება ფაქტიურად უცნობია მუსიკის მოყვარულთათვის და, შემიძლია თამამად ვთქვა, მრავალი პროფესიონალი მუსიკათმცოდნისათვის... და ეს იმიტომ, რომ ფალიაშვილი ქართველია ეროვნებით. მე არავის არაფერს ვაბრალებ, ესაო-და დისკრიმინაციას გვიწევენ და ჩვენ როგორც დაჩაგრული ერი ვერ ვღირსებივართ სათანადო დაფასებასო.

ამ შემთხვევაში არანაირ ჩაგვრასთან არა გვაქვს საქმე, ეს მხოლოდ ქართული ბუნებიდან გამომდინარეობს. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ერთგვარი კომპლექსი გვაქვს საკუთარი თავის მიმართ: რას იტყვის ჩვენზე ოპერებითა და სიმფონიებით განებივრებული ევროპაო.

საკუთარ თავს არ ვადებთ ფასს სათანადოდ. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს შემოქმედებით პოტენციალს, თორემ ევროპაში ბევრია მცირერიცხოვანი ერი. რაღა შორს წავიდეთ და, ავსტრია იკმარებდა მაგალითად, მაგრამ ვენის კლასიკოსებმა შექმნეს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნება იმის მიუხედავად, რომ მაშინ არსებობდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია.

ჩვენ ის დიდი სახელებიც გვაფრთხობს, მსოფლიო ხელოვნება რომ განსაზღვრეს.

ერთიცაა, ქართველები ინდივიდუალური ხალხი ვართ, საკუთარის სრულფასოვნად წარმოჩენა გვეზარება, თორემ თავის ქება იცოცხლე-თქო, ვიცით როგორ უნდა. საკმარისი იქნებოდა, გვეთარგმნა პარტიტურა, სათანადო სიმაღლეზე რომ ასულიყო ქართული გენია, მაგრამ აქაც ქართულმა გულგრილობამ იჩინა თავი. მაინცა და მაინც ფორტუნა რომ არ გვწყალობს, ეს არ გვყოფნის და ახლა ჩვენი ეს თვისება დავამატეთ.

ამითვე გვპასუხობენ -

ჩვენც გვიყურებენ ზერელე თვალით.

ყველა ერი ცდილობს თავი წარმოაჩინოს ერთი ათად გადიდებულად (ყველა ასპექტში, კულტურაში - მით უმეტეს. მ.კ.), ჩვენ კი - რაცა ვართ, იმის მეათედადაც არ მოგვაქვს თავი, ვფარავთ და ვმალავთ რაღაცას. ალბათ შიშიცაა ეს ე.წ. სალიერის კომპლექსის მიმართ. საკმარისია უცხოეთში გავიდეს ზაქარია ფალიაშვილის თუნდაც მხოლოდ „დაისი", რომ არათუ მხოლოდ კომპოზიტორის სახელი, არამედ ქართველი კაცის გენია დაფასდება ღირსეულად, ჩვენ კი თუ პირადად ჩვენ არ გვეხება სახელ-დიდება, არ ვიზრუნებთ საზოგადო საქმეზე. ჩვენ სიტყვითა და სადღეგრძელოთი ვამბობთ:

„საქართველოს გაუმარჯოსო!",

თორემ როგორც კი კონკრეტული საკეთებელი იქნება შესასრულებელი, არრას ვიღონებთ. ხოლო თუ არაფერი გამოგვივა ამ ათასგვარი მეცადინეობისგან, სხვას დავაბრალებთ, იმას რომ ეს გაეკეთებინა (ან არ გაეკეთებინა), ასეთი შედეგი არ იქნებოდაო.

სხვას დავაბრალებთ იმას, რაშიც ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, თორემ ლა'სკალაში რამდენ ქართველს უმღერია, წარმატებითაც და... არც თუ წარმატებითაც. არც ერთხელ არ მოგვსვლია აზრად, შეგვეთავაზებინა თეატრის ადმინისტრაციისთვის რომელიღაც სეზონის რეპერტუარში „დაისი" დაედგათ. ქართველ მომღერლებს იმდენი ღვაწლი ნამდვილად კი გვაქვს, რომ ქართველთა პატივსაცემად ერთ-ერთი სეზონი გაამდიდრონ ქართული რეპერტუარითაც.

მე ნამდვილად არ ვიცი რა ხდება საოპერო თეატრების კულისებში,

მაგრამ ჩემი სურვილია,

მოვისმინო ფალიაშვილი ლა'სკალადან,

ვიქტორ დოლიძე მეტროპოლიტენ-ოპერადან...

თავსაყრელად მაინც არა გვაქვს საოპერო ნაწარმოებები, მაგრამ რაცა გვაქვს, ჭეშმარიტად ფენომენალური გვაქვს.

„დაისის" უვერტიურა,

ცეკვა „ქართული",

კიაზოს არია,

მაროს დატირება

და საერთოდ მთელი საოპერო პარტიები და სამუსიკო მასალა მსოფლიო შედევრების რიგში დგას (ჩვენთვის მაინც).

მოისმინოს ეს ოპერა (აღარაფერს ვამბობ „აბესალომზე") ევროპამ და ქართველების მიმართ მეტი პატივისცემით განიმსჭვალებიან, ევროპა აღმოაჩენს ზაქარია ფალიაშვილს და მას თავისი მნიშვნელობით

ჟორჟ ბიზეს,

შარლ გუნოსა და

ჯორჯ გერშვინის გვერდით დააყენებს,

თუ გექტორ ბერლიოზის,

კამილ სენ-სანსისა და

ჟაკომო პუჩინის გვერდით არა.

ჩვენ - ხალხი და საზოგადოება ვართ, საზოგადოება კი ერის ნაწილია, ერისა, რომელიც მოაზროვნე და შემოქმედია. ეს გულგრილობა ჩვენი უარყოფითი თვისება როდია, ის მხოლოდ თანდაყოლილი ბუნებაა, რომლის დახვწა და გაკეთილშობილება ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა ისევ და ისევ ჩვენსავე სასიკეთოდ.

ჩვენ - პატარა ერის შვილები ვართ და თითოეული წარმოჩენილი ხელოვანი ჩვენი სიამაყეა.

ფიროსმანმა ისე მოიპოვა მსოფლიო აღიარება და საქართველოს ისე გაუთქვა სახელი, ქართველებს ამ საქმეში თითი თითზე არ დაგვიკარებია, ყველაფერი ძმებმა ზდანევიჩებმა შეაგროვეს და შეაკოწიწეს და ისე წარუდგინეს უცნობი მხატვარი პარიზს. პარიზული ფურორის შემდეგ დავტრიალდით და მოვიძიეთ ნიკალა, მისი მეგობრები, გავიკითხ-გამოვიკითხეთ მისი ცხოვრების შესახებ, რა უხაროდა, რა წყინდა. სამწუხაროდ საფლავი დავკარგეთ მისი, არადა მისი საფლავი საქართველოშია.

ამას უკვე ვეღარ დავკარგავთ ვერავინ.

რა გრიშაშვილიო,

რა ლეონიძეო,

ყველამ დავიჩემეთ ფიროსმანისტობა,

არადა, ერთხელ იმ სუსხიან წლებში, როცა ნიკალა ეულად დადიოდა ტფილისის ქუჩებში და გაზეთებში დასცინოდნენ, ხატვა არ იცით და ამით პარიზული ტრიუმფის გაუფასურება სურდათ,

გალაკტიონმა შეჰყვირა, ან თავისთვის ჩაილაპარაკა -

„დაანებეთ ფიროსმანას

სევდიანი ტვირთები".

ეტყობა გალაკტიონიც შეაწუხა ფიროსმანის მიმართ გამოჩენილმა უსამართლობამ, მაგრამ ამ სტრიქონების წერის დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გა-

ლაკტიონიც ფიროსმანსავით ეულად დარჩებოდა, ფიროსმანისგან განსხვავებით უამრავი პატრონის ხელში. ეს უკვე მრუდე სარკეში დანახული ერის სახეა.

დილემა

მუსიკას მოისმენს კაცი და სათანადოდ შეაფასებს მის მნიშვნელობას და ხარისხს ისე, რომ მაინცა და მაინც არ დაგაინტერესებს, რას მღერის ესა თუ ის მომღერალი, თუ ეს უცხო ენაზე სრულდება.

კარგ კომპოზიციას გაითავისებ და შენად მიიღებ.

სულაც არ არის სავალდებულო პარტიტურის თარგმნა „დაისისა", თარგმანი მხოლოდ მომღერალს გაუიოლებს ნამღერის აღქმას, თორემ ჩვენც ვისმენთ

იტალიურ,

გერმანულ თუ

ავსტრიულ ოპერებს და

ენის არცოდნის გამო ამ ნაწარმოებთა შეფასებაში არ შევმცდარვართ.

მხატვრობის მხრივ კიდევ უფრო იოლადაა საქმე - დაათვალიერებ ექსპოზიციას ისე, რომ ერთ ხმასაც არ ამოიღებ.

ლიტერატურასთან მიმართებაში კი საქმე სხვაგვარადაა.

მწერლობა ყოველთვის დამოკიდებულია ერზე და ენის სიმდიდრე-სიღარიბეზე. რამდენადაც მრავალრიცხოვანია ერი და ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, მით მეტი მკითხველი ჰყავს მწერალს, თუ რა თქმა უნდა, მისი ნაწარმოები არ სცდება იმ ერის ფარგლებს.

უმთავრესად კი იგი დამოკიდებულია სახელმწიფოსა და სახელმწიფო პოლიტიკაზე. თუ კონკრეტული ქვეყნის გავლენა ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც, დომინანტი ქვეყნის ენა საერთაშორისო ურთიერთობათა ენად არის მიჩნეული, შესაბამისად მწერალი იმდენსავე მკითხველს იძენს დამატებით, რიცხობრივად რამდენი ადამიანიცაა ამ საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებაზე დამოკიდებული.

თავისთავად ყველა ვერც და არც იქნება მკითხველი საზოგადოება.

რჩეულები ქმნიან კულტურულ ატმოსფეროს ყველგან.

ჩვენში ლევ ტოლსტოი უფრო ცნობილი მწერალია,

ვიდრე ბალზაკი და ჰიუგო ერთად აღებული და ეს იმიტომ, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და საერთაშორისო სალაპარაკო ენად რუსული იყო მიჩნეული, და არა ფრანგული,

რუსეთისთვის კი პირიქით, - ფრანგული, და არა ინგლისური.

რუსეთში ფრანგული ლიტერატურა უფრო ცნობილი იყო, ვიდრე ინგლისური, ეს სინდრომი მეტ-ნაკლებად ჩვენზეც გადმოდიოდა. IXX საუკუნეში, განსაკუთრებით ნაპოლეონის შემდეგ, საკოკეტო ენად ფრანგული ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დეკაბრისტები და პუშკინის საზოგადოება ფრანგულად საუბრობდნენ,

ეპისტოლარული ლიტერატურაც ამ ენაზე იქმნებოდა, როგორი საყოველდღეო და საყოფაცხოვრებო შინაარსის არ უნდა ყოფილიყო.

ეს პრობლემა თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა, ცოტაც და რუსული ლიტერატურა ფრანგულად დაიწერებოდა,

რომ არა

გერცენისა და გოგოლის,

ნეკრასოვის და ტიუტჩევის,

ტურგენევის და დოსტოევსკის დიდი მეცადინეობა რუსული ენის პოპულარიზაციის საკითხში.

საბოლოო წერტილი მედასავლეთეებსა და სლავიანოფილების დაპირისპირებას ტოლსტოიმ და ჩეხოვმა დაუსვეს.

რუსეთი ამ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი - მრავალმილიონიანი ერი და ჩვენ რა დაგვემართებოდა!.. მილიონებს ვინ დაეძებს, თითზე ჩამოსათვლელები ვიყავით. ვისთვის უნდა გვეთქვა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართული წიგნი ქართულად წაიკითხეო?! მადლობელი უნდა ვყოფილიყავით ნათარგმნის წაკითხვას თუ მოინდომებდნენ.

ქართულ წიგნს და ქართველ მწერალს კი არა, სულაც საქართველოს არ იცნობდნენ, ხოლო ვინც იცნობდა, იგი განგებ ცდილობდა მიეჩქმალა ქართული ფენომენი.

რამდენ საპოლემიკო ომში ჩართულა ილია ჭავჭავაძე უცხოელი მლანძღველები რომ მოგვეგერიებინა. ესენი ყველანი რუსები იყვნენ და იმიტომ, რომ რუსი დომინანტი იყო ამ ურთიერთობებში. მას უნდა ეკარნახა ჩვენთვის რა და როგორ გვეკეთებინა, მისი ტოლი რამეში არ უნდა ვყოფილიყავით, და მით უფრო უკეთესები. ყველანაირად ცდილობდა ჩვენი დამპყრობელი ჩვენში შეეფერხებინა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა.

რატომ იყო, მეოცე საუკუნემდე რომ კლასიკური მუსიკა არ გვქონდა,

გიგო გაბაშვილამდე კლასიკური ფერწერის სკოლა არ გვქონდა...

განა არ გვქონდა ეროვნული მუსიკა,

ეროვნული ფერწერა,

ეროვნული სკულპტურა,

ბუნებრივია გვქონდა და მისი განვითარების ყველანაირი საშუალება და ბაზა გაგვაჩნდა, მაგრამ პერმანენტულმა ომებმა და რუსულმა ექსპანსიამ ქართველები ჩამოგვარჩინა მსოფლიო კულტურული აღმასვლის კვალდაკვალ განვითარებას.

მხოლოდ მაშინ აღდგა ჩვენი პოტენციალი, ისიც სუსტად, რა დროიდანაც ჩვენ სასწავლებლად ვგზავნიდით ჩვენს ახალგაზრდობას არათუ რუსეთში, არამედ ევროპაში.

სწორედ რომსა და ვატიკანში მიღებულმა განათლებამ შექმნა ქართული კლასიკური მუსიკის საფუძველი და კერა,

იაკობ ნიკოლაძის როდენის სახელოსნოში დახელოვნებამ განავითარა ჩვენში სკულპტურა,

ფიროსმანს არსად და არავისთან უსწავლია, გარდა ეპოქისა.

გოგენმა ტაიტიზე წითელი ძაღლი და წითელი ცხენი შექმნა,

ფიროსმანმა ტფილისში გოგენისგან დამოუკიდებლად შექმნა წითელპერანგიანი მეთევზე.

წყალთან არის ასოცირებული გოგენის ცხენი და ძაღლი და ფიროსმანის მეთევზეც.

მოგვიანებით ეპოქის მაჯისცემაშესწავლილმა კანდინსკიმ შექმნა ტილო „წითელი ცხენის ბანაობა".

ამით იმის თქმა მსურს, რომ ხელოვნების ამ დარგებს არ სჭირდება საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალება - ლინგვა. მწერლობისთვის კი დახურულია ეს ფუფუნება და იგი დამოკიდებულია თარგმანსა და კალკირებაზე.

ფიროსმანს ვერაფერი მოუხერხეს, რადგან რუსეთის გვერდის ავლით გავიდა პირდაპირ ევროპაზე და ისეთ დროს, როცა მოდაში იყო მოდერნი. ჩვენ გვქონდა და გვაქვს იმისი პოტენციალი, რომ მსოფლიოში გავუთქვათ ქართულ გენს სახელი, მაგრამ საამისოდ არაფერს ვაკეთებთ, მტერი კი ყოველნაირად ცდილობს დაგვაჩლუნგოს.

ილია ჭავჭავაძე საუკეთესო რომანისტი იქნებოდა, მისი გენია არაფრით ჩამოუვარდებოდა

ფლობერს,

ჰიუგოს,

ბალზაკს,

დიკენსს...

მის თანამედროვეთაგან ყველაზე სახელგანთქმულ მწერლებს, მაგრამ ამაშიც გამოვლინდა ქართული გენიის ბედისწერა - სამშობლოს სადარაჯოზე პირველი მწერალი იდგა და თავისი პუბლიცისტიკით თავზარს სცემდა მტერს. მას უბრალოდ არ ეცალა რომანების წერით გართულიყო, იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ბუვიეს „იზას" თარგმანით.

მთელი შემოქმედებითი ძალისხმევა დიდმა ილიამ საბანკო საქმიანობას,

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას,

გაზეთ „ივერიას",

თეატრალური საზოგადოების ფეხზე დაყენებას შეალია.

ილია თვითონვე გადაიქცა რომანად, ერთ დიდ ქართულ საგად.

ილიას რომ რომანები ეწერა და ევრო-

პაში ამით გაეთქვა სახელი, საზოგადო საქმეს ვინ გააკეთებდა მაშინ? ვიღაცას ხომ უნდა ეტვირთა ეს მძიმე უღელი ერისა.

აკაკი ლექსებს წერდა,
ვაჟა ფილოსოფოსობდა,
ყაზბეგი რომანებზე მუშაობდა,
დავით კლდიაშვილი მოთხრობებს თხზავდა,
ილია მარტო იყო ყველას წინაშე, მტერსაც და მოყვარესაც სათანადო პასუხს სცემდა. მის ირგვლივ წრე შეიკრა თავსატეხების.

ხოლო ვინც რომანებსა და ლექსებს წერდა, იმათმა ქართული მწერლობა ვერ გაიტანეს საქართველოს ფარგლებს გარეთ. დასანანია, მაგრამ იმ დროშიც ყველანი ერთმანეთს ვუშლიდით ხელს.

დიდი მთარგმნელი ივანე მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ვინც რასაც აკეთებდა,
ერთმანეთს ხელს უშლიდა,
ესაოდა,-
მე უკეთ და...
მე უკეთესიო...

დიდ-პატარა ყველა ჩართულიყო ამ კინკლაობაში. ილია განზე იდგა მწერლობიდან, მაგრამ არც მას ასვენებდნენ საზოგადო საქმეთა კეთებაში და არც იგი აცლიდა სხვას რაიმე ეკეთებინა. დუელში გამოიწვიეს ერთმანეთი ნიკო ნიკოლაძემ და ილიამ. მორიგებით დამთავრდა პაექრობა. ბუნებრივია, ასეც დამთავრდებოდა, თორემ ამაზე დიდი სამარცხვინო არაფერი მოხდებოდა საქართველოში.

რუსეთში დიდ მწერლებს ბალი-ათიშაურად კლავენ დუელებში, ჩვენში კი ქურდულად და ჩასაფრებით ამოიღებენ მიზანში დიდ-კაცებს.

ესეც ჩვენი მამული და
ესენიც ჩვენი მამულიშვილები!!!

იმის ნაცვლად, რომ ხელი-ხელჩაკიდებულებს ერთმანეთი გაგვეტანა საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთ, ერთმანეთს შევუშალეთ ხელი. მტერი გაიხარებდა, აბა რას იზამდა. ახლა კი ვიღაცას გაუკვირდება, ამ მწერალთა კავშირში როგორ დაწყვიტეს ერთმანეთიო. ეს იმასთან შედარებით ბალღური სიცელქეა.

ეს მედლის ერთი მხარეა, მეორე კი სახელდობრ თარგმნის ფენომენი.

მხედველობაში არა მაქვს თარგმანის ტექნიკური მხარე, ანუ თარგმანის ხარისხი და დედანთან იდენტურობის მაჩვენებელი, ამ შემთხვევაში თარგმანის საჭიროების პრინციპზეა საუბარი.

მწერლები ყოველთვის ცდილობდნენ პოპულარულები ყოფილიყვნენ საზღვარგარეთ. ამიტომ მთარგმნელებს საგანგებოდ ირჩევდნენ. მთარგმნელებისთვის საპატიო იყო ასეთი მოვალეობის დაკისრება, გულმოდგინედაც შრომობდნენ და შედეგსაც შესაფერისს იღებდნენ. თარგმანის პრინციპს წარმოადგენდა ავტორისა და ნაწარმოების გაცნობა მსოფლიოსთვის, ყოველ შემთხვევაში მიდგომა იყო ასეთი.

რა თქმა უნდა, ამას კვალად მოჰყვებოდა ჰონორარიც, რომელიც დაწესებული იყო სახელმწიფოდანაც და გამომცემლობიდანაც.

ყოფილა საგანგებო დავალება-დაკვეთა,
ინდივიდუალური სურვილი,
პიროვნული ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალეობა,
ამ მიზეზთა უკან არ მდგარა
თარგმანით სპეკულაციით გამდიდრება,
გამოჩენა,
ქვენა გრძნობა.

დღეს ერთ სიტყვას არ გითარგმნიან ისე, რომ არ იყოს დაანგარიშებული მისთვის განკუთვნილი თანხები, არავინ მოკიდებს ხელს შენს ნაწარმოებს, როგორი ფენომენალურიც არ უნდა იყოს. თუ მთარგმნელი არ შეგითანხმდა გასამრჯელოზე, პატრიოტული გრძნობა უკანა პლანზეა გადასული. ათასი სისულელე ითარგმნება უცხო ენაზე იმიტომ, რომ ავტორები კარგად უხდიან მთარგმნელებს. ამდენად, საზღვარგარეთ მრავლად გადის მდორე და უხარისხო ნაწარმოები, ღირსეული და ღირებული კი უკეთეს დროს ელოდება, მაგრამ დადგება კი უკეთესი დრო?

ესეცაა, ზოგიერთს, ისწავლა რა უცხო ენა და ტყიპინებს რამოდენიმე ენაზე,წარმატებულ მთარგმნელად მოაქვს თავი. ამით ხარისხი კი არა, ფასი იწევს მაღლა, საკუთარი თავის ფასი, სხვა არაფერი. მნიშვნელობა არა აქვს რეალურია თუ არა ეს ფასი, მთავარია მოახდინა თვითშეფასება და ამით განსაზღვრა, ასე ვთქვათ, სათარგმნელო ბაზარზე ფასი.

ვისაც ხელთ არ ეწიფება, ბაზარს ვერ ეკარება, ამით შეიძლება არათუ კონკრეტული მწერალი, არამედ თვით ქართული ლიტერატურა დაზარალდეს...

და მართალი რომ ითქვას, სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა სამწერლო ,,ექსპორტირების'' საქმეში, ექსპორტის გარეშე კი მარტო ქართველ მკითხველზე დაყრდნობით სახელს ვერ დაიმკვიდრებს მწერალი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მისი შემოქმედება.

სადღეისოდ ქართულ მწერლობაში ყვავის არაპროფესიონალიზმი, მოდაშია მედროვე და უნიჭო მწერალი. ჭეშმარიტი ხელოვნება მიჩქმალულია.

ეს არ-ახალია,
ძველია.

მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ მოდურ მწერლუკებს დიდი ამბიციები გააჩნიათ და შესაბამისად გააჩნიათ სახსრები, რათა სხვისი კუთვნილი ადგილი დაიკავონ ისტორიაში. ბევრი ამბობს, რომ ისინი ისტორიაში ვერ შევლენ, ეს მხოლოდ სურვილიაო.

ისინი შევლენ ისტორიაში და ამ ეპოქაზე იტყვიან, რომ

ქართულმა მწერლობამ იმ დიდი სახელების შემდეგ განიცადა დეგრადაცია და მაგალითებად ამ უნიჭო მწერლებს დაასახელებენ.

თუ ამათ პარალელურად მაგიურ წრეს ჭეშმარიტი მწერალიც გაარღვევს და თავს გამოიჩენს სამწერლო ასპარეზზე, იმასაც დასძენს ისტორია, რომ აი, ასეთ დიდ მწერლებს ჩქმალავდნენ ეს მედღე-ხვალიე და მედროვე მწერლუკებიო...

და ეს ჩვენი ისტორია იქნება –
ჭეშმარიტი და შეულამაზებელი.
ისტორია კი
გინდა-არგინდა,
მოგწონს თუ არა,
მაინც უნდა გიყვარდეს,
სამშობლო ადამიანებიცაა, და მიტომ.

გარდასახვა

ისტორიამ მრავალსახეობის ოსტატობას შეგვაჩვია, დავხელოვნდით კიდეც ამ საქმეში. მტერი სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა და მას სხვადასხვა სახე ჰქონდა. ქართველებს ყველა ნიღაბი უნდა მოგვერგო ისე, როგორც ნამდვილი და არ უნდა გაჩენოდა მომხვდურს იოტისოდენა ეჭვი ჩვენი სახის გარდასახვის გულწრფელობაში.

ხანდახან მოღალატის როლსაც ვთამაშობდით მთელის გატაცებით და დავდიოდით ქვეყნად მოღალატის იარლიყით, საქვეყნო საქმეს კი ყოველთვის უჩუმრად ვაკეთებდით. ამ ეროვნული შეგნებით გვივლია ქვეყნად და სიკვდილისიც არ გვშინებია. მხოლოდ ისტორია ამბობდა პირუთვნელად ჭეშმარიტებას და მოღალატედ შერაცხულნი გმირებად ევლინებოდნენ მამულს. ნიღაბი კი იმდენად მორგებული იყო სახეზე, რომ გვაბნევდა, სინამდვილის აღაქმაში გვიშლიდა ხელს, კლიშეს ვერ ვიცილებდით.

ესეც ჩვენი ტრაგედია იყო, მაგრამ სწორედ ასეთმა ყოფა-ცხოვრებამ განავითარა ჩვენში სახიობობის ხელოვნება.

შემთხვევითი არ იყო ის, რომ ტფილისის მსახიობთა დასი კრწანისის ომში აქტიურად მონაწილეობდა.

კრწანისზე ხომ მხოლოდ მამულიშვილები იდგნენ,

მათ სჭირდებოდათ გამხნევება და თანადგომა,

გარდასახვა უნდა მოეხდინათ დაუძლევლობის,

თუნდაც სიკვდილის ფასად.

თამაში გათამაშებაში განსახიერდა,

გათამაშება კი სხვა არაფერია, თუ არა როლის შესრულება.

როლი დავალებაა თამაშში, რომელიც სხვადასხვა მოთამაშეს უნაწილდება.

ამ დავალებას

ზოგი პირნათლად ასრულებს,

ზოგიც ვერა.

სათეატრო როლიც ასეთივე დანიშნულებისაა. IXX საუკუნის 50-იანი წლების დასი საკმაოდ წარმატებული ამიტომ გამოდგა.

თეატრალური დასის განახლებამ კი ახალ სიმაღლეზე აიყვანა სამსახიობო ხელოვნება. იქმნება ქართული დრამატურგია, ყალიბდება თეატრალური საზოგადოება და ეს მოძრაობა ერთვება ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების საქმეში.

თაობას თაობა ცვლის, მომდევნო თაობა წინა თაობის უმჯობესია. ჩვენმა თეატრმა შექმნა პრეცედენტი მაყურებლის კულტურულ-საგანმანათლებლო აღზრდისა. აქამდე თუ ეკლესიებსა და სასწავლებლებში ხდებოდა ხალხის ერად ჩამოყალიბების, ადამიანის პიროვნებად გარდასახვის პროცესი, ამას თეატრიც დაემატა, როგორც თვალხილული ნიმუში ზნეობრიობისა.

იყო, რა თქმა უნდა, იდეოლოგიით დატვირთული რეპერტუარი -

ან ეროვნული,

ან ცარისტული,

ან კომუნისტური,

მაგრამ აუცილებლად ყოველ სპექტაკლში რაღაც კაცობრიულ ნიშს იძენდა მაყურებელი და იგი მსოფლიო ნაწილი ხდებოდა ისე, რომ აღარ იყო საჭირო რაიმეს მიჩქმალვა,

ვიღაცის გადამალვა,

რაღაცის გადათარგმნა.

სახიობას -

მიმიკას,

მოძრაობას,

ჟესტიკულაციას,

ცეკვას უკვე აღარ სჭირდებოდა ზედმეტი დახმარება პოპულარიზაციისათვის. ჩვენ ისე განვავითარეთ ჩვენი სახიობა, რომ კინოხელოვნებისთვის წინდაწინვე შემზადებულნი ვიყავით, თითქოს ვიცოდით მოახლოვებული ხელოვნების ახალი დარგი და ვგრძნობდით მის თავბრუდამხვევ წარმატებას.

ჩვენ არათუ კარგი მსახიობები გვყოლია და გვყავს, ჩვენ თვითონა ვართ საუკეთესო მსახიობები, უბრალოდ ყველას არ მიეცა ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება.

კინოხელოვნებამ მარადისობაში დააფიქსირა სახიობა. ჩვენ არავის გვინახავს მარჯანიშვილისა და ახმეტელის დადგმული სპექტაკლები და თავგამოდებით ვერ ვიმსჯელებთ მათ ავკარგიანობაზე. მხოლოდ თვითმხილველთა შთაბეჭდილებებს ვენდობით. საილუსტრაციოდ კი ისევ კინოს მივმართავთ, როგორ განასახიერებდა ესა თუ ის მსახიობი ამა თუ იმ როლს. ჩვენ კინო გვაძლევს იმას, რომ დავინახოთ მსახიობთა შემოქმედებითი ენერგია, მათი საშემსრულებლო სტილი.

მე დღესაც თვალწინ მიდგას სერგო ზაქარიაძის მიერ შესრულებული შადიმან ბარათაშვილის როლი.

ეს თამაში აღარაა,

ეს შესხეულებაა მსახიობისა პერსონაჟთან და იმდენად ჭეშმარიტად, რომ კარგა ხანი შადიმანად აღვიქვამდი მსახიობს.

ქართულმა გენმა შესძლო, თამაში ცხოვრებად ექცია და ცხოვრება თამაშად.

ამისი ნათელი დასტური თვით გიორგი სააკაძე იყო, რომელმაც ისე მოირგო მოღალატის ნიღაბი და ისე ასრულებდა მთელი ცხოვრება ამ სამარცხვინო როლს, რომ რაღაც მომენტში ეჭვიც კი მეპარება, თამაში რეალობაში ხომ არ გადაუვიდა და თვითონაც ხომ არ ირწმუნა ამ როლის განამდვილება?

ეს საკითხი, რა თქმა უნდა, სხვა საკითხია და მხოლოდ სიტყვამ მოიტანა.

აქ მთავარი ისაა, რომ ამ გარდასახვაში, ისტორიული კატაკლიზმების ოროომტრიალში ჩვენ ვიწრთობოდით დიდ და განუმეორებელ მსახიობებად. ერთობა სამშობლოს გულიდან მოდის და საკუთარ თავს კვებავს. ჩვენთვის ამ თამაშში აპლოდისმენტები არავის დაუკრავს, რადგან ყველას ჰგონია, რომ ეს თამაში კი არა, იყო მხოლოდ ცხოვრება.

ასევეა გარდასახვით მოცემული სახეები: ჰამლეტის,

ოიდიპოს,

რიჩარდ მესამის...

ეს ჩვენ ვიყავით ნერონზე უკეთესი მსახიობები და მეფეებიც ამავდროულად.

უნდა ითქვას მთელის გულწრფელობით, რომ აკაკი ვასაძის მიერ შესრულებული შაჰ-აბასის როლი როლად არ მიმაჩნია, იგი თვით შაჰ-აბასი იყო იმჟამად, კი არ თამაშობდა როლს, არამედ მსახიობი გარდაისახა ცინიკოს და ვერაგ დამპყრობლად. მის თვალებში საშუალო საუკუნეების დაუნდობლობა იკითხებოდა. მისი დამოკიდებულება ქვეშევრდომთა მიმართ შეუდარებლად არის გადმოცემული. ვერც ერთი სპარსი ისე ვერ შეასრულებდა შაჰ-აბასის როლს, როგორც ეს ქართველმა შეასრულა.

ესეც ალბათ ბედის ირონიაა.

ჩვენ უცხო მეფეებს უფრო კარგად განვასახიერებთ, ვიდრე ქართველებს.

ესეც ერთგვარი ნიჭია და ეს ნიჭი მსახიობს კი არ ეკუთვნის და მისგან კი არ გამომდინარეობს, ეს ჩვენი გენეტიკურად გარდასახვით მონიჭებული იმიტაციის ინსტინქტია და სხვა არაფერი.

სწორედ ამ გარდასახვით გადავრჩით, კარგად შევძელით სხვათა სახის ათვისება ისე, რომ საკუთარი სრულად შევინარჩუნეთ.

სწორედ ესაა და

მხოლოდ ესაა სამშობლო!!!

ამიტომ გავედით მსოფლიო ასპარეზზე ქართველები, როგორც ნიჭიერი მსახიობები.

ცხოვრებამაც გვამსახიობა ერთმანეთთან, ამიტომ ერთმანეთი კარგად რომ შევისწავლეთ, ამიტომ ჩვენი ანეკდოტები და იუმორიც კი ცოტა არ იყოს მკბენარაა.

სახიობამ იმდენად დაგვიპყრო, რომ არათუ მეფეებს უცხოეთის ლიტერატურულ გმირებსაც შესანიშნავად ვართმევთ თავს, საკუთარს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას.

ზინაიდა კვერენჩხილაძეზე უკეთესი ანტიგონე არ ექნებოდათ გაზრდილი თვით ძველ ელადელებს,

იფიქრებ იმასაც, რომ მხოლოდ ვერიკოსთვის თუ შეიქმნა ივდითის სახე მსოფლიო დრამატურგიაში,

დედოფალ მარგოს როლი ხომ მხოლოდ სესილიას უნდა ეთამაშნა ქვეყნიერებაზე და ამით უნდა თქმულიყო ყველაფერი (და ითქვა კიდეც).

სერვანტესის „დონ კიხოტი“

რამდენჯერ არ დაიდგა,

რამდენჯერ არ გადაიღეს,

რომელ ქვეყანაში არა,

რომელ დროსა და ეპოქაში არა,

მაინც ქართველებმა რომ გავართვით თავი მწუხარე სახის რაინდის სახებას,

არავინ თქვას სხვა.

ეს ტრაბახი არაა, ეს ისეთი რეალობაა,

რასაც თვით შექსპირის სამშობლო აღიარებს,

სერვანტესის სამშობლო აღიარებს...

და ვინ არა...

ჩვენ ამას არ ვამბობთ,

ჩვენ მხოლოდ მათ ნათქვამს ვიმეორებთ და ხაზს ვუსვამთ ქართულ გენიას სახიობობის ხელოვნებაში.

აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო - იმ მაჩაბელის სამშობლოში, რომელი მაჩაბელიც კრწანისის ველზე იდგა და კიდეც იბრძოდა და კიდეც ამხნევებდა თანამებრძოლთ.

ჩვენ სხვათა ომებში ისე ვიბრძოდით,

მტრის წისქვილზე ვასხამდით წყალს ჩვენსავე საზიანოდ.

აბა სხვა რა იყო XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთის დროშის ქვეშ ავღანეთის სპარსეთზე ექსპანსიის შეჩერება და ამით ჩვენი ოდითი მტრის გაძლიერება ისე, რომ ჩვენც გადმოგვწვდა მერე და მერე. ეს რომ არა, შესაძლოა IXX საუკუნეში, ანუ რევოლუციებისა და გაბატონებული ბურჟუაზიის ერაში შეგვებიჯებინა მხნედ, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა და არ ჩამოვრჩენოდით მსოფლიო ძვრებს.

მეტად ვიქნებოდით ფასდადებულნი და ისიც შეიძლებოდა მომხდარიყო, მსოფლიო მომავალი რაღაც წილად ჩვენი გადასაწყვეტიც ყოფილიყო.

არ ვიქნებოდით მსახიობები და იმიტატორები, სამაგიეროდ ვიქნებოდით თავისთავადნი, ეგვიპტესა და ერაყს თუ არ განვაგებდით, ვიქნებოდით ძლიერი საქართველოს მმართველები და

რაც სპარსეთს დავეხმარეთ,

რაც მამლუქებმა საკუთარ აღვირქვეშ მოვაქციეთ,

არ იქნებოდა ესენი არც ერთი, როგორც ავი სიზმარი.

სამაგიეროდ ყველა დაკარგულის გონება და ძალა მოხმარდებოდა საქართველოს. ჩვენ მამაცი ხალხი ვართ და არ გაგვიჭირდებოდა დავითისა და თამარის საქართველოს განმეორება, ახლა კი ეს ძნელია და ფაქტიურად შეუძლებელი.

ახლა მხოლოდ უნდა ვიოცნებოთ როგორც მსახიობებმა, წარმატებული როლის მოცემის მოლოდინში რომ არიან.

წარმატებული როლები კი სხვათა ნამოქმედარიდან გამომდინარეობს, სხვისი ორიგინალის ასლებად გადავიქეცით.

დასანანია, როგორ გაიფლანგა ქართული ნიჭი (და დღესაც იფლანგება), რომ ერთი ხეირიანი სიტყვა მსოფლიო ასპარეზზე როგორც ქართველებს (და არა როგორც მანქურთებს) არ გვითქვამს.

და მაინც...

რაც სამშობლოა და სამშობლოს ასოციაციას იწვევს, უნდა გვიყვარდეს. პატრიოტიზმი კაცთმოყვარეობას გვაჩვევს და იმაზე დიდი კოსმოპოლიტი არავინაა ქვეყნად, ვიდრე პატრიოტი. ამას ვაჟა-ფშაველა ამტკიცებდა, არათუ მხოლოდ სტატიით, არამედ პირადი ცხოვრებითაც.

ვაჟა-ფშაველა ქართველი რომ იყო, იმიტომ უყვარდა მშობლიური მიწა-წყალი. უადამიანოდ არ არსებობდა მისთვის მამული, ფოთოლი არ ცოცხლობდა,

ბალახი არ სუნთქავდა უადამიანოდ.

ბუნება რომ უყვარდა, ბუნებამ სახელმწიფოებრივი საზღვრები არ იცის და ამიტომ მას თვით დედამიწა უყვარდა -

თავისი ნაკლით,

თავისი მომხიბვლელობით,

თავისი სიდიადით და

თავისი სიმცირით.

ჩვენ რამდენადაც მცირერიცხოვანი ერი ვართ, იმდენად უფრო ზვიადი ბუნება გაგვაჩნია.

მამულის ისტორია მარტო ბუნებით არ შემოიფარგლება, ეს მხოლოდ გეოგრაფიაა, მისი გარეგანი სახე. მისი ცხოვრება, მოვლინების შინაარსი და დანიშნულება მის განვლილ გზაშია. გზას კი მხოლოდ ადამიანები გადიან. ამიტომ თუ სამშობლოს სიყვარულზე ვდებთ თავს, უნდა გვიყვარდეს ის განვლილი მრუდე, ეკალ-ბარდიანი დიდების შარავანდედით მოსილი განვლილი და გასავლელი გზები. ყველაფერი ეს გვაახლოვებს საკუთარ თავთან და ისე გვაახლოვებს, რომ სხვის თვალებში საკუთარ თავს ვუყურებთ სარკესავით და ის გვიყვარს იმიტომ, რომ მასში ჩვენი თავიც იგულისხმება. სწორედ ესაა მამულიშვილობა.

ერთ პროზაულ ლექსში ოსკარ უაილდმა წყალი ალაპარაკა, ზეაღმატებული, მიწიერი ნარცისიზმით გაჯერებული:

,,რომ ჰკითხეს წყალს, რად დაღონებულხარო, მან პასუხად მიუგო, - მე ნარცისს კი არ ვდარდობ ჩემში ჩამხრჩვალს, არამედ მის თვალებში მე საკუთარ თავს ვუყურებდი და ის დავკარგეო", - ასეთი შინაარსის იყო ეს ლექსი.

ჩვენ ისე უნდა ვუყუროთ ერთმანეთს, რომ საკუთარი თავი მარტო კი არ დავინახოთ, არამედ იმ დანახულ საკუთარ თავში ვინძლო იქნებ საქართველოს მომავალი სახე დავხატოთ.

დაბოლოს, ეს სტატია მსურს დავასრულო ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის მაჰათმა განდის სიტყვებით:

,,იმაზე მეტს ვერაფერს დავიჩემებ, რასაც რიგითი მეცნიერი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ცდებს უაღრესი კეთილსინდისიერებით, გააზრებულად და ზედმიწევნითი სიზუსტით აყენებს, არასოდეს ამტკიცებს, რომ მისი დასკვნები ამომწურავია".

ამაზე მეტი თავმდაბლობით ვერავინ იტყვის ვერაფერს მაშინ, როცა განდის ადგილას სხვა თანამედროვე პოლიტიკანი თავს გადაგვჭამდა: - ნახეთ რა კარგი ვარო, როგორ ვარიგებ ვაუჩერებსო. ■

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

საადგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო ერთგულნო და თავდადებულნო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნო და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო.

„მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და სულით, რომელნიც არიან ღმრთისა“ (კორინ. 6,20)

„ლხენით ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემმოსა ხსნის სამოსელით“ (ეს.61,10)

„დღეს აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ აწ ერნო...“ (ზატიკი)

უფალი, „რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის, აღსდგა ჩვენს განსამართლებლად. (რომ.4.25) და სიკვდილიცა მოკლულ იქმნა მის მიერ (პარაკლ.) გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა!

სად არის სიკვდილო საწერტელი შენი?

ქრისტე აღდგა!

სად არის ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?

„აღდგა ქრისტე და დაირღვიე შენ; აღდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს“ (წმ. იოანე ოქროპირი).

როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის გაწირვა მართალთათვის, ქრისტემ კი თავი დადო ჩვენთვის, რომელნიც ვიყავით უცხონი, მტრები და მოწინააღმდეგეები მისთვის.

- და რატომ ვიყავით მტრები და უცხონი?

- ღმერთი სიყვარული არს და ამ გრნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სიწმინდეში, მოწყალებაში, სიხარულში...

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით დაცემამდე მთელი სამყარო, დედამიწა და მკვიდრნი მას შინა.

როდესაც გველის ცდუნებით ადამმა და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით მათ შემომქმედზე და მისი მცნებებით ცხოვრებაზე თქვეს უარი. უარი თქვეს იმ სიყვარულზე, რომელიც სხვისთვის გასცემს ყველაფერს და არ ეძებს თავისას; მადლდაკარგულებს ამპარტავნების ენება დაეულათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ და წაერთვათ საგანთა და მოვლენათა არსში სრულყოფილად წვდომის უნარი.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა და საღვთო დიდებისათვის განმზადებულმა თავი წარწყმედისთვის გაწირა. ამატომაც ვიყავით განშორებული ღვთისგან.

- როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით?

ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთს იმკვიდრებდა.

მამა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თვისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეუერთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცება.

იესო ქრისტემ ყოვლისმომცველი, მსხვერპლშეწირული სიყვარულის ძალით ბოროტების საკრველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მეფობა, მართალთა სულები იქიდან ამოიყვანა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი გახსნა.

დიახ, ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ ცხონების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად.

ამიტომაც წერია ფსალმუნში: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა“, ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდანთა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენით და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მოწყალებით, წმინდათა შორის დაემკვიდრება (რა თქმა უნდა, სხვადასხვა სავანეში, თავისი ამქვეყნიური ღვაწლის შესაბამისად), ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ლოცვაში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს: „წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე, მონასა (ან მხევალსა) შენსა...“

სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს:

უფლის ჯვარცმისას იხილეს მრავალი სასწაული: დაბნელებული და ხელახლა გაბრწყინებული მზე, განპობილი კრეტსაბმელი, მაცხოვრის გვერდიდან გადმოღვრილი სისხლი და წყალი, მიწისძვრა, საფლავთაგან მკვდართა აღმოსვლა, სასწაული უფლის საფლავად დადების ჟამს... მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება ჩემი ცხონების სასწაულს!

ხოლო ვისაც ეს არა აქვს გაცნობიერებული, ფუჭია მისი სარწმუნოება. აი, როგორ გვაფრთხილებს მოციქული: „თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოსავნი, კაცთა შორის უსაწყალობესნი ვართ“... ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქმედება და ამაოა თქვენი რწმენა“ (I.კორ.15;14 19),

- თუ სიკვდილი განქარდა, რატომღა კვდებიან ადამიანები, რატომ დარჩა გარდაცვალება ყველასთვის აუცილებელ მოვლენად?

სამოთხეში ადამს და ევას სხვაგვარი სხეული ჰქონდათ, შემდეგ კი ხრწნადობა შეიმოსეს და მოკვდავნი გახდნენ. აქედან მოყოლებული ადამიანი ამ მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთობას წარ-

მოადგენს, რომელთა განცალკევებაც სიკვდილისთანავე ხდება.

მართალთა სულები ქრისტეს აღდგომის შემდეგ უფლის წიაღს იმკვიდრებენ, ცოდვით დამძიმებულთა კი, - კვლავ ბნელეთის ანგელოზთა დასს უერთდებიან. სხეული კი იხრწნება და უერთდება მიწას, რომლისგანაც შეიქმნა. როგორც მარცვალი ხნულში ითესება და იხრწნება, რათა აღდგეს უხრწნელებით, ასევე „ითესება სხეული მშვინვიერი და აღდგება სხეული სულიერი, ითესება დამცირებაში და აღდგება დიდებაში“ (I-კორ. 15. 44, 45).

ეს მოხდება მეორედ მოსვლის ჟამს. ყოველი გარდაცვლილის სული (ცოდვილთა თუ მართალთა) შეიერთებს თავის უხრწნელ სხეულს.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი სული და სულიერი სხეული მარადიული ნეტარებისათვის აღდგეს და არა მარადიული სატანჯველისა და გეენიისათვის.

ზოგიერთს სიკვდილისადმი აქვს ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება, ზოგს კი - ავადმყოფური შიში. ხშირად ერთნიც და მეორენიც ამიტომ არ ფიქრობენ ამ საკითხზე, რაც არ არის სწორი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაცვალება აუცილებლად გველის და ყოველი დღე უნდა გავატაროთ ისე, როგორც უკანასკნელი. მაშინ მეტი დაკვირვება გვექნება საკუთარ თავზე, მეტი გულისყურით მოვეპყრობით მოყვასს და ღვთის სათნოდ მოვიქცევით ამა თუ იმ ვითარებაში.

- როგორ მივხვდეთ, რა არის მართებული ქმედება?

მთავარი ორიენტირი ჩვენთვის უნდა იყოს მაცხოვარი, რომლის მიერაც განგვეცხადა ადამიანის სიდიადე; უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ ჩვენგანს, ზიარების მადლით, შეუძლია, ძალისამებრ თვისასა დაიტიოს იგი და შეუერთდეს მას, რათა განიღმრთოს და მიაღწიოს იმ სისრულეს, რისთვისაცაა მოწოდებული.

თუმცა ეს შეერთება ვერ შედგება, თუ არ მოხდა პიროვნული შეხვედრა მაცხოვართან, - შეხვედრა ცოცხალ ღმერთთან!

ეს არის ყველაზე დიდებული ჟამი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში; ეს არის ჭეშმარიტ სიყვარულთან დაბრუნების და მისით აღვსების საოცარი განცდა, რომელიც სრულიად გარდაქმნის ჩვენს შინაგან სამყაროს და მადლით აღავსებს სულს;

არის მადლი მომხმობი, მომწოდებელი, რომელიც კაცს განაცდევინებს სასუფევლის ნეტარებას და სინანულისთვის განაწყობს. მერე კი იწყება გამოცდის ჟამი, ანუ ის ეტაპი, როდესაც შენ შენი შრომით, სინანულითა და ჭირითა დათმენით უნდა ააღორძინო და განამრავლო იგი.

ღმერთი ყველგან სუფევს, მაგრამ ეკლესიაა სულიერი სხეული მისი, სადაც საღვთო სიდიადე სრულად ვლინდება კაცთა წინაშე. ეს არის ის სივრცე, სადაც აღესრულება საღვთო საიდუმლოებები, სადაც ყოველ წირვაზე უხილავად მყოფობს უფალი და წმინდა ზიარებით მასთან შეერთების საშუალებას გვაძლევს.

მაგრამ ღმერთთან კავშირი ორმხრივი მოვლენაა, შენ ვერ ჰპოვებ უფალს, თუ არ შეიცანი იგი, თუ არ აღივსე ღვთისმსგავსი უშურველი სიყვარულით.

ასეთი სიყვარულის უნარი ადამიანს აქვს და იგი ვლინდება მაგ.შვილების, მშობლების, მეუღლის, დედ-მამიშვილების, მეგობრებისა და ახლობლებისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და, საჭირო შემთხვევაში, თავგანწირვაშიც.

ამგვარი სიყვარულით, პირველ რიგში, უნდა შევიყვაროთ იესო ქრისტე, რომლისგანაც მოგვეცა ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მასზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავინ და არაფერი. ეს არის ყოვლად აუცილებელი პირობა ჩვენი გადარჩენისა; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შეცდომებისა და არასწორი აზროვნებისაგან არაფერი დაგვიცავს.

ხოლო ვისაც ამგვარი განცდა და ცოცხალი სარწმუნოება არა აქვს, მისთვის საეკლესიო მსახურება, უფლის სწავლანი და საიდუმლოებები გაუბრალოებულია, მხოლოდ რიტუალია და სიღრმისეულ აზრს მოკლებული სიტყვები. ამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს როგორც მრევლის წევრი, ისე სასულიერო პირი.

ამგვარი ადამიანის აღსარება და სინანული არაგულწრფელია, შედეგი - უღირსი ზიარება და სულის გაუხეშებაა. ეს არის ნელ-თბილი სარწმუნოება, რომელიც მეტად საშიშია და მიუღებელი ღვთისთვის.

სინანულს ბერძნულად „მეტანია“ ქვია, რაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში „გონების შეცვლას“ ნიშნავს. აი, ეს უნდა მოხდეს ჩვენში! მაგრამ ამას კი ვერ მივაღწევთ, თუ მუდმივად არ ვაკვირდებით საკუთარ თავს, თუ აღსარებიდან აღსარებამდე ჩვენში უკეთესობისაკენ მცირედი ცვლილება მაინც არ ხდება, თუ ცოდვას არ ვუპირისპირდებით და არ ვებრძვით.

ზოგიერთი ეშმაკის გავლენით, პატივმოყვარეობის ან სირცხვილის გამო ბოლომდე არ აღიარებს ცოდვას, ან შელამაზებული სახით ამბობს სათქმელს და ამით ხელს უშლის საკუთარ განწმენდას.

ამ დროს პირიქითაა, მძიმე დანაშაულის ჩამდენის გულწრფელი სინანული სასულიერო პირს მისდამი თანალმობით განაწყობს და სწორი რჩევის მიცემის საშუალებას აძლევს; ადამიანს კი უფალი წყალობას მაშინვე ანიჭებს.

დიდ პრობლემას ქმნის ორიენტირების აღრევაც, როდესაც ზოგიერთი საშუალებას მიზნად მიიჩნევს, მიზანს კი, საშუალებად.

საერთოდაც, ბევრი რამ არის ჩვენს ყოფაში გაუკულმართებული: ხშირად ადამიანის სიცოცხლეს იოლად ხელყოფენ, არადა, ადამიანის მკვლელობა უდიდესი ცოდვაა. უფლება არა გვაქვს, ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლე წავართვათ ვინმეს.

ასევე უმძიმესი და მკვლელობის ტოლფასი ცოდვაა აბორტი. ამ მომაკვდინებელი დანაშაულის ჩამდენნი არა მხოლოდ მშობლები არიან, არამედ ისინიც, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ქმედებაში.

დიდად ვწუხვართ თვითმკვლელთა რიცხვის ზრდის გამო. სიცოცხლე ღვთის უდიდესი წყალობაა და დაუშვებელია ვინმემ თავისი ნებით მოისწრაფოს იგი. ამ ცოდვის ჩამდენთ ტყუილად გონიათ, რომ სიკვდილით პრობლემებისგან გათავისუფლდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ თავს მარადიული სატანჯველისთვის წირავენ.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი შრომას გადაეჩვია. არადა, შრომა აუცილებელია როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი და სულიერი.

მშობლებმა ბავშვობიდანვე უნდა შეაყვარონ შვილებს ეს საქმე. ამასთან, უნდა აღზარდონ ისე, რომ ღვთის სიყვარულთან ერთად სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ასწავლონ. ასწავლონ, სირთულეების დაძლევა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

ჩვენ დიდი იმედით ვუყურებთ ახალგაზრდებს; მართალია, მრავალი მათგანი სერიოზულ შეცდომებს უშვებს ემონება-რა ნარკომანიას, ლოთობას, გარყვნილებას.., მაგრამ გვჯერა, ღვთის მადლით, ისინი შეიცნობენ ამ ცოდვათა დამღუპველობას და ღმერთს დაუბრუნდებიან; მიხვდებიან, ცხოვრებისეული ჯვარი იმიტომ მოგვეცა, რომ იგი რწმენითა და სიყვარულით ღირსეულად ვატაროთ და ჩვენი ჯვარცმა, განსაცდელები და პრობლემები, ჩვენს აღდგომად და ამაღლებად გადავაქციოთ.

არასწორმა ცხოვრების წესმა დაარღვია ტრადიციული ურთიერთობებიც.

მაგალითად, ქართული სუფრა ყოველთვის იყო სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟკაცობის სადიდებელი, ჭირის სუფრა კი, - გარდაცვლილთა მოსაგონარი და შესანდობარი.

როგორც ერთი, ისე მეორე სერობა იწყებოდა და მთავრდებოდა ღვთის დიდებით. ახლა კი, ასეთი შეკრებები ხშირად დაუსრულებელ ქეიფად და ღრეობად იქცა, სადღეგრძელოები კი, - ფარისევლურ ქებადიდებად, რაც უნდა გამოსწორდეს.

რაკი ღვინისა და, საერთოდ, პურობის საკითხს შევეხეთ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ საუკუნეების მანძილზე მევენახეობა და მეხორბლეობა ჩვენი ყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი კაცი მასში განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც

დებდა და ზიარების საიდუმლოს აღსასრულებელ შესაწირად აღიქვამდა. ამიტომაც ამ კულტურებზე ზრუნვა საუფლო საქმედ მიიჩნეოდა.

ათეისტური რეჟიმის დროს ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, - უნიკალური ქართული ხორბლის და საველახე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსა და მესხეთ-ჯავახეთში) ჯიშები ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ განადგურდა და მათი ადგილი ჰიბრიდულმა, ნაკლებად შრომატევადმა ჯიშებმა დაიკავა. ამას დაემატა ღვინის შაქრით ფალსიფიცირება, რაც ადრე ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო. ასე შეილახა და გაუბრალოვდა საკრალური დატვირთვის მქონე ვენახისა და ხორბლის მნიშვნელობა.

საჭიროა, შევიცვალოთ დამოკიდებულება და სწორ ორიენტირებს დავუბრუნდეთ. მადლობა ღმერთს, დღეს მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება და ამაში გულანთებული უანგარო ადამიანების დიდი ღვაწლია ჩადებული.

მინდა ყურადღება გავამახვილო ცოდვისადმი ნელ-თბილი ადამიანის დამოკიდებულების რამდენიმე გამოვლინებას:

ვიღაცას ჰგონია, რომ როცა სხვას შეურაცხჰყოფს, ან ცილს დასწამებს, უმიზეზოდ განურისხდება, ან ბილწსიტყვაობით აჯობებს, ეს დიდი ცოდვა არ არის. მწარედ ცდებიან.

თუ გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ძირითადი მიზეზი არის ვიღაცის გაბოროტებული სიტყვა. ხშირად ოჯახებიც შელაპარაკების ნიადაგზე ინგრევა; უხეში სიტყვის გამოყენების პრაქტიკამ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მასმედიაში...

სიტყვა უდიდესი ძალაა. ღმერთი არის სიტყვა, ხოლო ავი სიტყვა ეშმაკისეული გამოვლინებაა. თითოეული ჩვენი ნათქვამი ბუმერანგივით დაგვიბრუნდება. შეგახსენებთ მაცხოვრის დარიგებას: „მე გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას (ანუ მოყვასს), სამართალში უნდა მიეცეს, ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა (უგუნურო), სინედრიონის (სამსჯავროს) უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო (ცოფო, უსინდისო), ცეცხლის გეენიაში უნდა ჩავარდეს (მათე. 5,22).

იაკობ მოციქული კი გვაფრთხილებს: „პატარა ცეცხლი რამხელა ტყეს ჰბუგავს, ენაც ცეცხლია, სიცრუის სამკაული. ენას ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ასოთა შორის, ბილწავს მთელ სხეულს და ცეცხლად აქცევს სიცოცხლის ჩარხს.“

ამიტომაც მეტყველებისას ყველას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს.

შევეხები მეტად საშიშ და სერიოზულ პრობლემას, - სათამაშო ბიზნესს. ეს საქმიანობა, მართალია, ბიუჯეტისთვის ალბათ, მომგებიანია, მაგრამ იგი იმდენად უარყოფითი მოვლენაა, რომ ბევრ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი მას ბოლო დროს ინტერნეტ-სამორინეც (კაზინო) დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში (კაზინოში) ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტ-სივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს; ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უმკლავდებიან და დიდ ვალში და დიდ პრობლემებში ვარდებიან.

კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, რომელნიც მიჯაჭვულნი გახდნენ ამ საცდურზე; ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა.

ვფიქრობთ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით და შესაძლებლობისამებრ დაიცვას ქვეყნის აწმყო და მომავალი.

აქამდე იმათ შესახებ ვისაუბრეთ, რომელთაც ღმერთის არსებობა სწამთ; რაც შეეხება ურწმუნოთ, ადრეც მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ მატერიალურ-ტექნიკურმა წინსვლამ და სულიერ განვითარებაზე ნაკლებმა ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი ადამიანში ამპარტავნებისა აღზევებასა და ათეისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას, იმ აზრის განმტკიცებას, თითქოს მისთვის საიდუმლო აღარ არსებობს, რომ თვითონ შეუძლია ყველაფერი მართოს და განაგოს.

მაგრამ უღმერთო კაცმა დღემდე ვერ იპოვა უმთავრესი,- სიცოცხლის საზრისი, და ვერც სიკვდილის საიდუმლო ამოხსნა. აქედან გამომდინარე, ცუდი და კარგი, ცოდვა და მადლი, მისთვის ფარდობითი და პირობითი ცნებები გახდა. ამიტომაც ასე მოაზროვნე საზოგადოება ადვილად მივიდა ცოდვის და გაუკუღმართებული ურთიერთობების დაკანონებამდე.

მართლაც, თუ არ არსებობს ღმერთი, რა თქმა უნდა, არ არსებობს არაფერი მიუღებელი, არ არსებობს არანაირი სულიერი მიზანი, რომლისკენაც იგი უნდა ისწრაფვოდეს, ანუ სიცოცხლეს, ფაქტობრივად, არ აქვს აზრი.

რჩება მხოლოდ წარმავალი მიწიერი ყოფა და ამქვეყნიური ვნებები, სიმდიდრითა და პატივით მიღებული დროებითი სიამოვნება, რომლის შედეგი სასოწარკვეთა და დეგრადაციაა, დასასრული კი, - არარაობა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვეცნობიერად ყველამ, მორწმუნემაც და ურწმუნომაც, - მეტ-ნაკლებად იცის, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე მაინც გრძელდება. ამას იგი გრძნობს იმ წარუშლელი ღვთიური ნაპერწკალით, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია ჩადებული შემომქმედისაგან და რომლის საშუალებითაც სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე რჩება შესაძლებლობა სინანულის, მოქცევისა და ღმერთთან შერიგებისა.

გავიხსენოთ ავაზაკი, რომელმაც სულიერი ფერისცვალება სიკვდილის წინ, ჯვარზე გაკრულმა, განიცადა და მაშინვე ღირსი გახდა, პირველი შესულიყო სასუფეველში.

ჩვენ ვცხოვრობთ რელიგიური აზროვნებისა და იდეოლოგიების ზეობის ეპოქაში;

როგორც ერთ-ერთი ცნობილი თეოლოგი ამბობს, რელიგიასა და იდეოლოგიას შორის უდიდესი განსხვავება იმაშია, რომ რელიგია და რწმენა ყოველთვის ძალზედ პირადულია და ღრმა შინაგანი გამოცდილებით მიიღწევა, მაშინ როცა ნებისმიერი იდეოლოგია ყოველგვარ პირადს, როგორც უსარგებლოს, უარყოფს.

ამიტომაც არის, რომ არც ძველი და არც რომელიმე თანამედროვე იდეოლოგია, პიროვნების იდეას არ სცნობს.

ადამიანი ყველაფერზე მაღლა იესო ქრისტემ დააყენა და იგი გახადა თავისი უდიდესი სიყვარულის ობიექტი. ამასთან, ადამიანს მან უდიდესი ნიჭი, - თავისუფლება უბოძა და მისცა არჩევანის საშუალება. თითოეული ჩვენგანი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დღესაც ყოველწუთს აკეთებს არჩევანს კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და ეშმაკს შორის და ეს ჩვენი უფლებაა.

ჩვენი ნება ღვთის ნების შესაბამისი უნდა გახდეს, მაგრამ, არა იმიტომ, რომ ასე ვინმემ გვიბრძანა, არამედ იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენს დიდ სურვილად და სწრაფვად უნდა იქცეს; იმიტომ, რომ ჩვენ მოვინდომეთ, გავხდით ადამიანები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, უდიებო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, იეზიდნო, ქისტნო, ასირიელნი, სხვანო ყოველნო, ჩვენ ყველანი ხატად და მსგავსად ღვთისა ვართ შექმნილნი და თითოეული ჩვენგანის სულშია ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც დღეს ღაღადებს, - ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

მართლაც, ყველასთვის აღსდგა ქრისტე, ყველა ადამიანს შეუძლია შეცვლა და ფერისცვალება, რადგან, როგორც წმ. ირინეოს ლიონელი ბრძანებს, ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია.

მაშ, ვმადლობდეთ უფალს, რომელიც სიხარულით შეგვიძღვა თავისი აღდგომის ნავთსაყუდელში, ვმადლობდეთ ყოველნი, რომელთაც კეთილად განვლეთ სარბიელი მარხვისა; ვმადლობდეთ ისინიც, რომელნიც უძლურ ვიქმენით ამგვარი ღვაწლისა (სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი). ამიერიდან ნუღარავინ ჰბრწის და ეშინის, ჭეშმარიტი სიყვარული და მარადიული სიცოცხლე დაუბრუნდა კაცობრიობას; იხარებს ადამის მოდგმა და მთელი სამყარო!

ქრისტე აღსდგა!

აღსდექით თქვენც და მასთან ერთად ეგეთ უკუნისამდე.

29 მაისს, 8 საათზე,
მილენიუმ-თეატრში
გ ი წ ვ ე ვ თ

ქართული სიმღერის დღესასწაულზე

თქვენს წინაშე წარდგებიან:
„ალილო“
და თეატრალური კვარტეტი

გია დავითიანის, ლაშა ღლონტის,
მიხეილ ჭონიშვილის, სოსო აბაშიძის, ირაკლი
აბჟანდაძის, კობა ჭეფხოძის,
ლაშა კერვალიძისა და ოთარ კოვზირიძის
შემადგენლობით

718-781-6945; 718-732-3838
1029 Brighton Beach av, Brooklyn, NY

ადგილები, სადაც შეგვიძლია ეგრეთ ეგრეთ „ქაქუელი“

ნიუ-იორკში:

Taste of Georgia
1637 East 18th street,
Brooklyn, NY 11229

Barami
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235

Brick Oven Bread
230 Kings Hwy,
Brooklyn, NY 11223

Discount Store Plus
2910 Brighton 8th street.
Brooklyn, Ny 11235

Georgian Food & Bakery
109 Brighton 11 street,
Brooklyn, NY 11235

Tone-Café
265 Neptune Ave,
Brooklyn, NY 11235

Tone - Georgian Bread
125 Brighton Beach Ave
Brooklyn, NY 11235

St. Nino Church
1835 Bay Ridge Parkway
Brooklyn, NY 11204

Pesvebi - Studio
70 Avenue O
Brooklyn, NY 11204

Georgian Church on
170 Avenue T
Brooklyn, NY 11223

Georgian Consulate
144 East 44th street
New York, NY 10017

Tone-cafe
134 E 17 st.
New York, NY 10003

ვაშინგტონში:

Embassy of Georgia
1824 R street,
Washington, DC 20009

ფილადელფიაში:

St. George Church
1916 Welsh Rd
Philadelphia, PA 19115

Bell's Market
8330 Bustleton Avenue,
Philadelphia, PA 19152

ნიუ-ჯერსში:

Barami
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305

თოჯინების თეატრი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკში საგასტროლოდ იმყოფება თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, რომელიც ქართველ ემიგრანტ ბავშვებს წარმოუდგენს სპექტაკლს „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ეს გახლავთ საქველმოქმედო წარმოდგენები პროექტის „საჩუქარი ემიგრანტ ბავშვებს“ ფარგლებში.

თეატრის პირველი წარმოდგენა შედგა მანჰეტენის სენტ მარკის თეატრში და დიდი მოწონება დაიმსახურა ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველ ნორჩებში.

სპექტაკლის მსვლელობისას ბავშვები აღტაცებას ვერ ფარავდნენ, კისკისებდნენ პატარა ქეთოს ცელქობაზე და განიცდიდნენ მის გატაცებას, დედ-მამასთან განშორებას. მშობლებმაც ვერ შეიკავეს ცრემლები.

სპექტაკლს ორიგინალურს ხდიდა თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორის ნიკოლოზ საბაშვილის მიერ პიესის ორიგინალური გადაწყვეტა, შესანიშნავი მუსიკალური გაფორმება და მსახიობების მიერ როლების ოსტატურად შესრულება, განსაკუთრებით სპექტაკლის წამყვანის, მალხაზ გაბუნიას შთამბეჭდავი არტისტიზმი.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სპექტაკლის დასასრულს მსახიობებმა სურათები გადაიღეს პატარა მაყურებლებთან და თოჯინების დათვალიერების, შეხების უფლება დართეს.

„მამული“ მადლობას უხდის მსახიობებს და თეატრის ხელმძღვანელობას - დირექტორს თემურ ბადრიაშვილს, რეჟისორს ნიკოლოზ საბაშვილს, სამხატვრო ხელმძღვანელს ელენე მაცხონაშვილს გულთბილი შეხვედრისათვის.

ეს გასტროლები შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და ის საშვილიშვილო ხიდია, ჩვენს მომავალ თაობას მეტად რომ დააკავშირებს მამულთან.

დიასპორას თავისი მინისტრი ეყოლება

14 მარტს, ნიუ-იორკის ქართულ დიასპორას სტუმრად ეწვია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ბატონი გელა დუმბაძე, სამინისტროს დელეგაციასთან ერთად.

შეხვედრა მანჰეტენზე, სასტუმრო „მარიოტში“ გაიმართა და მინისტრთან ერთად შეხვედრას გაეროში მივლინებით მყოფი საქართველოს პარლამენტის წევრი, ქალბატონი გუგული მაღრაძეც შეუერთდა.

მინისტრმა დასაწყისში ისაუბრა უახლეს აქტივობებზე, მიღწევებსა და დაგეგმილ პროექტებზე. შემდეგ კი, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დაისვა სამშობლოში დიასპორული ორგანიზაციების ცნობადობის ამაღლების საჭიროების საკითხი და თავად დიასპორის სურვილი.

საუბარი აგრეთვე შეეხო დიასპორული რესურსებისა და ტალანტის სამშობლოში გამოყენების აუცილებლობას, დიასპორის ფინანსური პოტენციალის მობილიზებას და მიმართვას მათსავე სასიკეთოდ.

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამერიკაში:

ნიუ-იორკში:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

ნიუ-ჯერსში:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელავარეში:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
რუსთავი
ბათუმი
ფოთი
ბოლნისი
თელავი
მარნეული

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50$-დან;

ამანათების გამოგზავნა **საქართველოდან**

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის
შიდა გადაზიდვები
აშშ-ში.

ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან აღების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

რეპორტაჟი ჯიჯგანელ

მარკ ტვენი (სემუელ ლენგჰორნ კლემენსი — 1835-1910), ამერიკელი მწერალი, ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლების ავტორი. პროფესიონალმა ჟურნალისტმა პირველი წიგნი 34 წლის ასაკში გამოაქვეყნა. ამერიკულ ცხოვრებაზე შექმნილი მწვავე, მამხილებელი პამფლეტების წყალობით მარკ ტვენმა ხასიათისა და ინტრიგის ოსტატის, ბრწყინვალე იუმორისტის სახელი დაიმკვიდრა.

რამდენიმე თვის წინ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე წამოაყენა. ორმა სხვა პარტიამ მისტერ სტიუარტ ლ. ვუდფორდისა და მისტერ ჯონ ტ. ჰოფმანის კანდიდატურები დაასახელა. თუმცა, ვაცნობიერებდი, რომ ამ ბატონების წინაშე მნიშვნელოვანი უპირატესობა მაქვს, კერძოდ, უმწიკვლო რეპუტაცია. საკმარისი იყო, გაზეთებისთვის გადაგეხედათ, რათა დარწმუნებულიყავით, რომ თუკი ისინი ოდესმე იყვნენ კიდეც წესიერი ადამიანები, ამ დროს დიდი ხნის წინ ჩაიარა. სრულიად აშკარა გახლდათ, რომ ბოლო წლებში ისინი ყველა შესაძლო მანკიერებაში ჩაიძირნენ.

საკუთარი უპირატესობით ვტკბებოდი და გულის სიღრმეში მიხაროდა, მაგრამ ჩემი ბედნიერების უშფოთველ მდინარებას მღვრიე ჭავლივით ერთი აზრი არღვევდა: ჩემს სახელს ხომ ამ თაღლითების სახელების გვერდით მოიხსენიებენ! ეს სულ უფრო მეტად მაშფოთებდა. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, რჩევა ბებიასთვის მეკითხა. მოხუცმა სწრაფად და მტკიცედ მიპასუხა. მისი წერილი ღაღადებდა:

„მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი უწესო საქციელიც არ ჩაგიდენია. ერთიც კი! არადა, მხოლოდ გაზეთები გადაიკითხე და მიხვდები, რა ხალხია მისტერ ვუდფორდი და მისტერ ჰოფმანი. თავად განსაჯე, შეგიძლია თუ არა, თავი იმდენად დაიმცირო, რომ მათთან საჯარო ბრძოლა წამოიწყო“.

სწორედ ეს არ მასვენებდა! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ბოლოს გადავწყვიტე, რომ უკან დახევა გვიანღაა. ამომრჩევლებმა ნდობა გამომიცხადეს და ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. საუზმის დროს, გაზეთების თვალიერებისას ერთ შენიშვნას წავაწყდი და, სიმართლე გითხრათ, გავოგნდი:

„ცრუმოწმეობა. შესაძლოა, ახლა, როდესაც ხალხის წინაშე გუბერნატორობის კანდიდატად წარდგა, მისტერ მარკ ტვენი ინებებს, აგვიხსნას, რა ვითარებაში ამხილა ქალაქ ვაკავაკაში (კოხინხინში) 1863 წელს ოცდათოთხმეტმა მოწმემ ფიცის დარღვევაში! ხმები დადის, რომ ცრუმოწმეობა ჩადენილია ადგილობრივი ღარიბი ქვრივისა და მისი უმწეო შვილებისთვის მიწის საცოდავი ნაგლეჯის და რამდენიმე ბანანის ხის წართმევის მიზნით – ანუ ერთადერთის, რაც მათ შიმშილისა და სიღატაკისგან იფარავდა. საკუთარი და ამომრჩევლების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც, როგორც მისტერ ტვენი იმედოვნებს, ხმას მას მისცემენ, იგი ვალდებულია, ეს ისტორია განმარტოს. გაბედავს კი?“

გაოცებისგან თვალები შუბლზე ამივიდა. რა უხეში, ურცხვი ცილისწამებაა! კოხინხინში არასდროს ვყოფილვარ! ვაკავაკაზე წარმოდგენაც არ მაქვს! ბანანის ხეს კენგურუსგან ვერ ვარჩევ! უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. გაცოფებული, მაგრამ სრულიად უმწეო გახლდით.

მთელი დღე გავიდა, მე კი ვერაფერი ვიღონე. მეორე დილით იმავე გაზეთში ასეთი სტრიქონები გამოჩნდა:

„საბოლოოდ! უნდა აღინიშნოს, რომ მისტერ მარკ ტვენი კოხინხინში თავის ცრუმოწმეობასთან დაკავშირებით მრავალმნიშვნელოვნად დუმს!“

(შემდგომში, მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, ეს გაზეთი მხოლოდ „ფიცის გამტეხ საზიზღარ ტვენად“ მომიხსენიებდა.)

შემდეგ სხვა გაზეთში ასეთი შენიშვნა დაიბეჭდა:

„სასურველია, ვიცოდეთ. ხომ არ ინებებს გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, იმ თანამოქალაქეებს, რომლებიც მისთვის ხმის მიცემას ბედავენ, ერთი საინტერესო გარემოება განუმარტოს: მართალია თუ არა, რომ მონტანაში მასთან ერთად ბარაკში მცხოვრებ ამხანაგებს დროდადრო წვრილ-წვრილი ნივთები ეკარგებოდათ და მათ, როგორც წესი, ან მისტერ ტვენის ჯიბეებში, ანდა მის „ჩემოდანში“ (ძველ გაზეთში, რომელშიც ის თავის ხაბა-ხუბას ახვევდა) აღმოაჩენდნენ? მართალია თუ არა, რომ ამხანაგები იძულებული გახდნენ, თავად მისტერ ტვენის სასარგებლოდ, მისთვის მეგობრული ჩაგონება ჩაეტარებინათ, კუპრში ამოეთხუპნათ, ბუმბულებში ამოევლოთ და ჭოკზე შესმული ჩაეტარებინათ ქუჩებში, შემდეგ კი ერჩიათ, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა ბანკში დაკავებული ადგილი და სამუდამოდ დაევიწყებინა მათკენ მიმავალი გზა?

რას გვიპასუხებს ამაზე მისტერ ტვენი?“

განა შეიძლებოდა მეტი საძაგლობის მოფიქრება? მე ხომ მონტანაში ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ!

(მას შემდეგ ეს გაზეთი ჯიუტად მიწოდებდა „მონტანელ ქურდ ტვენს“.)

იმ დღიდან დილის გაზეთის გადაშლისას შიში მიპყრობდა - ალბათ, ასე სწევს საბნის კუთხეს ადამიანი, რომელიც ეშვობს, რომ ლოგინში ჩხრიალა გველი იმალება.

ერთხელ თვალში სტრიქონები მომხვდა:

„ცილისმწამებელი ზილებულია! ფაივ-პოინტელმა მაიკლ ო’ფლანაგანმა, უოტერ-სტრიტელმა მისტერ კიტ ბერნსმა და მისტერ ჯონ ალენმა ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება, რომელიც მოწმობს, რომ მისტერ ტვენის ურცხვი მტკიცება, თითქოს ჩვენი ღირსეული კანდიდატის ჯონ ტ. ჰოფმანის განსვენებული ბაბუა შარაგზაზე ყაჩაღობისთვის ჩამოახრჩვეს, უსინდისო, სულელური და უსაფუძვლო ცილისწამებაა. ყოველ წესიერ ადამიანს გულზე ნაღველი შემოაწვება იმის დანახვაზე, პოლიტიკური წარმატების მისაღწევად როგორ კადრულობენ ზოგიერთები ნებისმიერ საზიზღარ ხრიკს, შეურაცხყოფენ აკლდამებს და ბღალავენ გარდაცვლილთა უმწიკვლო სახელებს. იმ მწუხარების წარმოდგენაზე, რომელიც ამ ამაზრზენმა ტყუილმა განსვენებულის სრულიად უდანაშაულო ახლობლებსა და მეგობრებს მოუტანა, მზად ვართ, შეურაცხყოფილ და აღშფოთებულ საზოგადოებას ვურჩიოთ, ცილისმწამებელს მრისხანე თვითგასამართლება მოუწყოს. თუმცა, არა! დაე, სინდისის ქენჯნით დაიტანჯოს! (თუმცა, თუკი ჩვენი გააფთრებული თანამოქალაქენი ფიზიკურ ზიანს მიაყენებენ, სრულიად აშკარაა, რომ ვერცერთი ნაფიცი მსაჯული მათ დადანაშაულებას ვერ გაბედავს და ვერცერთი სასამართლო ამ საქმის მონაწილეებს სასჯელს ვერ გამოუტანს.)“

ჭკვიანურად მოფიქრებულმა დასკვნითმა ფრაზამ, როგორც ჩანს, ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა: იმავე ღამეს ლოგინიდან სასწრაფოდ წამოხტომა და უკანა კარიდან გაქცევა მომიხდა, ხოლო „შეურაცხყოფილი და აღშფოთებული საზოგადოება“ სადარბაზო შესასვლელიდან შემოიჭრა და სამართლიანი გულისწყრომით აღტკინებულმა ფანჯრები და ავეჯი დამილეწა, ამასობაში კი ხელს ჩემი ნივთებიც გააყოლა. და მაინც, შემიძლია ყველა წმინდანი დავიფიცო, რომ მისტერ ჰოფმანის ბაბუისთვის ცილი არასდროს დამიწამებია. მეტიც, მისი არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა და მისი სახელი არასდროს მსმენია.

(უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული გაზეთისთვის მას შემდეგ „აკლდამების წამბილწველ ტვენად“ გადავიქეცი.)

მალე ჩემი ყურადღება სტატიამ მიიპყრო:

„ღირსეული კანდიდატი! მისტერ მარკ ტვენი, რომელიც გუშინ დამოუკიდებელთა მიტინგზე მჭექარე სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, იქ არ გამოცხადდა. მისტერ ტვენის ექიმისაგან მიღებულ ტელეგრამაში ნათქვამია, რომ მას გაქანებული ეკიპაჟი დაეჯახა, რომ ფეხი ორ ადგილას მოტეხილი აქვს, საშინლად იტანჯება და მსგავსი სისულელეები. დამოუკიდებლები მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ, ეს მონაჩმახი ერწმუნათ და თავს აჩვენებდნენ, თითქოს არაფერი უწყოდნენ მათ მიერ კანდიდატად არჩეული გამოუსწორებელი არამზადის არყოფნის ჭეშმარიტ მიზეზებზე. მაგრამ გუშინვე, საღამოს, მავანი უგონოდ მთვრალი სუბიექტი ოთხით შეფორთხდა სასტუმროში, რომელშიც მისტერ ტვენი ცხოვრობს. დაე, დამოუკიდებლებმა დაამტკიცონ, რომ ეს ულმერთოდ გალეშილი პირუტყვი მარკ ტვენი არ იყო. როგორც იქნა, გაებნენ! ხრიკები აღარ უშველიან! მთელი ხალხი ხმამაღლა ეკითხება მათ: „ვინ იყო ის კაცი?“

თვალებს არ ვუჯერებდი. შეუძლებელია, რომ ჩემი სახელი ასეთ საზარელ ეჭვს უკავშირდებოდეს! უკვე სამი წელია, არც ღვინოს, არც ლუდს და, საერთოდ, არანაირ სპირტიან სასმელს პირს არ ვაკარებდი.

(როგორც ჩანს, დრომ თავისი მოიტანა, თანდათან გამოვიწრთვენი, იმიტომ, რომ ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში განსაკუთრებული მღელვარების გარეშე წავიკითხე ჩემი ახალი მეტსახელი: „ტვენი - თეთრი ცხელება“, თუმცა ვიცოდი, რომ ის საარჩევნო კამპანიის ბოლომდე შემომრჩებოდა.)

ამ დროისათვის ჩემს სახელზე უამრავი ანონიმური წერილი მოდიოდა. ჩვეულებრივ, ისინი ასეთი შინაარსისა იყო:

„რას იტყვით იმ ბეჩავ დედაბერზე, რომელსაც წიხლი ჩააზილეთ, როდესაც მოწყალების სათხოვნელად კარზე მოგიკაკუნათ?“

ანდა:

„თქვენი ზოგიერთი ბნელი საქმე ჯერჯერობით მხოლოდ ჩემთვის არის ცნობილი. რამდენიმე დოლართან გამომშვიდობება მოგიწევთ, თორემ გაზეთები თქვენი მონა-მორჩილისაგან თქვენზე რაღაც-რაღაცებს შეიტყობენ.

ჰენდი ენდი“

დანარჩენი წერილებიც ამ სტილისა იყო. შემეძლო, სიტყვასიტყვით მომეტანა, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველი ამითაც დაკმაყოფილდება.

მალე რესპუბლიკური პარტიის მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა მოსყიდვაში „მამხილა“, ხოლო დემოკრატების ცენტრალურმა ორგანომ ჩემ მიერ ფულის დანაშაულებრივი გამოძალვის ფაქტები „სააშკარაოზე გამოიტანა“.

(ამგვარად, კიდევ ორი მეტსახელი შევიძინე: „ტვენი - ბინძური გაიძვერა“ და „ტვენი - უნამუსო შანტაჟისტი“.)

ამის შემდეგ ყველა გაზეთმა საშინელი ხმაურით მომთხოვა პასუხი ჩემთვის წაყენებულ ბრალდებებზე. ჩემი პარტიის ხელმძღვანელებმა გამომიცხადეს, რომ დუმილი ჩემს პოლიტიკურ კარიერას დაღუპავს. და თითქოს ამის დასამტკიცებლად და ჩემს შესაფუცხუნებლად მეორე დილით ერთ-ერთ გაზეთში ასეთი სტატია გამოჩნდა:

„ერთი, ამ სუბიექტს დამიხედეთ! დამოუკიდებელთა კანდიდატი კვლავაც ჯიუტად დუმს. რა თქმა უნდა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს. მისთვის წაყენებული ბრალდებები სავსებით სარწმუნო აღმოჩნდა, რასაც მისი მჭევრმეტყველური დუმილიც ადასტურებს. ამიერიდან ის სამუდამოდ დაღდასმულია! დატკბით ამ საზიზღარი ფიცის გამტეხით, მონტანელი ქურდით, აკლდამების წამბილწველით! შეხედეთ თქვენს განსხეულებულ თეთრ ცხელებას, თქვენს ბინძურ გაიძვერას და უნამუსო შანტაჟისტს! დააკვირდით, ყოველი მხრიდან დაათვალიერეთ და თქვით, გაბედავთ თუ არა, თქვენი პატიოსანი ხმები მისცეთ არამზადას, რომელმაც თავისი მძიმე დანაშაულებით ამდენი ამაზრზენი მეტსახელი დაიმსახურა და კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავს, რომ თუნდაც ერთი მათგანი უარყოს!“

თავის არიდება აღარ შეიძლებოდა და, ღრმად შეურაცხყოფილი, მთელ ამ დაუმსახურებელ, ბინძურ ცილისწამებათა გროვაზე „პასუხს“ ჩავუჯექი. მაგრამ სამუშაოს დასრულება არ მეწერა, რადგან მეორე დილას ერთ-ერთ გაზეთში ახალი საშინელი, ღვარძლიანი ცილისწამება ვიხილე: მადანაშაულებდნენ, რომ ცეცხლი წავუკიდე საგიჟეთს თავისი ბინადრებიანად, რადგან ის ჩემი ფანჯრიდან ხედს აუშნოვებდა. აქ კი თავზარი დამეცა. ამას მოჰყვა შეტყობინება, რომ მისი ქონების დაუფლების მიზნით საკუთარი ბიძა მოვწამლე. გაზეთი დაჟინებით მოითხოვდა გვამის გაკვეთას. მეშინოდა, რომ სადაცაა შევიშლებოდი. მაგრამ ჯერ სადა ხართ: მალე ბრალი დამდეს, რომ, როგორც მიგდებული ბავშვების თავშესაფრის მეურვემ, ჩემი გამოყეყეჩებული უკბილო ნათესავები აღსაზრდელებისათვის საჭმლის დამღეჭავთა თანამდებობებზე მოვაწყვე. სრული უმწეობა ვიგრძენი.

საბოლოოდ უსინდისო დევნამ, რომელიც მტრულმა პარტიებმა მომიწყვეს, უმაღლეს წერტილს მიაღწია: ვიღაცის წაქეზებით წინასაარჩევნო შეკრების დროს ყველა ფერის კანის ცხრა დაძონძილი ღლაპი ტრიბუნაზე ამოფოფხდა. ისინი ფეხებზე დამებღაუჭნენ და აყვირდნენ „მამა!“

ამას ვეღარ გავუძელი. დროშა დავუშვი და დავნებდი. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭისყრისთვის საკმარისი ძალა არ აღმომაჩნდა. დავწერე, რომ კანდიდატურას ვხსნი, და გააფთრებულმა მოვაწერე ხელი:

„უღრმესი პატივისცემით თქვენი, ოდესღაც პატიოსანი მოქალაქე, ამჟამად კი საზიზღარი ფიცის გამტეხი, მონტანელი ქურდი, აკლდამების წამბილწველი, თეთრი ცხელება და ბინძური გაიძვერა

მარკ ტვენი“. 1879

გითარგმნათ და წაკითხვა
გაიძულათ მარინე კიკნაძემ

აფხაზი დედის წერილი ქართველ მეომარს

ქმარი, 4 წლის გოგონა და ძმები დამიხოცეს ქართველებმა, მაგრამ ბევრი კარგიც მახსოვს...

„გამარჯობა, შვილო... მე იმ ბიჭის დედა ვარ, რომელსაც თქვენ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად, სიცოცხლე აჩუქეთ. ჩემი მეორე შვილი ქართულ-აფხაზურ ომს შეეწირა. ნეტავ, იმ ომში წასულ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთისთვის ეკითხათ გვარები - იქნებ, ეს სისხლისმღვრელი ომი არ დაწყებულიყო.

ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ქართველებთან არ უნდა გვეომა. მაშინ ბიჭვინთის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და როცა ჩემი აზრი პირველად ვთქვი, კოლეგებმა უხეშად მითხრეს, - ამას იმიტომ ამბობ, რომ ქართველმა შვილი გადაგირჩინა, მაგრამ ნახე, რამდენი გამწარებული დედაა აფხაზეთში, ხომ არ დაგავიწყდა, როგორ ხოცავდნენ ჩვენს ბიჭებსო?! შორს რისთვის წავიდე - ქმარი, 4 წლის გოგონა და ძმები დამიხოცეს ქართველებმა, მაგრამ ბევრი კარგიც მახსოვს-მეთქი. ამის გამო სამსახურიდან გამათავისუფლეს.

თქვენმა საქციელმა ყველაფერი სხვაგვარად დამანახვა.

ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და ერთმანეთს პატიება ვთხოვოთ საკუთარი ცოდვების გამო. ამ წერილის ტექსტს ლათინური ასოებით, დიდი რისკისა და იმედის ფასად გწერთ. იმედი მაქვს, თქვენამდე მოაღწევს, შვილო. მუდამ თქვენზე მლოცველი, მარინა ახუბა“.

ეს იყო პირველი წერილი, რომელიც აფხაზმა ქალბატონმა ქართველ ბიჭს 1997 წლის იანვარში მისწერა. კონვერტს ლათინური ასოებით, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი მისამართი ეწერა, - ქ. თბილისი და იმ სამხედრო ნაწილის დასახელება, რომელშიც ჩვენი რესპონდენტი მსახურობდა. ამიტომაც მან ადრესატამდე წლისა და ხუთი თვის შემდეგ მიაღწია. ადრესატი კი ასე იხსენებს ყველაფერს:

- ძმაკაცები შევიკრიბეთ და აფხაზეთის ომში გავიპარეთ. სკოლა იმ წელს მქონდა დამთავრებული. ოჯახში რომ გვეთქვა, ამის უფლებას არც მოგვცემდნენ, ჩვენ კი ბრძოლის ჟინი გვკლავდა და „გავიქაჩეთ“. ერთმანეთს ვასწრებდით, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ მივქარეთ. რამდენიმე დღეში ორი ბავშვობის მეგობარი თვალწინ მომიკლეს და ეს ჯერ კიდევ არაფერია. ახლა, როცა 2008 წლისა და 1990-იანი წლების ომებს ერთმანეთს ადარებენ, ამბობენ, მაშინ ჯარი კი არა, ლაშქარი გვყავდა, მაგრამ მოტივაცია უფრო მაღალი იყოო. არ იყო ასე, მაშინდელი ბრძოლის მოტივი უცოდინრობით იყო გამოწვეული - არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ერთ სოფელში გახურებული ბრძოლები იყო, რამდენიმე კილომეტრის იქით კი მეორე სოფელში ბიჭები ქეიფის ხასიათზეც კი იყვნენ და საკბილოს ეძებდნენ.

- რას ნიშნავს, საკბილოს ეძებდნენ?

- იმას, რომ მაშინ ერთი მიზნისთვის არ ვიბრძოდით. „დუხზე“ ვიყავით მოსული, მაგრამ ყველას თავისი ინტერესი ჰქონდა, - ზოგს ანგარებიანი, ზოგსაც - უანგარო, მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია და ვინ რისთვის იბრძოდა, ძნელი გასარკვევი გახდა. იმათ, ვინც მართლა, სამშობლოს სიყვარულით იბრძოდა, არც საჭმელი ჰქონდათ, არც ჩასაცმელი და აღარც ტყვიაწამალი. სხვისთვის წართმევა არ შეგეძლო, ნაწილში კი იარაღს თუ მოგცემდნენ, ამისთვისაც მადლობა უნდა გეთქვა.

ვერ ვიტყვი, უცოდველი კრავი ვიყავიმეთქი. როცა ადამიანს ხელში იარაღს მისცემ და მერე მის კონტროლს ვერ შეძლებ, ის აუცილებლად რაღაც ბოროტებას ჩაიდენს; ძალიან მაღალი მორალი უნდა გქონდეს, რომ ასე არ მოიქცე. ომში წასვლამდე სულ რამდენჯერმე მქონდა იარაღი ნანახი. გადატენა და სროლაც კი არ ვიცოდი. ომში კი პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე მოვხვდი და მეთაურმა მკითხა, - იარაღი გაქვსო? - არა-მეთქი. მას სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. მხრებზე გადაკიდებული „კალაშნიკოვებიდან“ ერთ-ერთი მოიხსნა და გადმომიგდო.

მახსოვს, რამდენიმე წუთი დაუმიზნებლად ვისროდი, მერე ვიღაცამ მხარზე ხელი წამომარტყა. თავი რომ ავწიე, ვიღაც ბიჭი სიცილით კვდებოდა, - მაგარ მუღამში ხარ შესული, მაგრამ უკან უნდა დავიხიოთო. „მუღამში“ კი არა, შიშმა და თავდაცვის ინსტინქტმა გამაკეთებინა.

იმ დღესვე მასწავლეს იარაღის გადატენაც და დამიზნებაც...

ომის ტაქტიკის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ აფხაზეთში რა საშინელებაც ტრიალებდა, ამას პირველკლასელიც კი მიხვდებოდა. დიდხანს ვკითხულობდი, რაღასთვის გადავდიოდით შეტევაზე, თუკი რამდენიმე მეომრის დაღუპვის შემდეგ ისევ უკან დავიხევდით? ეს კითხვა აფხაზეთის ომის ვეტერანებს დღემდე გვაწუხებს, მაგრამ რაღა დროს?!. ერთხელაც, ადგილობრივმა ქართველმა ჩაიდნით ცხელი თურქული ყავა მოგვიტანა და ერთჯერად ჭიქებში ჩამოგვისხა. ცხელი სითხისთვის თვეე-

ბის განმავლობაში არ დაგვიკარებია პირი და დავეწაფეთ. ამ დროს ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, აფხაზი ტყვეები გვყავს და წამოდითო.

რამდენიმე ბიჭი გავქანდით. გაგრის რომელიღაც სოფლის ტყეში ვიყავით, სახელი არ მახსოვს. შუადღე გადასული იყო. საოცარი სიჩუმე იდგა. თითქმის დაცარიელებულ სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა. იმ სოფელში აფხაზები მხოლოდ რამდენჯერმე იყვნენ გავლით ნამყოფი, მაგრამ ჩვენებიც არ აკლებდნენ ხელს და იქაურობა მაინც გაპარტახებული და დაცლილი იყო.

ერთი სიტყვით, ბანაკში რომ მივედით, მხოლოდ ერთი ბიჭი დამხვდა, გვარიანად ნაცემი იყო; დანარჩენები უკვე „გადაანაწილესო". ის ჩვენ უნდა წამოგვეყვანა და სავარაუდოდ, დაღუპულ ქართველებზე უნდა გაგვეცვალა. ბიჭი ჩემი ტოლი იქნებოდა. დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. ეტყობოდა, რამდენიმე დღის აყვანილი ჰყავდათ ჩვენს ბიჭებს. შეშინებული არ იყო. ზიზღით მიყურებდა. უეცრად ბანაკში სროლა ატყდა. მივხვდით, რომ ჩვენს თავს კარგი არაფერი ხდებოდა და ავირიეთ. ვისაც ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდა, სროლის ხმას „გაჰყვა", მე კი მიბრძანეს, - ტყვესთან დარჩი და თვალი არ მოაცილოო. „მაკაროვი" ფეხზე შევაყენე, - გაქცევის შანსი არა გაქვს-მეთქი.

ის მიწაზე დაჯდა. სულ მეუბნებოდნენ, ტყვეს დაჯდომის უფლება არ მისცეო, მაგრამ რატომღაც უარი ვერ ვუთხარი. სროლები შეწყდა. მომაწევინეო, - მთხოვა. სადაური ხარ-მეთქი? - ვკითხე. - ბიჭვინთელიო... თქვენებმა ოჯახი ამომიწყვიტეს, 4 წლის და მომიკლესო. ორივე მხარის სისასტიკეზე მოსმენილი მქონდა და მისი სიტყვები აინუნშიაც არ ჩამიგდია. ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე, - რა გვარი ხარ-მეთქი? როცა მიპასუხა,ვიგრძენი,როგორ დამიბუჟდა ხელები: ეს ბიჭი, ჩემი მოსისხლე მტერი, რომელიც ჩემ წინ იჯდა და თვალებით მჭამდა, ჩემი მოგვარე აღმოჩნდა. არადა, ძალიან იშვიათი გვარი გვაქვს. ჩვენი გენეალოგია მამაჩემს დაზეპირებული ჰქონდა და ჩვენც დაგვაზეპირებინა. მისგანვე ვიცოდი, რომ ჩვენი გვარი თამარ მეფის დროიდან მოდის; მასვე უბოძებია თავადობა ჩვენი წინაპრისთვის. ზოგი ჩოლოყაშვილთან ერთად იბრძოდა და იმ წლებში დახვრიტეს, შემდეგ კი, სტალინის დროს, ნახევარზე მეტი „განაკულაკეს" და შუა აზიაში გადაასახლეს. მამაჩემი ამბობდა, 1950-იანი წლების ბოლოსთვის ჩვენი შტოს წარმომადგენელი სულ 10 კაცი დარჩა და ისინი მაშინდელ პატრიარქს ჩუმად დაულოცავსო... არ ვიცი, რომელი „დინების" ტალღამ წაიყვანა ჩემი ტყვის წინაპარი აფხაზეთში. მამა თავის მოგვარეებს ყველგან ეძებდა, მაგრამ აფხაზეთი არასდროს უხსენებია.

ასე, ელდანაცემი ვიდექი რამდენიმე წუთი, მერე კი, როგორც იქნა, ამოვიღე ხმა და ვუთხარი, - მოგვარეები ვართ-მეთქი. გაფითრებული ბიჭი კიდევ უფრო გაფითრდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი გვარი ძეზე ბოლოვდება.

- ვიცი, რომ მაშინ ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და მეომრებს სამხედრო ფორმებიც არ ჰქონდათ. თქვენ თუ გქონდათ ფორმა და სამკერდეზე ხომ არ გეწერათ გვარი?

- კარგი, რა, სად გვქონდა ფორმა, მით უმეტეს წარწერიანი?! აფხაზეთში შავი მაისურით წავედი და ჭრილობის მიღებამდე ის მეცვა. ამასობაში ჩვენი ბიჭები მოვიდნენ და ჩემი ტყვე „ვილისში" ჩასვეს. მეც მათ გავყევი. მთელი გზა ხმას ვერ ვიღებდი. დაჭრილი ხომ არა ხარო? - მკითხეს. - არა, უძილო ვარ-მეთქი. მივხვდი, რომ ეს ბიჭი ისეთ ადგილას მიჰყავდათ, სადაც ზუსტად ვიცოდი, რომ ცოცხალს არ დატოვებდნენ.

ვიგრძენი, იმწუთას როგორ შემეცვალა აზროვნება, ველარ ვხვდებოდი, ვინ მტერი იყო და ვინ - მოყვარე, მე ვინ ვიყავი, იქ რა მინდოდა და რისთვის ვხოცავდით ერთმანეთს. გამახსენდა, რომ „პერესტრელკების" შემდეგ, ბიჭები ერთმანეთთან სალაპარაკოდ გადადიოდნენ და რამდენიმე საათის შემდეგ ისევ სისხლისმღვრელი ომი იწყებოდა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა „ომობანას", რომელსაც უბანში ბიჭები ვთამაშობდით, მორიგი შეტევის დასრულების შემდეგ, ერთმანეთს „გრეხებს" ვუხსენებდით და მერე ისევ თამაშს ვაგრძელებდით. ოღონდ იქ, წაგების შემთხვევაში, საქმე ცხვირ-პირის დამტვრევამდე მიდიოდა, აქ კი - სიკვდილამდე...

უეცრად ერთ-ერთმა თქვა, - შევჩერდეთ, ბიჭები უნდა მოვიდნენო. მანქანიდან გადავიდნენ და შორიახლოს გაჩერდნენ, ისეთ ადგილას, სადაც გაჩერება სახიფათო იყო: ვინმეს ერთი ტყვია რომ ესროლა, მანქანიანად ჰაერში აგვწევდა. მე არ გადავსულვარ და როგორც კი ისინი თვალს მიეფარნენ, ამას ვუთხარი, - წადი აქედან-მეთქი. სანამ გონს მოვიდოდა, წიხლი ვკარი და მანქანიდან ჩავაგდე. ერთი კი შემომხედა გაოცებულმა და დაღმართზე თავგუდმოგლეჯილი დაეშვა. მაშინვე ორი ტყვია მივადევნე - ერთი ჰაერში ვისროლე, მეორე კი ხელისგულზე დავიხალე (ჩემი რესპონდენტი ტყვიისგან გაგლეჯილ და უსწორმასწოროდ შეხორცებულ კიდურს მიჩვენებს. - ავტ.). რამდენიმე წუთში მოცვივდნენ ბიჭები. ფანჯრიდან გავიხედე თუ არა, დრო იხელთა და ჩემკენ გამოიწიამეთქი; ისიც ვუთხარი, - ერთი ტყვია მივაყოლე და შორს ვერ წავიდოდა-მეთქი.

ახლანდელი ომი რომ ყოფილიყო, საყვედურებით ამავსებდნენ, დაჭრილი და ნაცემი კაცი როგორ გაგექცაო, და სიმართლეც იქნებოდა. მაგრამ მაშინ ქართული ჯარი ჩემნაირი მოხალისეებით იყო სავსე. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, ერთმა ბიჭმა მითხრა, - იქვე ვიდექი და ვნახე, როგორ გადმოყავი ხელი და ჰაერში ისროლე იარაღი, პალმის ტოტი ჩამოწყდა და ჩემ წინ დაეცა; ის ბიჭი გაშვებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაქცეულსო.

- მიხვდა?

- დიახ, მაგრამ არ შეიმჩნია. ომის დამთავრებამდე მასზე აღარც გვისაუბრია. შემდეგ კი ერთხელაც, დავთვერი და ყველაფერი მოვუყევი. უსიტყვოდ მისმინა, მერე კი მკითხა, - მას შემდეგ არ შეგხმიანებიაო?!

- ეს შეკითხვა მეც გამიჩნდა.

- კი, დედამისმა მომძებნა, ოღონდ ნუ მომაყოლებთ - როგორ და ვისი დახმარებით. ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა გვაქვს.

- მოგვარე აფხაზის გაცნობამდე ტყვეებთან ურთიერთობა გქონიათ?

- კი, რამდენჯერმე. მაგრამ რუსული ცუდად ვიცოდი, ისინი კი, რომც სცოდნოდათ ქართული, იქვე რომ დაგეხვრიტა, მაინც არ დაგელაპარაკებოდნენ. ისე კი, ცოდვა გამხელილი ჯობს და, როცა ერთიორს წამოარტყამდნენ, ამისგან არც მე ვიკავებდი თავს. ომი კანონებს არ ცნობს. ისინიც ისე ექცეოდნენ ჩვენებს. იქ სხვანაირი ხდები, - ხან ძლიერი ხარ, ხან სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ ხშირად - ფინია ძაღლივით მშიშარა და თავის მოკვლაზეც კი ფიქრობ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს კოშმარი. თუმცა ვიღაცის თუ რაღაცის შიშით ვერ ბედავ ამის გაკეთებას.

ბიჭების წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და სოხუმის დაცემამდე იქიდან ფეხი არ მომიცვლია. 23 აგვისტოს კი სკოლის შენობა დაბომბეს და იქიდან პირდაპირ თბილისის მორგში მოვხვდი. დედამ მკვდრებში მიპოვა და სასწაულებრივად გადამარჩინეს. განახევრებული ჯანმრთელობითა და ფსიქიკით შემოვრჩი ამ ცხოვრებას.

* * *

ჩემი რესპონდენტის დახმარებით, მის მიერ გადარჩენილ აფხაზ მეომართან დაკავშირება ვცადე, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან იქაური უშიშროება სატელეფონო საუბარს მკაცრად აკონტროლებს. ქართველის ტყვიას გადარჩენილი აფხაზი კი ინტერნეტით არ სარგებლობს, რადგან ენგურს მიღმა ინტერნეტი ჯერ კიდევ ფუფუნების საგნად რჩება.

ლალი პაპასკირი

- სამედიცინო ინსტიტუტი „აიეტი“ თუ პირველი არა, ერთ-ერთი პირველი არასახელმწიფო სამედიცინო უმაღლესი სასწავლებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. რამ გამოიწვია მისი შექმნის აუცილებლობა და როგორ იქმნებოდა იგი?

- ცოტა შორიდან დავიწყებ - საბჭოთა სამედიცინო განათლების სისტემა მორგებული იყო მის იდეოლოგიაზე. ბევრი დრო ეთმობოდა „სოციალურ“ საგნებს, როგორებიც იყო პარტ-ისტორია, პოლიტ-ეკონომია, ათეიზმი, მეცნიერულ კომუნიზმი და ა. შ. ჩემი თაობის სტუდენტები ვხუმრობდით ხოლმე, რომ ვსწავლობთ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, მედიცინისკენ მსუბუქი გადახრით.

სახელმძღვანელოების დიდი უმრავლესობა ძალიან მოძველებული იყო და ინფორმაციული იზოლაციის გამო თანამედროვე მედიცინის მიღწევები ჩვენთვის მიუწვდომელი იყო როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. უფრო მეტიც, მედიცინის ბევრი დისციპლინა საერთოდ არ ისწავლებოდა. პროგრამაში არ იყო შეყვანილი ადამიანის ფსიქოლოგია და ქცევითი მეცნიერებები, იმუნოლოგია, ბიოსტატისტიკა და სხვა. სამედიცინო გენეტიკა დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ აკრძალული იყო, როგორც „ბურჟუაზიული ცრუ მეცნიერება“.

სასწავლო პროგრამების არასრულფასოვნებასთან ერთად სასწავლო მოთხოვნებიც ძალიან სპეციფიკური იყო - სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ვინც მოხვდებოდა, პრაქტიკულად ავტომატიურად ექიმი ხდებოდა, რადგან ინსტიტუტიდან გარიცხვა უსწავლელობის გამო კაზუისტიკური იშვიათობა იყო.

ყოველივე ამან გამოიწვია საკმაოდ დაბალი პროფესიონალიზმის მქონე ექიმების მთელი არმიის ჩამოყალიბება, და თუ საქართველოში მედიცინა რაღაც დონეზე კიდევ არსებობს, ეს მხოლოდ ერთეული ბრილიანტი ინდივიდების დამსახურებაა.

1988 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის მიჯნაზე, პირველად მოვხვდი ამერიკაში და ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ არსებობს სამედიცინო რეზიდენტურის პროგრამები, სადაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოელ ექიმებსაც იღებენ, და თან საკმაოდ სოლიდურ ხელფასსაც უხდიან. მაგრამ ამისათვის აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის ჩაბარება იყო საჭირო, რაც ჩვენ და ამერიკულ პროგრამებს შორის არსებული დიდი განსხვავების გამო საკმაოდ რთული იყო.

ამ სირთულის დასაძლევად დავაფუძნე „ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ფონდი“, რომელმაც შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა ამ გამოცდების შესაბამისი სახელმძღვანელოები და თვალსაჩინოებები. ამ საქმეში ძალიან დამეხმარენ მაშინდელი

რედაქტორისაგან:

ჩვენი დიასპორის ერთ-ერთ შეხვედრაზე, დარბაზში საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი **დიმიტრი ტვილდიანი** დავინახე.

ღონისძიების დაწყებამდე ჯერ კიდევ კარგა დრო იყო დარჩენილი, მე კიდევ უამრავი რამ მაინტერესებდა საქართველოში მშენებარე ამერიკულ ჰოსპიტალისა და საერთოდ, ტვილდიანების უნივერსიტეტად წოდებული სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ. უკეთეს დროს ვერც ვინატრებდი...

ასე შედგა ჩვენი სახელდახელო საუბარ-ინტერვიუც.

ქვეყნისთვის მთავარი კარგი ექიმია!

გვესაუბრება ბ-ნი დიმიტრი ტვილდიანი

ჯანდაცვის მინისტრი, ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი და ჩვენი ემიგრანტი თანამემამულენი - ბატონი გივი გაბლიანი და ბატონი შარლ თაყაიშვილი.

ფონდის ოფისში გავხსენით უფასო ბიბლიოთეკა. მოვიწვიეთ აშშ ლიცენზიის მოპოვების ყველა მსურველი ექიმი, რომელთაც აღვუთქვით, რომ მთლიანად დავაფინანსებდით მათი გამოცდების ღირებულებას, მგზავრობას თურქეთში (სადაც უახლოესი საგამოცდო ცენტრი იყო) და მგზავრობას ამერიკაში, სანამ რეზიდენტურაში პირველ ხელფასს აიღებდნენ. ეს საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდიოდა და ჩვენი რისკები რომ შეგვემცირებინა, აუცილებელ პირობად დავდეთ თურქეთში გამგზავრებამდე საკვალიფიკაციო გამოცდის თბილისში ჩაბარება. სამწუხაროდ, 300-მდე მსურველიდან მხოლოდ რამოდენიმემ შეძლო საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვა. ამან კიდევ ერთხელ დამანახა სამედიცინო განათლების რეფორმის აუცილებლობა.

- ამ რეფორმის გატარება არსებულ სამედიცინო ინსტიტუტში არ შეიძლებოდა? რატომ გახდა აუცილებელი ახალი ინსტიტუტის შექმნა?

- თავიდან მეც მასე მოვინდომე, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში მამაჩემი - დავით ტვილდიანი იყო, მაგრამ მამასთან ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ სახელმწიოფო სამედიცინო ინსტიტუტში უამრავი კათედრა იყო. საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი პროტექციონიზმის პირობებში ბევრმა პიროვნებამ მოახერხა თავისთვის კათედრის შექმნა და საბოლოო ჯამში საჭირო 15-ის ნაცვლად დაგროვდა 86 კათედრა. მათ შორის 8 თერაპიის, 6 ქირურგიის და ა. შ.

ეს კათედრები პრაქტიკულად ახდენდნენ სასწავლო პროგრამების დუბლირებას, რის გამოც ერთი კათედრიდან მეორეზე გადასული სტუდენტები იგივე მასალის შესწავლას იწყებდნენ თავიდან (უკვე სხვა სახელმძღვანელოთი - კათედრის გამგის არჩევანის მიხედვით) და დანაწევრებული სასწავლო დროის გამო ბევრ საკითხებს ვეღარ გადიოდნენ. საერთო ჯამში ეს სტუდენტთა დაბნეულობას და საგნის არასრულყოფილად შესწავლას იწვევდა.

რეფორმის დასაწყებად პირველ რიგში საჭირო იყო ზედმეტი კათედრების გაუქმება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან თითოეულ კათედრას ჰყავდა თავისი კათედრის გამგე, 2 ან 3 კათედრის პროფესორი, 3-4 დოცენტი, რამდენიმე ასისტენტი და ა.შ. ასე რომ მთელი სამედიცინო საზოგადოება უნდა „გადაგვეკიდებინა“. სწორედ იმ დროს დაიშალა საბჭოთა კავშირი და შესაძლებელი გახდა ახალი ინსტიტუტის დაარსება.

- ინსტიტუტის შექმნას ბევრი რამ სჭირდება - შენობა, ინვენტარი, კადრები... როგორ შესძელით?

- სირთულეები, რა თქმა უნდა, ბევრი

იყო, თუმცა ყველაზე რთული მაინც სასწავლო პროგრამების დაწერა და სპეციალისტების მომზადება იყო, რომლებიც ამ სასწავლო პროგრამებით, აშშ სალიცენზიო გამოცდების თავისებურებების გათვალისწინებით, შეძლებდნენ მასალის მიწოდებას.

ეს თავისებურებები კი საკმაოდ მნიშვნელოვანია: მაგალითად, საბჭოთა გამოცდებზე შეიძლება შეგხვედროდათ კითხვა - სად იწყება და სად მთავრდება ხელის რომელიმე კუნთი. ამერიკულ გამოცდაზე კითხვა სხვანაირად იქნება აგებული, - ბავშვი თუ ვარდნისას ხელებს დაეყრდნო, რომელი კუნთები მიიღებს მონაწილეობას. მიმიხვდებით, ანუ აქ კუნთების უბრალო ანატომიური განლაგების გარდა მათი ფიზიოლოგიაც და მოქმედების მექანიზმიც უნდა იცოდეთ.

ასეთი და სხვა კიდევ ბევრი თავისებურებების შესასწავლად რამდენიმე ყველაზე ერუდირებული და პროგრესული ასისტენტი ჩამოვიყვანეთ ამერიკაში და სტაჟირება გავატარეთ ვირჯინიის და ფილადელფიის უნივერსიტეტებში.

„აიეტის“ დასაბამთან დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვენ მაშინ მოღვაწე ბევრი გამოჩენილი მედიკოსი და მეცნიერი: მამაჩემმა, აკადემიკოსმა დავით ტვილდიანმა უარი თქვა სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორის პრესტიჟულ პოსტზე და მთლიანად გადმოერთო ახალი ინსტიტუტის აწყობაზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო „აიეტის“ რექტორი და თერაპიის კათედრის გამგე. მისი გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტის რექტორი გახდა ჩემი ძმა - პროფესორი ლევან ტვილდიანი.

2011 წელს შეიქმნა სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელშიც სამედიცინო ინსტიტუტ „აიეტთან“ ერთად შევიდა სამედიცინო მენეჯმენტის ფაკულტეტი, კლინიკის ასისტენტთა სკოლა, ასპირანტურის და დოქტურანტურის კურსები. ამავე წელს უნივერსიტეტს ეწოდა დავით ტვილდიანის სახელი.

მამასთან ერთად ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში ძალიან დაგვეხმარნენ საქართველოს წამყვანი მედიკოსები, აკადემიკოსები, პროფესორები - ნუგზარ ტატიშვილი, თამარ დეკანოსიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, არჩილ ასათიანი, მალხაზ კოკიჩაშვილი, სერგო თაბაგარი და ბევრი სხვა. ყველას დიდი სურვილი ჰქონდა ახალი ტალღის აგორებაში მიეღო მონაწილეობა.

- აგორდა?

- რომ გითხრათ, ცუნამი გამოგვივიდა-მეთქი, არ იქნება მართალი. სამწუხაროდ, კერძო ინსტიტუტი ბევრმა იოლი შემოსავლის გზად გადააქცია. ოღონდ ფული გადაიხადე და დიპლომს თვითონ მოგიტანენ სახლში. იოლი დიპლომის მსურველიც საკმაოდ ბევრი გამოჩნდა და გაუნათლებელ ექიმთა არმია კიდევ უფრო გაიზარდა.

კარგა ხნის განმავლობაში ეს სერიოზულ პრობლემას გვიქმნიდა, რადგან ჩვენთან სწავლის სირთულის და მკაცრი მოთხოვნების გამო ბევრი სტუდენტი გადადიოდა „ინსტიტუტებში“, სადაც რექტორი და დარაჯი ერთი და იგივე კადრია. მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა მიხვდა სწავლის ფასს. ცოტა უფრო მეტად გამკაცრდა ინსტიტუტების სერტიფიცირებაც.

- თუ ასე ადვილად შეიძლება დიპლომის მოპოვება სხვაგან, თქვენთან მაინც რატომ მოდიან?

- პირველ რიგში იმიტომ, რომ თანდათან გამკაცრდა სახელმწიფოს მოთხოვნები. ადრე თუ უწიგნურ ექიმს შეეძლო სადმე სამუშაო ადგილი ეყიდა და ცხოვრების ბოლომდე, ვთქვათ აბორტების კეთებით, ბევრი ფული ეშოვა, ახლა იმისათვის, რომ დამოუკიდებელი სამედიცინო პრაქტიკა აწარმოო, სალიცენზიო გამოცდებია ჩასაბარებელი, რომელიც მართალია შეუდარებლად ადვილია ჩემთვის ცნობილი ყველა სხვა ნორმალური ქვეყნის გამოცდებთან შედარებით, მაგრამ მაინც მოითხოვს ცოდნას.

ამას გარდა, ჩვენი სტანდარტი გაცილებით მაღალია ყველა სხვა ინსტიტუტთან შედარებით. ჩვენ ვასწავლით საერთაშორისო პროგრამების შესაბამისად, რაც დარწმუნებული ვარ, მალე სახელმწიფო ნომინალი გახდება საქართველოშიც. ამის გამო ჩვენი ინსტიტუტის ავტორიტეტი და რეიტინგი ყველაზე მაღალია და ჩვენი კურსდამთავრებულებისთვის სამსახურის პოვნა არავითარ პრობლემას წარმოადგენს - ჩვენი ექიმების 100% დასაქმებულია საქართველოში, ევროპასა თუ ამერიკაში.

სწავლების მაღალი ხარისხის გამო მოდიან ჩვენთან სტუდენტები სხვა ქვეყნებიდანაც - ამჟამად გვყავს სტუდენტები ინგლისიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, ინდოეთიდან, ნეპალიდან, ნიგერიიდან და ა.შ.

- როგორ, ევროპასა და ამერიკაში თქვენი დიპლომით მუშაობენ ექიმებად?

- დიახ,„აიეტის“ დიპლომი 1995 წლიდან არის ვერიფიცირებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მიღებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. თუმცა, ბევრ ქვეყანაში სამკურნალო პრაქტიკის საწარმოებლად აუცილებელია ამ ქვეყნის სალიცენზიო გამოცდის ჩაბარება. ამერიკის შემთხვევაში ეს არის USMLE (United States Medical Licensing Examination), რომლის ჩაბარება შეიძლება მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში. ჩვენთან ყველაზე ახლოს ასეთი საგამოცდო ცენტრები არის ანკარაში და ერევანში.

უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ რთული გამოცდაა - იგი შედგება ორი ნაწილისგან და მოიცავს თეორიული და კლინიკური მედიცინის ყველა ასპექტს. თითოეულ გამოცდაზე ექიმს ეძლევა 850-მდე შეკითხვა, თანაც საპასუხო დრო შეზღუდულია - თითოეულ შეკითხვაზე სულ დაახლოებით 40 წამია მოცემული. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ შეკითხვათა 75%-ზე სწორი პასუხია გაცემული.

ამერიკის სამედიცინო ინსტიტუტების კურსდამთავრებულთათვის მაღალ შედეგად ითვლება 85%, ხოლო 90%-ზე მეტი ფენომენალურია და ასეთ ექიმებს სიამოვნებით იღებს რეზიდენტურაში ნებისმიერი ჰოსპიტალი. ჩვენდა საამაყოდ მინდა გითხრათ, რომ 15 ექიმი გვყავს, ვინც ამ გამოცდებზე 100% შეფასება მიიღო. საერთო ჯამში კი 130-ზე მეტმა ჩვენმა კურსდამთავრებულმა ჩააბარა აშშ სალიცენზიო გამოცდები და ამჟამად მუშაობენ ექიმად ამერიკის წამყვან კლინიკებში.

ერთ-ერთი მათგანი საქვეყნოდ ცნობილი კლივლენდ ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორია, მეორე - კანზასის მთავარი პედიატრი, მესამე - პენსილვანიის მთავარი ფსიქიატრი და ა.შ.

- საქართველოსთვის ეს ექიმები დაკარგულები ხომ არ არიან?

- ეს ექიმები დღესაც დიდ სამუშაოს ეწევიან საქართველოში მედიცინის გასაუმჯობესებლად; ქართველ პაციენტებს უწევენ უფასო კონსულტაციას, საქართველოში ყოფნის დროს აქტიურად ერთვებიან მათ მკურნალობაში, მონაწილეობენ სატელევიზიო გადაცემებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ა.შ. ამას გარდა, მათი დიდი უმრავლესობა მზად არის ეხლავე წამოვიდეს საქართველოში, თუ შესაბამისი სამუშაო ადგილი და ანაზღაურება ექნებათ. სწორედ მაგაზე ვმუშაობთ ეხლა.

- რას გულისხმობთ?

- თბილისში მალე დაიწყება ამერიკული ჰოსპიტალის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ტექნიკის ბოლო მიღწევებით და დაკომპლექტებული იქნება ამერიკაში დახელოვნებული უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმებით. ეს ჰოსპიტალი იმთავითვე გახდება რეგიონალური ცენტრი, რადგან არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, არც რუსეთს ასეთი კვალიფიკაციის ექიმები არ ჰყავთ. ექიმი კი მთავარია საავადმყოფოში. ამ მხრივ ლიდერობა კარგა ხნით გარანტირებული გვაქვს, რადგან ექიმებს უცებ ვერ მოამზადებენ ვერანაირი ფულით, ამას წლები სჭირდება.

თბილისის ამერიკული ჰოსპიტალი იქნება ჩვენი საუნივერსიტეტო ბაზა, სადაც ახალი მაღალკვალიფიცირებული სამედიცინო კადრები მომზადდება. მასწავლებლები საუკეთესონი იქნებიან. მაგრამ რომ იტყვიან, „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ - ვცდილობთ მოვიზიდოთ საუკეთესო ახალგაზრდები, რომელთაც მართლა ექიმობა უნდათ. ■ www.aieti.ge

„ილუზიონი“ კაბადონებში სერიოზულ „ფელინიანა“

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ამჯერად, „ილუზიონში“ ვიწყებთ, მეოცე საუკუნის დიდი იტალიელი ხელოვანის - რეჟისორ ფედერიკო ფელინის ფილმების რეტროსპექტულ ჩვენებას - „ფელინიანას“.

განა არა, მაყურებლები იმთავითვე გვთხოვდნენ ამ ციკლის შემოღებას „ილუზიონის“ პროგრამაში, მაგრამ გამოგიტყდებით - ვერ ვბედავდით. მიზეზი კი არაერთი იყო. უწინარეს ყოვლისა, ფელინის ფილმები ძნელად და იშვიათად თუ შემოაღწევდა ხოლმე საბჭოთა ეკრანებზე, ლამის ტაბუირებული იყო ჩვენში მათი ჩვენება. ამიტომ, არც მათ ასლებზე მიგვიწვდებოდა ხელი. არადა, დაგვეთანხმებით, ორი თუ სამი სურათით რეჟისორის უზარმაზარ შემოქმედებაზე ციკლის შემოღება მიზანშეუწონლად, არასერიოზულადაც კი მიგვაჩნდა. ვსდუმდით. ამასობაში კი, გამოხდა წლები. თითქოს ველოდით რაღაც სასწაულს. ფელინის მიხედვით კი, ადრე თუ გვიან, მუდამ ხდება რაიმე ზებუნებრივი, სასწაული...

წელთა სვლაში თანდათან შესუსტდა საბჭოთა იდეოლოგიის სუსხი ფელინის ქმნილებებისადმი. პარადოქსი კი ის არის, რომ ამ არაჩვეულებრივი ორიგინალური ხელწერის შემოქმედის ფილმები არასოდეს ითვლებოდა ფართო, მასობრივი მაყურებლებისთვის მიმზიდველ ნაწარმოებებად, ხშირად გაუგებარიც იყო მათთვის, და მაინც, მუდამ ჰყავდა მათი ხიბლით და სიახლის გრძნობით, მოულოდნელი სანახაობით და ძნელად ჩასაწვდომი ქვეტექსტებით მონუსხული მასობრივი მაყურებელი...

ფელინისეული თითქმის ყველა ნათელ-ჩრდილით ხასიათდება ფილმი „გზა“, რომელსაც დღეს ვიხილავთ. იგი 1954-შია გადაღებული და სინამდვილეში ფელინის მეოთხე დამოუკიდებელი რეჟისორული ნახელქმნარია. ჩვენში კი ეს ფილმი გამოჩნდა 1956-ში, როცა საბჭოთა კავშირში გაიმართა იტალიური კინოს კვირეული. საერთოდ, იმ წელს - 1956-ში, ლამის 70-ზე მეტი საზღვარგარეთული სურათი შემოვიდა საბჭოურ კინოეკრანებზე. მათ შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტი გადაღებული იყო იტალიაში, და როგორც აურიდებელი ფაქტი, თითოეულში ვლინდებოდა ადრეული ნეორეალიზმის ტენდენციები. თუმცაღა, ჩვენებური კინოხელოვნების მოყვარულებს და დამფასებლებს არ გამორჩენიათ თხრობის მასშტაბების გაფართოებისაკენ მიდრეკილება და რამდენადმე ახლებური წარმოსახვა ადამიანთა და მოვლენათა. ეკრანული ხელოვნების ამ სიახლეებით კი იმთავითვე გამოირჩა ფედერიკო ფელინის „გზა“, თუმცაღა მასშიც, ერთი შეხედვით, წამოჭრილია ადამიანთა ურთიერთობის მორალური პრობლემა.

სიუჟეტი ფილმისა უბრალოა და იმავდროულად ტრაგიკული: ღარიბ-ღატაკი, ბავშვობიდანვე ყველასაგან მივიწყებული გოგონა - ჯელსომინა, რომელსაც ქვეყნად არცრა უნახავს და უგრძვნია მარტოსულობისა და ჩაგვრის გარდა, სიხარულით თანხმდება მოხეტიალე ცირკის მსახიობს - ძამპანოს გახდეს მისი ასისტენტი. და ამიერიდან მიამიტი და მიმნდობი, ლამის ჯერ ისევ ბავშვი გოგონასათვის იწყება ახალი ცხოვრება დაძველებულ მოტოციკლზე დადგმულ ფურგონში, - ცხოვრება ხეტიალით, დამცირებით, თავში ჩარტყმის ატანა. იგი ითმენს ყველაფერს, თუმცაღა ძამპანოს უსულგულობა და სისასტიკე სულ უფრო და უფრო აუტანელი, ძნელად გასაძლები ხდება. ჯელსომინა ცდილობს თავის დაღწევას და გარბის. მაგრამ ძამპანო ადვილად მიაგნებს მას და ისევ გრძელდება ჯელსომინას ერთფეროვანი, პირქუში, უსიხარულო დღეები. მის არსებაში ერთადერთი შუქის გაელვება უცნაური და კეთილი ახალგაზრდაა, მასავით მოხეტიალე მსახიობი მატო. იგი ხშირად მოურიდებლად, პირში დასცინის ჩლუნგ და უაზროდ მფეთქებად ძამპანოს, რომელიც თურმე გულში ინახავს ამ წყენას და ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, როცა გზაზე გადაეყრება დამარტოხელებულ მატოს, იგი მუშტის ძლიერი შემოკვრით კლავს მას.

ჯელსომინა სასოწარკვეთას ეძლევა, იგი დასნეულდება. ძამპანო მას — ავადმყოფსა და დაუძლურებულს გზაზე მიატოვებს, თავად კი განაგრძობს ხეტიალს. აი, გამოხდება რამოდენიმე წელი, ძამპანო რომელიღაც სოფელში შეჩერდება და მოულოდნელად მას ჩაესმის სიმღერა, რომელსაც ოდესმე ასრულებდა ჯელსომინა. აქვე შეიტყობს, რომ მისი პატარა ასისტენტი გარდაცვლილა. რაღაც მოსწყდება და იმსხვრევა ძამპანოს ბნელ სულში. და მას, ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე, სველ ქვიშაში პირდაღმა თავჩარგულს აღმოხდება გლოვის ყმუილი, იგი თავის სიცოცხლეში პირველად ქვითინებს.

სიუჟეტის ამ მშრალი გადმოცემითაც ცხადია, რომ იგი უცხო და უჩვეულოა ნეორეალისტური ფილმებისათვის - არა მარტოოდენ პერსონაჟთა ყოველდღიური საქმიანობით, არამედ სულიერი წყობითაც. არადა, ერთ დროს, ჩვენ შეჩვეული ვიყავით იტალიურ ფილმებში უბრალო, კეთილი, პირმშვენიერი ადამიანების ხილვას, ისინი ხან თავდაჭერილი, მოთოკილი ემოციებისანი იყვნენ, ხანაც ცეცხლოვანი ტემპერამენტით ანთებულები, მაგრამ ყოველთვის სრულფასოვანნი გონიერებით და მორალით.

ფელინისეულ „გზის“ პერსონაჟებზე კი იგივეს თქმა გაგვიჭირდებოდა. თვით ჯელსომინა — აშკარად დაბინდული გონებით, ძამპანოც — პათოლოგიურად ჩლუნგი და სასტიკი, მატოც თავისი მასხარის ნიღბით

რომ შემოდის ფილმის ყველაზე დრამატულ მომენტებში - თითოეული მათგანი დამსხვრეულია. ამ თავისებურებების არ დანახვა გაუმართლებელია იქნებოდა.

ფელინმა თვალაურიდებლად დაგვანახა ჯელსომინას ოჯახის უკიდურესი სიღატაკე, მისი დედა, რომელიც იმისთვის, რომ გამოკვებოს უმცროსი შვილები, ფაქტიურად ჩალის ფასად ჰყიდის ქალიშვილს; გვიჩვენა მოხეტიალე მსახიობთა მძიმე, თვალთუხილავი ყოფა, მათი ბრძოლა ლუკმა-პურისთვის; წარმოგვისახა არცთუ იოლი ცხოვრება სხვა ადამიანთა, რომლებიც წუთიერად ჩნდებიან და ასევე სწრაფად ქრებიან ფილმში, თუმცაღა ბევრ რასმე ეტყვიან მაყურებელს თავიანთი სახეიერით.

ეტყვიან, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების მანკიერებაზე, რის გამოც ესოდენ უსულგულო და არაადამიანურია ფილმის მთავარი გმირი - ძამპანო. ამის არდანახვა და გაუაზრებლობა იგივეა, რომ ვერ ჩავწვდეთ სურათის მთავარ აზრს, ვერ აღვიქვათ, რომ ამ ნაწარმოებში აქცენტი სოციალური მომენტებიდან გადატანილი და გამახვილებულია პირადულზე (რაც, სხვათაშორის, უკვე იგრძნობოდა ფელინის წინამორბედ ფილმში „დედიკოს ბიჭებში“), თვით ბრწყინვალედ გადაწყვეტილ ფინალურ სცენაში - ძამპანოში ადამიანური თანაგრძნობის და თანადგომის გამოწვევის მომენტში - ჩვენ შეიძლება როგორღაც გავუგოთ და ვუთანაგრძნოთ მას, მაგრამ შეუძლებელია მისი გამართლება, ძალზე პათოლოგიურია ეს ტიპი. საერთოდ ვერ შვა მაყურებელში რწმენა, რომ სხვაგვარი ვითარება და პირობები შეცვლიდა და სულ სხვად აქცევდა ამ პირქუშ, ბნელ არსებას. თუმცაღა, იქვე იბადება შეკითხვა, უნდოდა თუ არა ფელინს ამის თქმა?

მე არ მჯერა, რომ რეჟისორს ჰქონდა ასეთი ჩანაფიქრი.

არადა, როდის ჩაესახა რეჟისორს ასეთი სურათის შექმნის სურვილი, რამ უბიძგა მისი შექმნისაკენ? თუმცაღა ვფიქრობ, ამჯერად აჯობებდა თავად ფელინის გაეცა პასუხი დასმულ შეკითხვაზე. აი, რას ამბობდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში: „განა შეუძლია ვინმეს, თუნდაც მიახლოებით განსაზღვროს ის წუთი თუ აზრის გაელვება, როცა პირველად გაუჩნდა შეგრძნება, ან უფრო სწორედ - წინათგრძნობა იმისა, რომელიც შემდგომ შენს ფილმად იქცევა. ფესვებს, რომლებზეც აღმოცენდა ჯელსომინა და ძამპანო და მათი ისტორია, სათავე უდევთ ღრმა და ბნელ წიაღში, რომელიც განმსჭვალულია დანაშაულისა და შიშის მაღალ ზნეობაზე, შეგინებულ უბიწოებაზე სინანულით... ახლა ბინდბუნდაღა თუ ვიხსენებ, რომ ამ ფილმის პერსონაჟები პირველად დავლანდე და ვიგრძენი მათი სული და ატმოსფერო, - რომის შემოგარენში

ავტომობილით უმიზნო, ზანტი, მდორე ხეტიალის დროს".

„გზა" ფილმია, რომელიც აგებულია ყველაზე ღრმა კონტრასტებზე - ადამიანთა მწარე ხვედრზე, ნოსტალგიაზე და წინათგრძნობაზე - დროთა დინების შეგრძნებაზე. ძნელია, რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კონკრეტულად დაუკავშირო სოციალურ პრობლემატიკას ან ნებისმიერ პოლიტიკურ მიმართულებას. არადა, სწორედ ამის მიუღწევლობის გამო აკრიტიკებენ ფელინის მემარცხენე მიმართულებას პრესა და კინომიმომხილველები. ამიტომაც, როგორც თავად ფელინი ამბობდა, „ნეორეალიზმით თრობის ჟამს" „გზა" იქცა იმ სურათად, რომელიც იწვევდა უარყოფას, იგი ეჩვენებოდათ დეკადენტურ ნაწარმოებად".

და რეჟისორი იხსენებდა კინოკრიტიკოს პიეტრინო ბიანკის მიერ მისთვის თქმულ სიტყვებს. როცა ვენეციის საერთაშორისო ბიენალიეზე, მოწონებისა და, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანების ატმოსფეროში უჩვენეს „გზა" (განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იყო ფრანგული კრიტიკა - ხვევნა-კოცნა, ხელის მხურვალედ ჩამორთმევა: „თქვენი ფილმი უკვე კლასიკაა" - თქვა საყოველთაოდ აღიარებულმა ნაცადმა რეჟისორმა ანდრე კაიატმა, ხოლო ავტორიტეტული კინოთეორეტიკოსი ანდრე ბაზენი - პატარა და ბიბლიური წმინდანივით ჩამომხმარი - ამ სიტყვების დასტურად თავს აქნევდა და ისე შემომცქეროდა, გეგონებოდათ, გაჩენს ავედრებდა ამა სოფლად ჩემს ყოფნას), იმავდროულად ისმოდა მძაფრი კრიტიკაც, უმეტესად მემარცხენე ჟურნალისტთა მხრიდან. ასეთ ეგზალტირებულ, მღელვარე და გახლეჩილ ერთურთ საწინააღმდეგო ვითარებაში, ჩემი აზრით, ყველასაგან გამოირჩა პიეტრო ბიანკის გამოხმაურება: „როგორი გაბედული ფილმია!" და ფელინი დასძენდა: „თუ კარგად დავუფიქრდები, მე დღესაც მგონია, რომ იმ მომენტში მისი შეფასება ყველაზე სწორი და მართებული იყო. პიეტრო ბიანკიმ პირველმა დალანდა ჩემს ფილმში გადაჭრით სვლა საერთო მდინარების საპირისპიროდ".

თავის დროზე უამრავი ჭორ-მართალი დაიარებოდა არნახულად პოპულარული გენიალური რეჟისორის გამო, თუმცაღა ამბობდნენ, რომ ხალხში ამ „ჭიაკოკონას" გაჩაღებაში თავად ფელინსაც არცთუ მცირე წვლილი შეჰქონდა, უცნაური ქცევითა თუ გამონათქვამებით. მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში იგი იგონებდა რომელიღაც აღმოსავლურ ზღაპარს თუ იგავ-არაკს, რომელშიც გადმოცემულია ჯადოქრის შეგირდის ამბავი: „ცოდნის წიგნი", რომელსაც იგი ეუფლება ხანგრძლივი სწავლის შედეგად, თურმე შედგება სარკე-ფურცლებისაგან, ანუ ერთადერთი შესაძლებლობა შემეცნებისა არის საკუთარი თავის შეცნობა.

ასეთ ქარაგმულ იგავებს არცთუ იშვიათად მიმართავდა ინტერვიუებში თავის თავზე თხრობისას. ერთგან იგი ამბობდა: „ახლა, როდესაც ვამბობ, რომ ჩემს ფილმებს ხელახლა არ ვნახულობ, რომ მე ისინი აღარასოდეს მინახავს-მეთქი, თვით ჩემს მეგობრებსაც კი ეღიმებათ. არა-და, ეს ასეა სინამდვილეში. შესაძლოა, საქმე ის კი არც იყოს - ჩემი ფილმები შორსაა თუ ახლოა ჩემთან, ისინი, უბრალოდ, მუდამ ჩემთანაა, ისინი - მე ვარ. მე კი არ მჭირდება ჩემი თავის ყოველწლიურად ჩხრეკა და კონტროლი. მათთან პირისპირ შეხვედრა კინოთეატრისა თუ ტელევიზორის ეკრანებზე, ჩემში იწვევს რაღაც შიშის გრძნობას, აი ისეთს, როცა მიდიხარ ქუჩაში და უცებ დალანდავ ვიტრინაში თუ სარკეში, რომ ვიღაც მოგჩერებია დაბეჯითებით. და მერეღა ამოიცნობ გულშეძრული, რომ ის „ვიღაც“ თავად შენ ხარ.“

მე თუ მკითხავთ, ფელინის მთელი შემოქმედება ადამიანის სულში წვდომაა. ეს წადილი კი იმთავითვე განპირობებული იყო არაერთი, ხშირად ერთურთ საწინააღმდეგო მეცნიერული თუ ლიტერატურული კლასიკის თავწყაროებით. და აქ მაგონდება: როცა 1956-ში საბჭოეთში გაიმართა იტალიური ფილმების კვირეული, რომელზეც პირველად ვიხილეთ ფელინის „გზა“, მაშინ კინოსურათებთან ერთად ჩამოიტანეს სპეციალურად ამ მომენტისათვის რომში რუსულ ენაზე გამოცემული ბიულეტინი.

და მოხდა კურიოზი: ჩვენ შეუმჩნეველი არ დაგვრჩენია, რომ ეს ბიულეტინი ძალზე მცირე ინფორმაციას გვაწვდიდა ფილმ „გზისა“ და მისი შემოქმედის გამო, თუმცაღა, მასში გვხვდებოდა ასეთი სიტყვებიც: „ფედერიკო ფელინი ყოველთვის თავისუფალია რაიმე ინტელქტუალური მიმდინარეობისაგანო“

რა იყო ეს? სტატიის ავტორის უმეცრება თუ მისი მცდელობა - ამჯერად მაინც აერიდებინა სოცრეალიზმის სადარაჯოზე მდგომთა ფხიზელი თვალი ფელინის ფილმისათვის? ეტყობა, ავტორი არცთუ ურიგოდ ერკვეოდა იმ ვითარებაში, თუ რატომ ვერ იკიდებდა ფეხს საბჭოეთის კინოეკრანებზე ფელინის თამამი ფილმები - რეჟიმი ხომ შავი ჭირის დღესავით ერიდებოდა ჩვენში რაიმე ახალი „ინტელექტუალური მიმდინარეობის“ შემოჭრას.

დიახ, რთული და წინააღმდეგობრივია ფელინის მსოფლგანცდა, თუმცაღა ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მას არ გააჩნდეს მტკიცე ეთიკურ-ესთეტიკური საყრდენი, რომლის გარეშეც ძნელი გასაგებია ამ ხელოვანის შემოქმედება. უწინარეს ყოვლისა, ესაა თანმიმდევრული და ურყევი ანტიფაშიზმი. და აქედან გამომდინარე მისი შეურიგებლობა ტოტალიტარიზმთან, რასიზმთან, ნაციონალიზმთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფელინის ბავშვობა და ყრმობა თანხვდა იტალიაში მუსოლინის რეჟიმს, ისიც ცნობილია, რომ ოცდაათიან-ორმოციან წლებში არაერთი იტალიელი კინემატოგრაფისტი წამოეგო ფაშისტური რიტორიკის ანკესზე და საკმეველიც აკმიეს მას თავიანთ ფილმებში... 1920 წელს დაბადებული ფედერიკო ფელინი კი, მათთან შედარებით, ახალგაზრდა გახლდათ. მართალია, მასაც მოუხდა მუშაობა სცენარისტად იმ კინოცენტრში, რომელსაც თავად დუჩეს ძე - ვიტორიო პატრონობდა, მაგრამ ეს თანამშრომლობა ნამდვილად არაიდელოგიური ხასიათისა იყო, უფრო მეტიც - ფელინის შინაგანად ზიზღს გვრიდა და სძულდა ფაშიზმი. შემთხვევით არ მომხდარა, რომ იგი იყო ერთ-ერთი ავტორი სცენარისა რეჟისორ რობერტო როსელინის საპროგრამო ანტიფაშისტური ფილმის - „რომი - ღია ქალაქი“, რომელმაც სათავე დაუდო ომის შემდგომ მსოფლიო კინემატოგრაფიაში ყველაზე ადამიანურ, ჰუმანურ მიმდინარეობას - ნეორალიზმს.

ფელინის რეჟისორული დებიუტი გახლდათ „თეთრი შეიხი“. ეს ფილმი ჩვენში არ შემოსულა და იგი საბჭოთა მაყურებლისათვის დიდხანს უცნობი იყო. მეც კარგა მოგვიანებით ვნახე იგი საზღვარგარეთ ყოფნისას. მანამდე კი, ბევრად ადრე, იტალიელი და ფრანგი კინოკრიტიკოსები უკვე დაბეჯითებით აღნიშნავდნენ და მსჯელობდნენ ფელინის ფილმების ავტობიოგრაფიულ ხასიათის გამო, რომ „თეთრ შეიხში“ „როგორც კვირტში, ისეა მოქცეული ლამის მთელი შემდგომი ფელინი — მისი მისტიფიკაციით, ჰიპერბოლითა და მეტაფორით, სიუჟეტის მოულოდნელი შემობრუნებით, კარნავალური დასასრულით“ - ანუ ყოველივე იმით, რაც საერთოდ არ გააჩნდა ნეორეალიზმს - ჩვენში კი, საბ-

ჭოთა კრიტიკა ჯიუტად იმეორებდა - გინდა თუ არა, ფელინი ნეორეალიზმში იშვა და ბოლომდე ნეორეალისტად რჩებაო.

სცოდავდნენ, რაღა თქმა უნდა, ჭეშმარიტების წინაშე. ფელინის ფილმებში საერთოდ არ იგრძნობა თუნდაც ის აპრიორული სიყვარული ხალხისადმი, ე.წ ,,საშუალო ადამიანისადმი", რომლითაც გამსჭვალულია ნეორეალიზმის ქმნილებანი. ფილმების - ,,გზა", ,,კაბირიას ღამეების", ,,ამარკორდის" მიხედვით ხალხი სხვადასხვანაირია. იგი შედგება კონკრეტული პირებისაგან, ინდივიდუმებისაგან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მაღალი სულიერებისაკენ ლტოლვაც, მაგრამ იმავდროულად იყოს მხდალი, უმეცარი, სულმდაბალი, გულღრძო, ცბიერი და გაუტანელიც.

მართალია, ფელინის ამა თუ იმ ფილმში ზოგჯერ მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობა ამ სურათების ავტორის ერთგულებაც მისი უსაყვარლესი ჩარლი ჩაპლინის ტრადიციებისადმი, მაგრამ ეს მაინც არ არის ნეორეალიზმის გმირებში გამოხატული სოლიდარობის, სიყვარულის სითბო და თანაგრძნობა.

ფელინისეული ,,გზა", ,,კაბირიას ღამეები", ,,რომი", ,,ამარკორდი", ,,ორკესტრის რეპეტიცია", ,,და გემი მიცურავს", უთუოდ, რთული, შეიძლება ითქვას, დანახული და დახვეწილი აზრის ნაყოფია, მაგრამ იმავდროულად წარმოგვიდგება ზოგადკაცობრიული კულტურის (პირველ რიგში - იტალიური კულტურის) მონაპოვრად.

იგივე შეიძლება ითქვას ფილმ ,,რვანახევრის" გამოც, თუმცაღა ამ სურათის მთავარმოქმედი გმირი - რეჟისორი გუიდო ანსელმის სახეიერი ბევრად უფრო მრავალმხრივი და რთულია, უფრო ელიტარულიც, ვიდრე ჯელსომინას, ძამპანოს, მატოს (,,გზა") ან კაბირიას (,,კაბირიას ღამეები") სახეები. თუმცაღა, ფელინის საოცარი მაგიური უნარით ამ პერსონაჟებშიც მკრთალად, მაგრამ მაინც მონიშნულია მნიშვნელოვანი ზოგადკაცობრიული თემა - შემოქმედების, მშვენიერების ქვეცნობიერად ხელქმნის, ყოფიერების აზრში წვდომის თემა.

შემდეგ ფელინის ამ თემას და მიდრეკილებას გამალებით ეძებდნენ და ნახულობდნენ კიდეც კრიტიკოსები საყოველთაოდ სახელმოხვეჭილ კინემატოგრაფისტების - იტალიელი მიქელანჯელო ანტონიონის ფილმ ,,ფოტოგამადიდებელში", ფრანგი ალენ რენეს ,,განჭვრეტაში", ესპანელი კარლოს საურას სურათში ,,ელინა, სიყვარულო ჩემო", გლებ პანფილოვის ,,თემაში".

ყოველთვის ძნელად ასახსნელ და ძალზე საგულისხმოდ მიაჩნდათ ფელინის დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიისადმი. მას თავადაც კი უჭირდა იმის ახსნა, თუ რა გავლენას ახდენდა ქრისტიანული მოძღვრება მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ერთ-ერთ ბოლო დიდ ინტერვიუში, რომელიც შემდგომ წიგნადაც გამოიცა, იგი ამბობდა:

,,საერთოდ ეკლესია, - მეტადრე კათოლიკური, - უთუოდ გონივრულად, - ადამიანის სულში ღრმა წვდომით რომ ეკიდებოდა მხატვრებს, როგორც ბავშვებს: ერთის მხრივ, ახალისებდა მათ შემოქმედებით მოღვაწეობას საჩუქრებით და ჯილდოებით, რათა თავიანთი ნიჭით ხოტბა შეესხათ მისი წმინდანებისათვის, მისი მარტვილებისათვის, მისი მითებისათვის, და იმავდროულად, მეორე მხრივ, დაუზოგავად აღვივებდა მათ სულში დანაშაულის გრძნობას, - იმას მხატვარი რომ განიცდის, როცა ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელსაც უშუალოდ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ხოლო თავად მხატვარი ეწევა ისეთ ყოფა-ცხოვრებას, რომელიც არ ურიგდება, არ ეთვისება საერთოდ მიღებულ წესებს და რომელსაც ემუქრება ბნელი ძალები, მათ რომ უბიძგებს გადააბიჯონ დაშვებული და კანონიერი წესები, დაარღვიონ მცნებანი, დადგენილი წესრიგი და პირობითობანი".

ახლა ვერ ვიხსენებ, სად გავიგონე თუ ამოვიკითხე ერთი ფრაზა, რომელიც ასე ჩამრჩა ხსოვნაში: ,,ფელინის ჩატევა რაიმე ,,იზმში" - შეუძლებელია". რაღა არ უწოდეს მას: მართლმორწმუნე კათოლიკეც და წარმართიც, ეგზისტენციალისტიც, ფსიქოანალიტიკოსიც, ბაროკოს დიდოსტატიც, მაგიც, ჯადოქარიც, დიდი მისტიფიკატორიც, დაუცხრომელი ფანტაზიორიც და ა.შ. თუმცაღა, თითოეული ამ განსაზღვრათაგან დამახასიათებელია მისი მრავალმხრივი ტალანტის სხვადასხვა წახნაგისათვის და არა მთლიანად ფელინისათვის: მის მიერ ხელქმნილ თითქმის ყოველ სახიერს თან მოჰყვება უსასრულო რიგი ლიტერატურული, ფოლკლორული, მითოლოგიური რემინისცენციებისა, ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური შეგნების. მაგრამ მათში არცთუ ნაკლებია სრულიად რეალური ყოფიერების ასოციაციები.

ფილმი ,,გზა" შეიძლება აღვიქვათ, როგორც მეტაფიზიკური პოემა ადამიანთა ურთიერთობაში ტრაგიკულ გაუგებრობაზე. იმადროულად არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ეს სურათი წარმოგვიდგება იტალიური ქორწინების ერთგვარ მოდელად - მისთვის სისხლხორცეულ ერთი მეუღლის ქალის დათრგუნვით.

კინოს ისტორიკოსი, კრიტიკოსი და რეჟისორი კარლო ლიბანი წერდა: ,,ფილმ ,,გზის" ნახვის შემდეგ მილიონობით ადამიანმა განიცადა სინდისის წადილი - ვიდრე არ არის გვიან, ჩაეხედა თავის სულში. ისინი, თუნდაც წუთიერად, შეაძრწუნა იმის მიხვედრამ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ მეუღლესთან ერთად და ერთხელაც არ ჩაუხედიათ, თვალი არ გაუსწორებიათ საკუთარი ,,მესთვის".

ფელინის გაგება მართლა შეუძლებელია მისი კათოლიციზმის გარეშე - ეს დიდი რეჟისორის შემოქმედების მკვლევართა ერთობლივი მოსაზრებაა. თავად ფელინი კი ერთ-ერთ ინტერვიუში გულწრფელად აცხადებდა: ,,მე მგონია, რომ ბუნებით, დაბადებიდანვე რელიგიური ვარ, რამეთუ მთელი ქვეყნიერება, თვით სიცოცხლეც კი, იდუმალებით მოცული მეჩვენება. და კიდევაც ბავშვობიდანვე ასე რომ არ მიზიდავდეს ეს მისტიკური გრძნობა, რომელიც მთელ ჩვენს არსებობაზე აირეკლება და ყველაფერს შეუცნობლად აქცევს, ალბათ, სულერთია, ჩემი ხელობა მაინც მიმიყვანდა რელიგიურ გრძნობასთან...

რა წაგვმართავს ჩვენს შემოქმედებით ძიებაში?

როგორ ხდება ეს? - მარტო გულდაჯერება, რაღაც თუ ვიღაც, ჩვენში შინაგანად რომ ჩასაფრებულა, რომლის შესახებაც ბევრი არა ვიცით რა, დრო და დრო გვაგრძნობინებს თავის ყოფნას ჩვენს რაღაც ნაწილში მთვლემარე და გრძნეული, შენი გასაკეთებელი რომ უკისრია და შეუძლია ხელი შეგიწყოს ამ იდუმალ ოპერაციაში.

ჩემი აზრით, შეიძლება ამ გულდაჯერებას ვუწოდოთ რელიგიური გრძნობა... თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენა, ერუდიცია, ეგოიზმი, სურვილი რაც შეიძლება მეტი ცოდნისა, ცრუკულტურა. ძალიან ხშირად ზღუდავენ ამ გულდაჯერებას, ასუსტებენ და აქარწყლებენ მას. ამას კი უეჭველად მივყავართ მხატვრული შედეგის გაუარესებამდე"...

მოსაუბრის შეკითხვაზე - ,,როგორია თქვენი დამოკიდებულება კათოლიკურ ეკლესიასთანო" - ფელინი არცთუ ირონიული პირზე ღიმილის გარეშე პასუხობდა:

ასეთი შეკითხვით შეიძლება მიმართოთ მუჰამედს ან ლუთერს, - სხვა ეკლესიის თავკაცს. მე კი არაერთგზის მითქვამს, რომ კათოლიკური რელიგია - კარგი რელიგიაა. და განა შეიძლებოდა, რომ მე, იტალიაში დაბადებულს, რომელიმე სხვა რწმენა ამერჩია? მე მომწონს მისი ქორეოგრაფია, მისი მოუშლელი და მომნუსხველი ცერემონიები, დიდებული მდიდრული დადგმები, პირქუში ჰანგები, დაკრძალვის გრანდიოზული რიტუალი, ახალი რომის პაპის არჩევნები - იქნებ ყოველივე ამითაც არის შთაგონებული ჩემს ფილმებში კარნავალური დასასრული... და კიდევ - ეკლესიის დამსახურებაა, რომ ცდილობს დაგვიცვას შეუცნობლობის ყოვლისშთამთქმელი სტიქიისაგან. კათოლიკური აზრი, ისევე როგორც ისლამური ან ინდუისტური, ინტელექტუალური სტრუქტურაა, რომელიც გვაწვდის კომპასს და ორიენტირებს ადამიანური არსებობის იდუმალებაში გასარკვევად. ეს არის გონიერი ნახელქმნარი, რომელსაც შეუძლია გვიხსნას ეგზისტენცია-

ლური საშინელებისაგან ცხოვრების აზრის არარსებობაზე“. და იქვე დასძენდა: „მგონი გოეთესეული სიბრძნეა - ცხოვრების მიზანი - თავად ცხოვრებაა“.

დიახ, ფელინის კათოლიციზმში ხიბლავს და იზიდავს ოდენ არა მისი წესჩვეულებანი ან ღვთისმეტყველება მისი დოგმებით. ფელინის ბიოგრაფიის ერთი ჭეშმარიტების გზასამცდარი მკვლევარი კი უტიფრად აცხადებდა: „დიდმა იტალიელმა რეჟისორმა თითქმის სულ არ იცის ბიბლიაო“. არადა - ფელინის თითქმის ყველა ფილმით აშკარაა, რომ ამ მართლა „დიდ ხელოვანს“, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანობა ხიბლავდა და ნუსხავდა მისი მისტიკური იდეებით, რომელიც მოედინება ჯერ კიდევ პლატონის, ფრანცისკ ასიზელის, თომა აქვინელის ფილოსოფიიდან. მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს უშუალოდ უკავშირდება ფელინის ღრმა ინტერესით ყოველგვარი იდუმალებით და დაფარულით, ადამიანის ფსიქიკის, შეგნებისა და ქცევის ყველაზე რთული გამოვლინებით.

ფელინის ახლო მეგობარი რეჟისორი ბრუნელო რონდი აღნიშნავდა: „ფილმ „რვანახევრის“ შემოქმედი განსაკუთრებული გულმოდგინებით კითხულობს - და კვლავ და კვლავ უბრუნდება - კონფუციის, ფროიდის, იუნგის ნაწარმოებსო“. მე მგონია, ფელინის მსოფლგანცდაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შვეიცარიელი ფსიქოლოგიის - კარლ გუსტავ იუნგის შრომებით ჯიუტმა და გამძლე გატაცებამ. იუნგმა შექმნა მოძღვრება „კოლექტიური შეუძლებლობის“ (თუ „შეუცნობლობის“) შესახებ, რაც განსაკუთრებით ხიბლავდა „ამარკორდის“, „ტკბილი ცხოვრების“, „რვანახევარის“, „რომის“ ავტორ-რეჟისორს.

ერთ-ერთ გვიანდელ ვრცელ ინტერვიუში იგი ამბობდა: „კინო, გარდა იმისა, რომ იგი ფორმაა გართობის ანუ სანახაობაა, ის ხელოვნებაცაა: კინო ოცნებაა და მე არ მჯერა, რომ ვინმეს - ავტორი იქნება თუ მაყურებელი, - უარი ეთქვას ოცნებაზე. ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია იუნგის გამონათქვამი იმაზე, რომ ფუნქცია, რომელსაც ცხოვრებაში ასრულებს ხელოვანი, შეიძლება შევადაროთ იმ ფუნქციას, რომელსაც ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში ასრულებს ძილში ზმანება - სიზმარი.

ეს ფუნქცია დამახასიათებელია გამოხატვის ყველა ფორმისათვის, მაგრამ კინო, თავისი ბუნების გამო, განსაკუთრებით კარგად გამოხატავს ამ ამაღელვებელ ჭეშმარიტებას: სიბნელეში ანთებული ეკრანი, უზარმაზარი ლანდები,ჰიპნოზირებულ მაყურებლის თვალწინ რომ მოძრაობენ...“

ფელინი ერთგან რეჟისორს, კინონაწარმოების შემოქმედს, ღმერთს ადარებდა, ხოლო ფილმის კეთებას შესაქმის პროცესს უტოლებდა.

ბულაკაშვილის
გადაფრენა
სპორტულ
დარბაზში

და როდესაც ამ ფიქრით, შეცივებული „ბელურების“ ფიქრით, გაივლი სტუდიის გასახდელს და დარბაზის კარს შეაღებ, უკვე იმ ჯადოსნურ სამყაროში მოხვდები, სადაც სიტყვები ძალას კარგავს, რადგან არსებობს ტკივილისა და სიხარულის კიდევ უფრო ძლიერი გამოხატვის ფორმა, ვიდრე სიტყვაა... მუსიკისა და მოძრაობის სინთეზი - თითის წვერებზე შემდგარი გოგო-ბიჭების გენით აცეკვებული მოძრაობა და მუსიკა, რომელიც, სიტყვებზე მეტად გასაგები „ენით“ გიყვება ფესვების უკვდავების ამბავს...

ამ ამბავს მე კუთხეში ატუზული ბავშვივით მოვუსმინე. დასჯილი და უსუსური ბავშვივით, რომელიც თავად სჯის საკუთარ თავს იმაზე ფიქრით, რომ ამ ბავშვებს ვერ შეუქმნა ისეთი სამშობლო, ვერ აუშენა ისეთი სახელმწიფო, სადაც სარკეებიან დარბაზში „ბელურების გადაფრენას“ არ დაინახავდა...

ახლა ჩვენში გაზაფხულია. მე უკვე საქართველოში ვარ, მაგრამ გაზაფხულის სურნელიც კი ვერ მავიწყებს ბრუკლინური ყინვისა და ნესტის სურნელს და ვერც იმ განცდას, ბელურების გადაფრენის სიმბოლურ აღქმად რომ შერჩა ჩემს მეხსიერებას. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში რომ გაზაფხულია ახლა, იმაზე საცნაური, სიმბოლური გაზაფხული დამხვდა მაშინ, იმ თოვლიან საღამოს, იმ დარბაზში... ქართული ჯიშისა და გენის, ფესვებზე და ფესვებთან ერთად, ამღერებული, აცეკვებული და აყვავებული გაზაფხული, რომელიც წელიწადის დროებს არ სცნობს.

რომელიც არ სცნობს მანძილს -
საქართველოდან ამერიკამდე!

საიდან მოდის სიყვარული

ვანო და შორენა... შორენა და ვანო...

ძნელი დასადგენია საიდან მოდის ეს უშრეტი ენერგია, „ერთსულ და ერთხორც“ შეყრილების თვალსაჩინო ნიმუშს რომ იძლევა. მათგან მოდის სიყვარული, თუ ისინი თავად მოდიან სიყვარულიდან? არც ამ კითხვაზე მაქვს პასუხი, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, რომელიც არ მაქვს, ერთი რამ ცხადზე ცხადია: ისინი ერთმანეთისთვის მეუღლეები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით - მეუღლეები, ერთ „უღელში“ შებმულები, ერთმანეთის უღლის გამწევები... ერთმანეთის მხარდამხარ, თანშეწყობილი ნაბიჯებით უკვე წლებია მიდიან „ყამირზე“, რომელსაც უცხო ქვეყანა ჰქვია. მაგრამ, ამ უცხო ქვეყანაში გავლებულ „ხნულში“ ისევ მშობლიურ მარცვალს აგდებენ... მარცვალს, რომელიც მათივე ფესვებიდან მოდის - ქართული ცეკვა და ქართული სიმღერა - ჩვენი გენეტიკური მეხსიერებისა და დღევანდელობის, ტკივილისა და სიხარულის ყველაზე საცნაური გამოხატულება.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ მათ მიერ გავლებულ „ხნულში“ სიკეთისა და ბარაქის მარცვალი არ ილევა და მეც, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ წერილს (პროფესიის გარდა) ისევ და ისევ იმ საერო საქმიდან გადმოსული მადლი მაწერინებს.

ყველაფერი სიყვარულით დაიწყო

1998 წელი...

ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ამერიკაში გასტროლებისათვის ემზადება. ბიჭი მღერის, გოგონა - ცეკვავს. ერთმანეთს თვალი პირველად რეპეტიციაზე მოკრეს. ბიჭს მაშინვე ჩაუვარდა გულში, მთელი ღამე მასზე ფიქრში გაატარა... გოგონა ვერაფერს მიხვდა და ყურადღება არც მიუქცევია.

მეორედ, ორი კვირის შემდეგ, თვითმფრინავში შეხვდნენ. ბიჭს ენა არ გაუჩერებია, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ყველანაირად ცდილობდა ქალიშვილის ყურადღების მიქცევას. გოგონა თავაზიანი გულგრილობით პასუხობდა და უხერხულობის დასაფარად დროდადრო ილუმინატორიდან იყურებოდა.

საქართველოდან ამერიკაში მოფრინავდნენ. მათთან ერთად მოფრინავდნენ მათი მეგობრებიც - ანსამბლის სხვა წევრებიც.

ამ რეისს კიდევ ჰყავდა ერთი უჩინარი „თანამგზავრი“ - ამერიკული ოცნება - რომელსაც ახდენა არ ეწერა... ანსამბლის ოცდახუთკაციანი შემადგენლობიდან, მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პირობა (ექვსთვიანი გასტროლები ამერიკაში, დღეში ასდოლარიანი ანაზღაურებით), რეალობა კი არა, პატარა საპნის ბუშტი იყო, რომელიც ამერიკის მიწაზე დაშვებისთანავე გასკდებოდა... განსაცდელი კი იმაზე დიდი ექნებოდათ, ვიდრე ეს ჩაბნელებულ და შეციებულ საქართველოში ჰქონდათ.

მანამდე კი, ამერიკული ოცნების დამსხვრევამდე და რეალურ განსაცდელამდე, რომელიც მოგვიანებით დიდი სიყვარულის დასაწყისად იქცა, გოგოსაც და ბიჭსაც ჰქონდათ თავისი, მოკლე ბიოგრაფია:

ვანო გოდერძიშვილი: დაიბადა 1977 წელს. პირველი კლასიდან მუსიკალურ ინტერნატში სწავლობდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მუსიკალური საკრავით იყო გატაცებული. პირველიდან მეხუთე კლასამდე - ვიოლინო; მეხუთედან მეშვიდემდე - კლარნეტი; მეშვიდედან მეცხრემდე - ყოველგვარ ინსტრუმენტზე უარი თქვა; მეცხრე კლასიდან კი ხალხური საკრავე-

ფესვები - ადამიანის სულის „საზომი“, არახილვადი, მაგრამ ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე ცოცხალი და არსებითი ნაწილი ჩვენი ცნობიერებისა და ყოფიერების.

ეს ფრაზა დათოვლილი ნიუ-იორკიდან გამომყვა.

ახლა უკვე გაზაფხულია და ამ წერილსაც საქართველოში ვწერ. მეხსიერების დაძაბვა არ მჭირდება, ყველაფერი ცხადად მახსოვს: პირველი ემოცია, პირველი შთაბეჭდილებები... ბრუკლინი, ავენიუ ო (70 Avenue O, Brooklyn, NY)

კარის შეღება. შესასვლელში - ყოველდღიური ყოფიერებითა და საზრუნავით გადაღლილი მშობლები. რეალურად სამშობლოსა და ფესვებს მოწყვეტილები, მაგრამ ის ფაქტი, რომ დამღლელი სამუშაო კვირის ბოლოს, უქმეებზე, მათ მაინც შესწევთ ძალა და უნარი, აქვთ მოტივი საათობით იდგნენ აქ, ამ პატარა ოთახში, სადაც კარს მიღმა მათი შვილების წილი საქართველო ცოცხალი ორგანიზმივით სუნთქავს, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ სამშობლო „გეოგრაფიას“ არ სცნობს, თუ მას საკუთარ თავში ატარებ!

ქორეოგრაფები -
შორენა ბარბაქაძე
და ჯურხა ლომთაძე

ლექსო გოდერძიშვილი
და ნუგზარ ფსუტური

ბით დაინტერესდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კულტურის ინსტიტუტში ჩააბარა და 1997 წელს დაამთავრა „ხალხური გუნდის ლოტბარის, მგალობელი-რეგენტის“ სპეციალობით.

1998 წელს უკვე ამერიკაში წამოვიდა.

შორენა ბარბაქაძე: დაიბადა 1979 წელს. მომავალი ფრანგული ენის სპეციალისტი და თარჯიმან-რეფერენტი ჯერ კიდევ 19 წლის იყო, როცა ამერიკაში გასტროლები შესთავაზეს. ცდუნება დიდი იყო, თუმცა ოჯახის წინააღმდეგობა ბოლოს მაინც ლექტორების თანადგომამ დაძლია: სანიმუშო სტუდენტი ხარ, არ გაგიჭირდება, ჩამოხვალ 6 თვეში, ჩვენც დაგეხმარებით და აინაზღაურებ გაცდენილ ლექციებს - ასეთი იყო მათი პოზიცია, რომელმაც შორენა დროებით მოწყვიტა წიგნებს და ქართულ საცეკვაო ფორმაში გამოწყობილი „ამერიკულ ოცნებაში“ გადაიტყუა.

ამერიკაში ჩამოსვლის პირველივე დღეს მიხვდნენ, რომ ანშლაგით ჩასატარებელი გასტროლები, რომელიც სახელს, მაყურებლის სიყვარულსა და მატერიალურ კეთილდღეობას მოუტანდათ, არანაირ კავშირში იყო იმ რეალობასთან, რომელშიც მოხვდნენ. ყოველ მათგანს ზურგზე საქართველოში აღებული პროცენტიანი ვალი და ვალდებულება ჰქონდა აკიდებული, რომელიც, მათი ვარაუდით, ერთ თვეში უნდა გაესტუმრებინათ და ექვსი თვის შემდეგ „ზურგის ქარს“ შემოსავლით ხელდამშვენებულები სამშობლოში დაებრუნებინა.

მაგრამ „ზურგის ქარის“ ნაცვლად ყველა მხრიდან ამოვარდნილ ქარ-ბორბალში მოხვდნენ, რომლისგან თავის დაღწევაც ბრძოლად ექცათ - ბრძოლად, არსებობისა და გადარჩენისათვის!

თერთმეტი ბიჭი
და შვიდი გოგო

გოგონებისთვის, როგორც იქნა გამოინახა ერთი ოთახი. შვიდივეს ერთ ოთახში ეძინა. ბიჭები ღამეს რესტორანში ათენებდნენ. ერთმანეთთან მიდგმულ სკამებზე ქვეშაგებად ტანსაცმელს იფენდნენ, საბნად ქურთუკებსა და პალტოს იფარებდნენ და კვირიდან-კვირამდე თითოეულ მათგანს ათ დოლარად გაჰქონდა თავი.

კონცერტი მხოლოდ შაბათ-კვირას ჰქონდათ, თუმცა არც ამას ერქვა კონცერტი: ანშლაგით, მაყურებლით გადაჭედილ დარბაზში ჩასატარებელი კონცერტების ნაცვლად რესტორანში მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ასი დოლარის ნაცვლად ათ დოლარს იღებდნენ და შემდეგ, ათასი საზრუნავით ანაწილებდნენ ამ ათ დოლარს კვირიდან კვირამდე.

ყველაზე საოცარი ამ ისტორიაში ისაა, რომ ამ ისტორიის გმირები, წლების შემდეგ, დღემდე აგრძელებენ ურთიერთობასა და

მეგობრობას. ოჯახები შექმნეს, ერთმანეთს დაუნათესავდნენ, შვილები მოუნათლეს... მაშინ კი, 19-21 წლის გოგო ბიჭებს, როცა ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავდათ ამ უცხო ქვეყანაში, ერთი ღვეზელიც ხშირად გაუყვიათ, ერთი ჭიქა წყალიც და თუ რომელიმე დროებით, რაიმე დღიურ სამუშაოს მოძებნიდა, იმ დღიურ ცენტებსაც თანაბრად უყოფდა დანარჩენებს.

ასე გაგრძელდა ოთხი თვე.

უკან დაბრუნებას ვერავინ ბედავდა... ვერც წინ დგამდნენ ნაბიჯს. ერთმანეთთან განშორება ეძნელებოდათ, მაგრამ ცხადი იყო, უნდა დაშლილიყვნენ, სხვაგვარად თავის გატანა უკვე წარმოუდგენელი იყო. თავდაპირველად ოთხი გოგო, მათ შორის შორენაც, ფლორიდაში წავიდნენ. პირველად მათთვის გამოჩნდა სამუშაო. ვანომ და რამდენიმე ბიჭმა კი, სამხრეთ კაროლინაში გადაინაცვლეს.

ამ დროისათვის, ვანო უგონოდ იყო შორენაზე შეყვარებული. „ვერაზანოს“ ხიდიდან გადახტომისა და უნუგეშოდ გამიჯნურებულის თვითმკვლელობის მცდელობაც ჩავლილი იყო უკვე და ისიც ცხადი იყო ყველასთვის, რომ ამ გადარეულ სიყვარულს შორენას თავშეკავება ველარ შეაკავებდა. როგორც კი ვანომ პირველი ხელფასი აიღო, ავტობუსში ჩაჯდა, ოცდათექვსმეტი საათი იმგზავრა და შორენასთან ჩავიდა ფლორიდაში.

მეორე ხელფასზეც იგივენაირად მოიქცა. მესამედ უკვე მამამ შეაჩერა - ასე გაგრძელება შეუძლებელია. მიიღეთ გადაწყვეტილება და შექმენით ოჯახი! ეს უკვე რჩევა აღარ იყო - იყო მოთხოვნა.

„ფესვების“ ფესვები...

ვანოს და შორენას სიყვარულის ამბის მთხრობელი ვანო იყო. შორენა მხოლოდ ღიმილით გვისმენდა და დროდადრო ისეთი ვარდისფერი ალმური გადაჰკრავდა ღაწვებზე, თითქოს ვანო თექვსმეტი წლის წინანდელ ამბავს კი არ იხსენებდა (რომელიც სამი შვილის დაბადებასა და ცოლ-ქმრულ ყოველდღიურობას აქამდე უნდა გაეფერმკრთალებინა), არამედ მიმდინარეს, გასული საუკუნიდან დღემდე ხელუხლებლად, პირველყოფილი სიცხადით „გადმოსახლებულს“. მხოლოდ ერთხელ ჩაერია საუბარში, ისიც მაშინ, როცა სიტყვა ვანოს მამაზე, შორენასთვის კი - ლექსო მამიკოზე, ჩამოვარდა.

ვანო ცნობილი ხალხური მუსიკის შემსრულებლის, ანსამბლ „კოლხეთის“ წევრის, ლექსო გოდერძიშვილის შვილია. ვანო დღემდე ფიქრობს, რომ მთელს იმ კოშმარულ ისტორიაში, რომელიც ამერიკაში საგასტროლოდ ჩამოსულ ქართულ ანსამბლს შეხვდა, მას ყველაზე მეტად გაუმართლა, რადგან გვერდით ჰყავდა მამა

და შორენა.

შორენა კი ფიქრობს, რომ რომ არა ვანოს მამა, რომელიც მისთვისაც მეორე მამად იქცა, შეიძლება მათი ოჯახი არც კი შექმნილიყო.

ლექსო გოდერძიშვილს სარძლო ძალიან მოსწონდა. ვერც გამოჯნურებული შვილის ტკივილის თმენას უყურებდა გულგრილად. თითიდან თავისი „კალიცო“ მოიძრო, სარძლოს გაუკეთა, მერე ყანწი მოიმარჯვა და ახლადშექმნილი ოჯახი დალოცა. ასე იქორწინეს ვანომ და შორენამ ამერიკაში ჩამოსვლიდან შვიდი თვის შემდეგ.

2000 წლის შემოსვლას ვანო და შორენა უკვე ნიუ-იორკში გადმოსახლებით შეხვდნენ. ლექსო გოდერძიშვილი კი ერთ წელიწადში დაბრუნდა საქართველოში... დაბრუნდა სამუდამოდ, თითქოს გული უგრძნობდა... გული, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებულს უმტყუნა და განსასვენებელიც ქართულ მიწაზე ჰპოვა.

მაგრამ მანამდე, ამერიკაში დარჩენილ შვილს, კიდევ ერთი მიმართულებით გაუკვალა გზა - ძველი მეგობრებისგან ვიქტორ სირელსონი გაიცნო და შვილსაც გააცნო. ამ ნაცნობობამ ახალი ურთიერთობები მოიტანა, ახალი კავშირები და ახალი გზაც გამოჩნდა ხელოვნებისკენ - ქართული სიმღერისა და ცეკვისკენ მიმავალი გზა.

არადა, ვანო ფიქრობდა, რომ ყოველდღიურმა საზრუნავმა ამ გზას დიდი ხნის წინ დააშორა. ახლაც სევდიანად იხსენებს კაროლინაში, ძველმანების მაღაზიაში (სადაც ძველმან ტანსაცმელს ყიდულობდნენ) როგორ შემთხვევით გადაეყარა ძველ პიანინოს. ინსტიქტურად როგორ შეახო შრომისაგან დაკოჟრილი თითები კლავიშებს... როგორ აიღო პირველი აკორდი და მერე არაფერი ახსოვს, გარდა პაუზისა და ტაშის ხმისა... ტაშს სრულიად უცნობი ადამიანები უკრავდნენ, რომლებიც დაკვრის დროს ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოეხვივნენ გარს.

სულ მალე შორენასთვისაც დადგა ის მომენტი, როცა მიხვდა რომ ცეკვის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო, მაშინაც კი, თუ „საცეკვაოდ არ ჰქონდათ საქმე“. ჯერ კიდევ ფეხმძიმეს, მეგობრებმა სთხოვეს ქართული ცეკვის სწავლება. მოგვიანებით მამა ქრისტეფორესა და მამა ალექსანდრეს შემწეობით, ქართული წირვა-ლოცვის შემდეგ, „ბეისმენდში“ გამართულ რეპეტიციაზე ოთხ მოსწავლეს მოუყარა თავი.

ამასობაში, შორენას და ვანოს პირველი ვაჟი, გიორგიც დაიბადა, მაგრამ გიოს დაბადებას შორენას და ვანოს ენთუზიაზმისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით, უფრო მეტი სტიმული მისცა, უფრო მეტად იგრძნეს პასუხიმგებლობა. როცა უყურებდნენ ქართულ წირვა-ლოცვაზე მოსულ პატარებს, რომლებიც ქართულად ვერც კი მეტყველებდნენ,ორივე შიშმა შეიპყრო, შიშმა იმისა, რომ იგივე პრობლემის წინაშე შესაძლოა მათი შვილებიც აღმოჩენილიყვნენ.

ალბათ, მაშინ მოხდა მათ ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომლის წყალობითაც გააცნობიერეს, რომ ქართული ცეკვა და სიმღერა მხოლოდ ხელოვნება არაა. ის სულის საზრდო, პური და წყალია, როცა უცხო მიწაზე ცხოვრობ!

ხუთი თვის გიორგი საქართველოში გამოაგზავნეს და საქმეს შეუდგნენ. თავდაპირველად ანსამბლის შექმნა არც კი უფიქრიათ. დროთა განმავლობაში ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. მშობლებს დრო არ ჰქონდათ და შორენაც, ორი წლის განმავლობაში, მანქანით ჩამოუვლიდა ბავშვებს, შეკრიბავდა და სარეპეტიციოდ თავად მიჰყავდა. დამღლელი რეპეტიციის შემდეგ ისევ თვითონ აბრუნებდა სახლებში. ნელ-ნელა იმატა მსურველების რიცხვმა.

გიორგის შემდეგ მარიამი დაიბადა, მარიამს - თეკლა მოჰყვა. სამი შვილი, სამი საზრუნავი და ოჯახის მიღმა კიდევ უფრო დიდი ოჯახი, დამატებითი საზრუნავითა და პასუხისმგებლობით. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ვანომ და შორენამ ეს შესძლეს.

2003 წელს ანსამბლი „ფრესკა“ ჩამოყალიბდა, რომელიც მალევე იქცა ანსამბლ „ფესვებად“. ასე იშვა ნიუ-იორკში 2011 წელს ქართული ფესვებიდან - ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“

დღე პირველი...

დღეს ასზე მეტნი არიან.

ხუთასზე მეტმა ბავშვმა ისწავლა წლების განმავლობაში ამ სტუდიაში ქართული ცეკვა და სიმღერა. უფროსი თაობა უკვე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, მუშაობს, ზოგი დაოჯახდა კიდეც, მაგრამ ყოველი მათგანი დღემდე ინარჩუნებს ამ სტუდიის „შვილობილის“ სტატუსს.

დღეს ეს სტუდია კი არა, პატარა საქართველოა, სადაც თავმოყრილია -ქორეოგრაფიული ანსამბლი, ბავშვთა ვოკალური ტრიო, უფროსების ვოკალურ-ინსტრუმენტალური ჯგუფი; სადაც ასწავლიან - ქართულ წერა-კითხვას, სახვით ხელოვნებას, ხალხურ საკრავებზე დაკვრას, ჭადრაკს... ასწავლიან სიყვარულს - მოძრაობით, ბგერით, სუნთქვით... ასწავლიან ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებიან, იმ ენერგეტიკის ძალას, რომელიც მათთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. სამაგიეროდ ამას სხვები გრძნობენ. ბავშვები გრძნობენ, გრძნობენ მათი მადლიერი მშობლები, გრძნობს მაყურებელი... ბავშვებს ახლა მშობლები დასჯის მიზნით მხოლოდ ერთი რამით აშინებენ - ცეკვაზე ვერ წახვალ! და, ისინიც, საოცარი გოგო-

ბიჭები, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ეს მძიმე „სასჯელი“.

არ არსებობს დაღლა და არ არსებობს სიზარმაცე. როცა ბავშვებს შესწევთ უნარი ნიუ-ჯერსიდან თუ მთიანი ნიუ-იორკიდან ბრუკლინამდე ორი საათი იმგზავრონ, მხოლოდ იმიტომ რომ, აქ, ამ დარბაზში, თითის წვერებზე შედგნენ და გენეტიკური რიტმი ცეკვით გამოხატონ, მშობელიც ბედნიერია, მაშინაც კი, თუ შვილის სურვილი მისგან დამატებით დროს და ემოციას მოითხოვს.

ხოლო, როცა რეპეტიციაზე შორიდან ჩამოსულ ბავშვებს, შაბათ-საღამოს, პედაგოგი საკუთარ სახლში, საკუთარ შვილებთან ღამის გათენებას შესთავაზებს, მხოლოდ იმიტომ რომ კვირა დღის რეპეტიას მგზავრობით დაღლილები არ დაესწრონ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ეს ბავშვები ვანოს და შორენას სტუდიაში გაცილებით მეტს სწავლობენ, ვიდრე ცეკვისა და სიმღერის სიყვარულია!

ამ სიყვარულის „გაკვეთილი“ მეც „ჩამიტარეს“ - დამღლელი რეპეტიციის შემდეგ, ერთი ოჯახის წევრებივით, შუაღამემდე ვისაუბრეთ სამზარეულოში შეყუჟულებმა. გამუდმებით მაწუხებდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ ახერხებდა შორენა სამი შვილის აღზრდას, ყოველდღე ორ ადგილზე მუშაობას და შაბათ-კვირას სამი-ოთხი რეპეტიციის ჩატარებას.

მიკვირდა ვანოსიც... როდესაც დავითობას, პოკონოს მამათა მონასტერში ჩატარებულ წირვაზე ვანოს გალობის ხმა მესმოდა, მთელი სიცხადით ვიგრძენი, რომ - თუ ადამიანი საკუთარ სულში უფალს და სამშობლოს ატარებს, შეუძლებელს შეძლებს, - ყოველ შაბათ-კვირას წირვა-ლოცვასაც დაესწრება, მგალობელი და მედავითნეც იქნება, მშენებლობაზეც იმუშავებს, გულში „ურმულსაც“ იღიღინებს, თავის შვილებსაც გაზრდის და სხვის შვილებასაც ასწავლის.

რამდენჯერმე დავესწარი რეპეტიციებსაც. ერთ რეპეტიციაზე დასწრებაც საკმარისი იყო ამ შთაბეჭდილებებისთვის, მაგრამ როგორც სჩანს, ეს სტუდია ჩემთვისაც ერთადერთი ადგილი იყო მთელ ამერიკაში, სადაც ყველაზე იოლად ვერეოდი ნოსტალგიას. მუსიკის ხმა კარის შეღებამდე უკვე მიქმნიდა „ასე მგონია შინა ვარ“ განწყობას.

გოგონები შორენას მოძრაობას იმეორებენ; ვაჟები - ვაჟთა ქორეოგრაფის, ჯურხა ლომთაძის ცეცხლოვან მოძრაობებს. საკრავებთან ვანო ზის; დოლის საოცარ შემოძახილს - ანსამბლის უხუცესი წევრი ბატონი ნოდარ ობოლაშვილი ქმნის... და უკვე მხოლოდ მუსიკას კი არა, საკუთარი გულის ცემის, ძარღვებში სისხლის მოძრაობის ხმა გესმის.

ყველა ბავშვი განუმეორებელი იყო...

განუმეორებელი იყო თავისი მოძრაო-

გია მელიქიშვილის ფოტოები

ბით, რიტმის შეგრძნებით, სწავლის მცდელობით, მაგრამ განსაკუთრებულად სამი მათგანი დამამახსოვრდა:

- ყველაზე უმცროსი, სამი წლის ქერათმიანი გოგონა, რომელიც საოცარი სიზუსტით იმეორებდა პედაგოგის მოძრაობას;

- ყველაზე უფროსი, რომელიც ახლახანს დედა გახდა და მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ სარეპეტიციო დარბაზში ისევ დაბრუნდა;

- და ფერეიდნელი გოგონა, რომლის წინაპრებმაც ოთხასი წელი ისე შეინარჩუნეს ისტორიული სამშობლოს სიყვარული, რომ მათი შთამომავალი აქ, ოკეანის გადაღმა, ამერიკაში ქართული ცეკვის საიდუმლოს ეზიარება.

ამ ყველაფრის ფონზე, ალბათ, გასაკვირიც არაა, რომ ამ ანსამბლს აღიარება და წარმატება არ აკლია. არ არსებობს საქველმოქმედო ღონისძიება, რომელშიც მონაწილობაზეც მათ ოდესმე უარი უთქვამთ.

კონცერტებს მართავენ ამერიკის სხვადასხვა შტატებში. წელიწადში რამოდენიმე ფესტივალში იღებენ მონაწილოება. ახლახანს, მეტროპოლიტენის მუზეუმში, მთავრობის წევრებისა და ნიუ-იორკის მერ ბლუმბერგის წინაშე გამართულ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა.

მაისში ოჰაიოს შტატში მიემგზავრებიან გასტროლებზე, მაგრამ ყველაზე მთავარი ალბათ, მაინც სამშობლოში გასტროლებია. ისინი საკუთარი ხარჯებით, საკუთარი ძალებითა და სურვილით ამ ზაფხულს საქართველოში მოემგზავრებიან.

ეს პირველი გასტროლებია სამშობლოში. შორენა, საქართველოში, პირველად თხუთმეტი წლის შემდეგ ჩავიდა... ვანო 1998 წლის შემდეგ დღემდე არ ყოფილა... იმ ოცდაათამდე ბავშვსაც, რომლებიც საქართველოში გასტროლებისათვის ემზადებიან, სხვადასხვა ისტორია აქვთ. ზოგისთვის ეს პირველი „შეყრა“ იქნება სამშობლოსთან.

კონცერტები იგეგმება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში.

როცა ამ ყველაფერზე ვფიქრობ გული სიხარულითა და რაღაც გაუცნობიერებელი (მასპინძლისათვის ჩვეული) შიშ-ფორიაქით მევსება... იმდენად დიდი სიყვარული დავინახე ყველა მათგანში - პედაგოგებში, ბავშვებში და მათ მშობლებში, იმდენად დიდი საქართველო და ქართველობა, რომ მინდა აქ, ჩვენს საერთო სამშობლოში, ეს სიყვარული ორმაგად დავახვედროთ.

მინდა, რომ მათ აქ სარკეებიან დარბაზში კი არა, ღია ცისქვეშ იცეკვონ, ქართულ მიწაზე, ქართული ცის ქვეშ და დაინახონ, რომ „ბელურების გადაფრენა“ მხოლოდ დროებითია.

ისინი არსად მიფრინავენ! ისინი ყოველთვის სამშობლოში რჩებიან!

ელგა ფოლადიშვილი

ექიმი ალექსანდრე კანევსკი
Alexander Kanevsky, DDS

312 Neptune Ave.
Brooklyn, NY 11235

DENTAL OFFICE

- სეფარის ჯოსმეტიკა;
- ჯბილის ვლომბი;
- გვირგვინები, ხიდები, ვრცელზები;
- ლრძილის მკურნალობა;
- გათეთრება

* ვლებულობთ დაზღვევას
** ვმკურნალობთ ბავშვებსაც

დარეკეთ:
718-934-7593

ისტორიული კადრები ოჯახური ფოტოალბომიდან

ალბათ, ნებისმიერი ადამიანის ფოტოალბომსა თუ არქივში ინახება ესა თუ ის ფოტო, რომელიც მას ეძვირფასება.

მაგალითად, ჩემს რესპონდენტს ასეთი ათეულობით სურათი აქვს: გარდა იმისა, რომ ეს კადრები მისი ბავშვობის დროინდელ პერიოდს ასახავს, პირდაპირ არის გადაჯაჭვული საქართველოს ისტორიასთანაც... მზია შარაშიძის, იგივე - ლუკას ალბომი სავსეა საინტერესო და უნიკალური ფოტოებით. მასთან ერთად კადრებში აღბეჭდილი არიან: ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია; ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი - მერაბ კოსტავა; ქვეყნის პატრიარქი - ილია II. ასევე მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, პოეტები, სპორტსმენები...

- შენი ალბომის დათვალიერებისას, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება იმ ფოტომ მოახდინა, რომელზეც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად ხარ აღბეჭდილი...

- ეგ მართლა მნიშვნელოვანი ფოტოა და წლებია, დიდი პოპულარობით სარგებლობს... ყველას გვახსოვს, როგორი მძიმე პერიოდი გამოვიარეთ. ბიძაჩემის წყალობით, ქვეყანაში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენებს პატარაობაში არ დავკლებივარ. ბიძა - შალვა შარაშიძე ფოტოკორესპონდენტი და ჟურნალისტი გახლდათ, სხვადასხვა გადაცემაზე მუშაობდა, ამზადებდა სტატიებს და შესაბამისად, ფოტომასალასაც იღებდა. მის მიერ გადაღებული ფოტოების ძალიან დიდი არქივი არსებობს. შალვას ავტორობით ბევრი მნიშვნელოვანი, ლეგენდარული კადრი შემორჩა ჩვენს ქვეყანას. ის ასევე, ჩართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც. წერდა, ფოტოებს იღებდა, დადიოდა ყველა მიტინგზე, შეკრებასა თუ სპორტულ ღონისძიებაზე... მას ძალიან ვუყვარდით მე და ჩემი ძმა, მით უმეტეს, რომ დაოჯახებული არ იყო და შვილებიც არ ჰყავდა. სამწუხაროდ, ის 2003 წელს გარდაიცვალა.

- ბიძას მიტინგებზეც დაჰყავდი?

- ჰო, ჩამჭიდებდა ხელს და ყველგან - მიტინგსა თუ ამა თუ იმ თავყრილობაზე მივყავდი. სულ ამბობდა: რაც ახლა ხდება, ჩვენი ქვეყნის ისტორიაა და ბავშვმა ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახოს, რომ დაამახსოვრდესო. მოგეხსენებათ, მიტინგებზე უამრავი ადამიანი იკრიბებოდა. იმ სიტუაციაში ფოტოკორესპონდენტს უნდა ემუშავა, ბავშვთან ერთად საქმის გაკეთება კი შეუძლებელი იყო. კარგი გამოსავალი მოძებნა: ისეთ გამოსაჩენ ადგილას დამაყენებდა, რომ თავისი ფოტოკამერით სადაც უნდა წასულიყო, ადვილად დავენახე. ჰოდა, ასეთი ადგილი იყო მიტინგზე არსებულ მიკროფონთან ახლოს და ყოველ მიტინგზე იქ დროშასავით ვიყავი „გამოფენილი“...

- გამოდის, რომ იმ პერიოდში საკმაოდ ცნობილი ბავშვიც იყავი...

- კი, მიტინგზე შეკრებილები მცნობდნენ, თბილად მხვდებოდნენ, მეფერებოდნენ და მეუბნებოდნენ: აი, ჩვენი გოგო მოვიდაო. ყველამ იცოდა, სადაც უნდა ვმდგარიყავი. რაც მთავარია, ბიძაჩემი ფოტოებს ლეგენდარულ ადამიანებთან მიღებდა და ამბობდა: ამ სურათებს წლების მერე დაედება ფასი. პრინციპში,ასეც მოხდა. ვინაიდან ბიძაჩემის ნამუშევრები არქივშია, ძალიან ხშირად, მისგან დამოუკიდებლად, ფოტოები სხვადასხვა გამოცემაში ჩნდებოდა ხოლმე...

- ერთ-ერთ ფოტოზე, სადაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად ხარ, უკან შენზე მოზრდილი ბიჭი დგას, რომელიც თურმე, გიგი უგულავაა.

- კი და ეს ფოტო ინტერნეტსივრცეში მისი მერობის პერიოდში გავრცელდა. მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე: სურათი საფუძვლიანად „განიხილეს“, იმსჯელეს და ბოლოს დასვეს კითხვა, - ეს გოგო ვინ არის? ნეტავ, ახლა სად არის და რას საქმიანობსო? ამ ამბავმა ჩემამდეც მოაღწია და ცნობისმოყვარეებმაც დაადგინეს, რომ

ის ბავშვი მე ვარ (იღიმის).

- შენს ბავშვურ მეხსიერებას როგორ შემორჩნენ ეროვნული მოძრაობის მაშინდელი ხელმძღვანელები?

- ამ ფოტოების ნახვისას ყველას რჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული მოძრაობის დიდი აქტივისტი ვიყავი. არადა, რეალურად, მაშინ 8 წლის გახლდით და შეუძლებელიც კი იყო, ამ ასაკის ბავშვს რაიმე სახის პატრიოტული სულისკვეთება ჰქონოდა. იმ პერიოდში ჩემი ფიქრები სხვაგან ქროდა, მიტინგზე დგომას ცხადია, თამაში მერჩივნა, მაგრამ ბიძას არ ვეწინააღმდეგებოდი, რადგან იმდენს კი ვხვდებოდი, რომ იქ რაღაც მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. მომწონდა იქაური სიტუაციაც, შეძახილები, ხალხის აღტყინება. მიყვარდა ფოტოს გადაღებაც. ხომ ხედავთ, ხან ზვიად გამსახურდიას აქვს ჩემს თავზე ხელი დადებული და ხან - პატრიარქს. ეს ყველაფერი შეგრძნების დონეზე მახსოვს და ისიც, რომ ჩემ მიმართ დიდ სითბოს იჩენდნენ. უკვირდათ, ასეთი პატარა ბავშვი იქ საათობით რომ ვიდექი და არავის ვაწუხებდი.

- ეს ძალიან თბილი ფოტოა: თავი გაქვს მიდებული ჩვენს სახელოვან და სილამაზით განთქმულ მსახიობზე - მედეა ჯაფარიძეზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთმანეთს ახლოს იცნობდით...

- ამ ფოტოზე 4-5 წლის ვარ ანუ ეროვნულ მოძრაობამდეა გადაღებული და ბუნდოვნად მახსოვს ეგ დრო. როგორც ვიცი, ქალბატონი მედეა და მისი მეუღლე, რეზო თაბუკაშვილი იყალთოში, „შოთაობაზე“ იყვნენ ჩამოსულები (ეს ღონისძიება იყალთოს აკადემიაში იმართებოდა). ცხადია, მეც იქ ვიყავი. რა თქმა უნდა, ბიძაჩემი ხელიდან არ გაუშვებდა შანსს, რომ ჩემთვის ამ დიდებულ ადამიანებთან ერთად, ფოტო არ გადაეღო. მახსოვს, ამ პერიოდში ცოტა უხასიათო ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, ჩემგან რა უდოდათ, რატომ მიღებდნენ სურათს. მაშინ რეზო თაბუკაშვილი დოკუმენტურ ფილმს - „მზე იყალთოში“ იღებდა. მე გრძელი, შავი თმა მქონდა და ბატონ რეზოს მოვეწონე, - ეს ბავშვი ანგელოზის როლში უნდა გადავიღოო. მისი მოთხოვნა ასეთი იყო: უნდა დავმჯდარიყავი, თმა ჩამომეშალა, ტანზე ჩამომეყარა და წელს ზემოთ შიშველი ვყოფილიყავი. გავაფიჩინე ფეხები და გავაპროტესტე: არ გავიხდი-მეთქი. მთელი გადამღები ჯგუფი მეფერებოდა,მეხვეწებოდა,- ველოსიპედს გიყიდით, ამას გაჩუქებთ ან იმასო, მაგრამ ვერ გადამაფიქრებინეს. მერე ბატონმა რეზომ თქვა: კარგი, ნუ გაიხდის, შავი სვიტერი ჩააცვით და ასე გადავიღოთო. შავი სვიტერი კი ვერ იშოვეს და საბოლოოდ, იმ ანგელოზის როლი ფილმიდან ამოვარდა...

- შენ ყველაზე მეტად, რომელი ფოტო მოგწონს?

- რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად გადაღებული სურათი მიყვარს, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ ყველა ფოტოს თავისი ისტორია და ღირებულება აქვს.

ჩემთვის ასევე, ძვირფასია შილტონის ფოტო. ინგლისის ფეხბურთის ნაკრები საქართველოში ჩამოვიდა და „დინამოს“ სტადიონზე ჰქონდათ წვრთნები. ბიძაჩემს შილტონთან ინტერვიუ ჰქონდა, საქმის დასრულების შემდეგ კი ეს სამახსოვრო სურათი გადამიღო. მახსოვს, მას მეკარის ხელთათმანი ეცვა და ამან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. ამ კადრს რომ ვიღებდით, ბობი ჩარლტონი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გამოვიდა და გაგიჟდა, - რა კარგი ბავშვიაო. მერე ინგლისის ნაკრების წევრების (მათივე ხელმოწერებით) მაგარი ხარისხის ფოტოები გვაჩუქა. მოკლედ, ასე დამაპრიზიალებდა ბიძაჩემი აღმადაღმა, დღეს კი ამის გამო მისი მადლიერი ვარ.

ერთადერთი, რის გამოც გული მწყდება, ის არის, რომ ბევრი კარგი ფოტო დაიკარგა. თუმცა, ბევრი ფირი არსებობს, რომელთა გადარჩევა ალბათ, შესაძლებელია. წლები რომ გადის, ამ ყველაფერს მერე აქცევ ყურადღებას და ის შენთვის ძვირფასიც ხდება.

აი, ამ სურათზე მე და თამთა, მერაბ კოსტავას ქალიშვილი ვართ. ფოტო 1989 წლის 8 აპრილს არის გადაღებული. იმ დღეს ბიძამ სახლში მიმიყვანა და საღამოს ისევ წავიდა რუსთაველზე. ჩემს წაყვანასაც აპირებდა, მაგრამ მშობლებმა არ გამიშვეს, - გვიანიაო.

ეგ ერთი დღე იყო, სახლში რომ დავრჩი და სწორედ მაშინ დატრიალდა რუსთაველზე ტრაგედია.

, ჩემებს გულმა უგრძნო, თორემ იმ საშინელებას, რაც იმ ღამეს მოხდა, მეც შევესწრებოდი.

ლალი ფაცია

ჩვენი მეგობარია მძიმე მერაბ ბოთმრაშვილი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლესი და ძველაზე შედეგიანი მეთოდი

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ეჭიკ ჯერაკ ბოთმრაშ

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

VEIN & LASER CENTER

ის მომკვდარა!

21 დეკემბერს ავადმყოფობისგან დასუსტებული დიდი პოეტი თავისმა მოურავმა, კოტე აბდუშელიშვილმა ჩაიყვანა ქუთაისიდან სხვიტორში, სადაც გარდაიცვალა კიდეც და საიდანაც, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, „დიდი ამბით ჩამოასვენეს თბილისში“.

მგოსნის ცხედრის წამოსასვენებლად სპეციალური დელეგაცია ჩავიდა სოფელ სხვიტორში. როდესაც აკაკი ეზოში დაასვენეს, მთელი ხალხი პირქვე დაემხო და აქვითინდა. სახლიდან სადგურამდე ცხედრის წინ პატარა გოგონები იებს აფენდნენ აკაკის უკანასკნელად გასავლელ გზაზე. მთელი საქართველო მუხლმოდრეკილი და ცრემლმორეული მიაცილებდა სამგლოვიარო მატარებელს, რომელსაც თითქმის ყველა სადგურზე აჩერებდნენ.

„ჩვენო ჭირის მოსამძივრევ, ჩვენი ლხენის მომღერალო, ჩვენო დიდო მგოსანო და მამავ! აქ შემოკრებილი შენი შვილები მოწიწებით ვიდრეკთ მუხლს შენი წმინდა ნეშტის წინაშე და მდაბლად თავს ვხრით“ - ასე მიმართა გომის სადგურზე შეკრებილი ხალხის სახელით მღვდელმა ილარიონ ხახუტაშვილმა უკანასკნელ გზაზე მიმავალ პოეტს. -„გვაპატიე, რომ დროთა უქონლობისა გამო, ესრედ მცირეთ გეგებებით. ესრედ იმიტომ ვიქცევით, რომ შენ ისწრაფვი ჩვენ დედაქალაქ ტფილისისაკენ, სადაც სულით და გულით მოგელიან მრავალი შენი შვილები და პატივისმცემელნი განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნეობისა, წოდებისა და მიმართულებისა...“

აკაკის გარდაცვალებას იტყობინებოდა თითქმის ყველა გამოცემა. 2 თებერვალს საქართველოს ქალაქებს და დაბა-სოფლებს მოეფინა გაზეთი „თემი“, რომლის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო მიმართვა:

„ქართველ ერს! 1915 წლის 26 იანვარს, ღამის პირველ საათზე, საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე - აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მისი მაღმერთებელი სამშობლო გლოვის ნისლმა დაჰბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეხმაურება თავის წუხილის შეუდარებელი გამომსახველის სიკვდილს, ერის წმინდა ზრახვების გრძნეული მომღერლის დაკარგვას. მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობად გადაქცეული, თვალცრემლიანი და გულჩათხრობილი შემოიკრიბება აკაკის ძვირფასი ცხედრის თაყვანსაცემად. წმინდა ნეშტს ჩაბარებს ჩაფიქრებულ მთაწმინდის ისტორიულ აკლდამას, ხოლო უკვდავი სულის წინაშე საუკუნო ფიცს დადებს, რომ არ უღალატებს დიდებული მგოსნის ნაანდერძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდეალებს“.

აკაკის გარდაცვალების დღესვე გალაკტიონმა დაწერა და ჟურნალ „განთიადის“ მესამე ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი რეკვიემი - „აკაკის გარდაცვალების გამო“:

„მზის სხივებით განათბობი,
ვარდი როდი ჭკნება,
თუ თანდათან ახლოვდება
გაზაფხულის გრძნება.
იადონი როცა ყვავილს
ნანას ეუბნება,
როდი ახსოვს სიცოცხლისა
და სიკვდილის მცნება!
ნეტავი მას, ვინაც იცის
ქვეყნის ზნე და ფასი,
მწარედ აღარ ეჩვენება
მას სიცოცხლის თასი.
და იგი კი, ვინც ყოფნისთვის
შვების ცრემლი ღვარა,
უკვდავია... და აკაკიც
არ მომკვდარა, არა!“

ეს „და აკაკიც არ მომკვდარა, არა!“ გალაკტიონს რვაჯერ აქვს გამეორებული.

„ნათელი მწუხარებით“ მიიღო მგოსნის მიცვალება გრიგოლ რობაქიძემ, რომელმაც გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 205-ე ნომერში აკაკის გარდაცვალების გამო დაწერა, „გაჰქრა აკაკი ვით სიზმარი შუაღამისა“.

აკაკის გარდაცვალების გამო დიდი ჯაფა დაადგა ფოჩტა-ტელეგრაფს. გაზეთები ვერ აუდიოდნენ სამძიმრის დეპეშების გამოქვეყნებას. „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ დეპეშები მიიღო ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებიდან, ბაქოს ქართველი ნოქრებისგან, უსურიის ნიკოლ-

ვინ არ გაწამებულა მოწაფეობისას უკიდეგანო საზეპიროებით შუშანიკიდან, ხანძთელიდან თუ აბოს წამებიდან?! შოთასაც გვარიანად დავუტანჯივართ და - „კურკა“-გენერალსაც თავისი უსასრულო „სადღეგრძელოთი“.

იშვიათი გამონაკლისია აკაკი, რომლის საზეპიროების დაზუთხვა სულაც არ იყო რთული საქმე: არქაიზმებისაგან დაცლილი ლექსიკა, ცხადი შინაარსი და ისე მარჯვედ შერჩეული რიტმი და რითმები, რომ ყველა წინა სტრიქონი თავად იყო ჩუმი და მგრძნობიარე სუფლიორი, რომელიც ხან ალღოსა და ხანაც ლოგიკის წყალობით იოლად გვამახსოვრებდა თუ გვიკარნახებდა მომდევნო სტრიქონებს.

მახსოვს, ერთმა ჩემმა კლასელმა, მასწავლებლის ჯიბრზე, გაკვეთილიდან გაკვეთილამდე (ოთხშაბათიდან პარასკევამდე) ზეპირად ისწავლა აკაკის „გამზრდელი“, მთელი პოემა!..

რას მოვაყოლე ეს ყველაფერი?

ზუსტად 100 წლის წინ, 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი!..

სკიდან, ტფილისის ქართველ ებრაელთა სახელით რაბინ ნაითალოვისგან, კრასნოვოდსკის მაჰმადიანთა ჯგუფისგან, პეტროგრადის უნივერსიტეტში არსებული ქართველთა სამეცნიერო წრისაგან, ხარკოვიდან, ბათომის საბირჟო კომიტეტისგან, ბაქოს ტელეფონის მანტერებისგან, დონის-როსტოვის ქართველებისგან, ტფილისიდან სომეხთა გამომცემელ საზოგადოებისგან, ოზურგეთიდან, კავკავიდან, გაგრიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, ჭიათურიდან, ვიატკიდან, ცხინვალიდან, ონიდან (ონელი ქართველი ქალებისგან), ასხაბადიდან, ღუშეთიდან, კრასნოვოდსკიდან პოდპოლკ. ფირალოვისგან და ასე შემდეგ დაუსრულებლად საქართველოდან, ამიერკავკასიიდან და რუსეთის იმპერიის იმ შორეული ქალაქებიდანაც კი, სადაც ქართველ კაცს ფეხი დაუდგამს. ერთი დეპეშა პირველი მსოფლიო ომის ფრონტიდანაც კი მოვიდა: ლიუბლინში, ბრძოლის ველზე მყოფ ქართველთა მინდობილობით საქართველოს მიუსამძიმრა ექიმმა გაბიჩვაძემ.

მაინც რამ განაპირობა აკაკი წერეთლის ასეთი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა?

გრიგოლ რობაქიძის თქმით, ღმერთებმა აკაკისთვის არაფერი დაშურეს: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვნება, სიმდიდრე... ჭეშმარიტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთაო“, და კიდევ:

„რუსთაველის შემდგომ ქართველთა სიტყვის პირველი ხელოვანი აკაკია;

აკაკი, როგორც მგოსანი რუსთაველის მოციქულია. ეროვნული სულის ცოცხალი ენტელეხია, ანუ ფორმა - ძალა, რომელიც ქაოსისაგან კოსმოსსა ჰქმნის სიტყვა არის უთუოდ. და აკაკი, როგორც მქმნელი ქართული სიტყვისა, ქართველთა სულის ენტელეხიის სხეულებაა ნამდვილი. სარო ტანი, მოხდენილი ქედი, მრავალფეროვანი ფრთა, მსუბუქი ფრენა, - აი მოხაზულობა აკაკის სიტყვისა“.

ცხადია, გრიგოლ რობაქიძემ აკაკი წერეთლის პოეტურ ნიჭს ასე მაღალი შეფასება მხოლოდ იმის გამო არ მისცა, რომ ნეკროლოგის წერისას უერთგულა ლათინურ სენტენციას De mortuis aut bene, aut nihil (მიცვალებულებზე ან კარგი, ან არაფერი). მოგვიანებით ბევრმა მკვლევარმა, მათ შორის მამია ჩორგოლაშვილმაც შენიშნა, რომ „შთამბეჭდავია აკაკის პოეტური პალიტრის სიმდიდრე, ფერების მოუწყინარი მრავალფეროვნება, მუსიკალურობა. აკაკიმ შეძლო ეროვნული და სოციალური იდეების პოეტურად გამოხატვა ისე, რომ პოეტის პატრიოტული ლექსები ხალხურ სიმღერებად იქცნენ, რადგან ამ სიმღერებში მშობლიურმა ერმა თავისი წარსული, აწმყო და მომავალი შეიცნო“.

რად უყვარდა ხალხს ყველაზე მეტად აკაკი წერეთელი? - ეს კითხვა დაუსვა საკუთარ თავს გერონტი ქიქოძემაც, რომელმაც უბის წიგნაკში თავადვე ჩაწერა:

„როგორც ლირიკოსი, ის ვერ შეედრებოდა ბარათაშვილს. მისი მხატვრული პროზა დაბლა სდგას ყაზბეგის პროზაზე; ვაჟა-ფშაველას ერთი რომელიმე პოემა „ბახტრიონი“ ან „გოგოთურ და აფშინა“ იყიდის ყველა მის პოემას. მისი დრამატურგიაც სუსტია, მაგრამ აკაკი წერეთელი თვით იყო დამთავრებული მხატვრული ნაწარმოები, საუკეთესო ეგზემპლარი იმ ცხოველთა კეთილშობილური ჯიშისა, რომელსაც Homo Sapiens ეწოდება. როგორც პიროვნება, ის მაღლა იდგა თავის ნაწერებზე“.

აკაკი, როგორც პიროვნება, მართლაც განუმეორებელი ხიბლისა ყოფილა. აკი ამბობდნენ კიდეც მისი თანამედროვენი, „ბედს ვერ შევჩივლებთ, ჩვენ ვნახეთ აკაკის ღიმილი, აკაკის სიარული, აკაკის ბავშვური სახე - ნათელი და გაშლილი, მისი ზეცისკენ აწეული თავი და დედამიწისკენ დაშვებული თვალები... ჩვენ გავიგონეთ აკაკის ხმა, ნელი და ტკბილი, როგორც გრძნეული ტყის შრიალი.“

სხვათა შორის, აკაკის საფირმო „ზეცისკენ აწეული თავი და დედამიწისკენ დაშვებული თვალები“, როგორც მამია ჩორგოლაშვილი შენიშნავს, შედეგი ყოფილა 1904 წელს გადატანილი ავადმყოფობისა, რომელიც, მართალია, მალე დაუძლევია პოეტს, მაგრამ თვალის ქუთუთოების დამბლა მაინც დარჩენია.

რა გასაკვირია და, აკაკის პირველი ნახვა სამუდამოდ დაამახსოვრდა გალაკტიონს, რომელიც სადგურ ხარაგაულის ბაქანზე იდგა, როცა ტფილისიდან ჩამომდგარი მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია და „კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...“

აკაკი წერეთლის შესახებ შთამბეჭდავი მოგონებები დატოვა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომლის გადმოცემითაც, აკაკის ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არ უყვარდა და არც ქუთაისში და არც თბილისში ჰქონდა მუდმივი ბინა:

„ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან - მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი, ის ყველასათვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მეპატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არა თხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულიაო“.

ექვთიმე თაყაიშვილი იმასაც ამბობს, რომ საზოგადოდ აკაკი „სააპეკო“ კაცი იყო, ვინმე პატრონი უნდა ჰყოლოდაო. აკაკიმ არც ფულის ყადრი იცოდა:

„აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად ღამესაც ათენებდა. მანამ ჯიბეს არ ამოიცარიელებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ უმეტეს შემთხვევაში ილია კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა. მის პარტნიორებს „ბურდუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდათ ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახავდნენ: დღეს მე ვეთამაშები, გეყო რაც წინად მოუგე, ახლა მოგება მე უნდა მხვდესო“.

ცალკე ამბავია აკაკის იუმორი, ხშირად მწარე და ხშირად შავი ელფერისაც. ცნობილია, რომ მაშინ, როცა მთელი ტფილისის მეთევზეები და მენავეები გაუჩინარებულ ვანო მაჩაბელს მტკვარში ეძებდნენ, აკაკიმ იხუმრა: მენავეები რა საჭიროა, თუ ვანო მართლა მტკვარშია გადავარდნილი, ჭავჭავაძე მოიწვიეთ და კუკიის ხიდზე დაყენეთ: სადაც უნდა იყოს ვანო, იმის დანახვაზე მაშინათვე წყლიდან ამოვარდებაო.

უამრავი პატრიოტული ლექსის ავტორს ასეთი სტრიქონების დაწერაც შეეძლო:

„როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი შიშხინა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია“

არც სარეკლამო ტექსტის თხზვას თაკილობდა:

„სასმელების მეტოქე ვარ,
ღვინის, ლუდის, წყლის და რძისა
ხილეულთა ესენცია –
მიტროფანე ლაღიძისა.
გემოცა მაქვს, ფერიცა მაქვს.
გთხოვთ, ორივე გამისინჯოთ,
თვარა ასე რათ მინდიხართ
მოხვიდეთ და გადიბრინჯოთ“.

აკაკი წერეთელმა - თერგდალელთა თაობის ელვარე წარმომადგენელმა, თანამედროვე სალიტერატურო ენის ერთ-ერთმა შემქმნელმა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიურმა წევრმა - ასევე საზოგადო საქმეზე იზრუნა სიკდილამდე რამდენიმე თვით ადრე და ნოტარიალური წესით დაამტკიცა ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი მამული და ნაწარმოებები, გამოცემული თუ გამოუცემელი, დაუტოვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას. სხვათა შორის, მშობლის მსგავსად მოიქცა აკაკის ვაჟი ალექსიც - ოპერის ცნობილი ანტრეპრენიორი, რომელმაც დიდძალი (1,5 მილიონი მანეთის) საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა უანდერძა (გარდაიცვალა 1942 წელს პარიზში) „მო-

მავალი თავისუფალი საქართველოს თეატრს“. მართალია, ანდერძი არ შესრულდა, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

აკაკიმ 75 წელი იცოცხლა, თუმცა თავისი შემოქმედების, ავტობიოგრაფიული „ჩემი თავგადასავლის“, ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმისა („აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“) და კონსტანტინე პიპინაშვილის „აკაკის აკვნის“ (1947 წ.) წყალობით, სიკვდილის საუფლო მნიშვნელოვნად შეავიწროვა: დრომ ვერაფერი დააკლო მწერლის ენას, რომელიც დღესაც თანამედროვედ ჟღერს, ხოლო უკვდავების ილუზიას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ შემონახულია მგოსნის ფოტოები ლამის დაბადებიდან ბოლო ამოსუნთქვამდე, ეროვნულ არქივში კი დაცულია აკაკის როგორც ხმის ჩანაწერი, ასევე მოძრავი გამოსახულება ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური ფილმის სახით.



მთაწმინდის პანთეონზე დაწერილ წიგნში მამია ჩორგოლაშვილი შენიშნავს, რომ თავდაპირველად ვარაუდობდნენ აკაკის ნეშტის ილიას სამარის გვერდით დაკრძალვას, მაგრამ კლდის გამო საფლავის გათხრა გაძნელდაო, მწერლის ცნობილი ანდერძი (ლექსად თქმული დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების გამო), აღსრულდა 1915 წლის 8 თებერვალს:

„ნურც მკვდარს გამწირავ,
ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

დაკრძალვის შემდეგ აკაკის საფლავზე დარჩა ერთადერთი გვირგვინი წარწერით: „აკაკის. საქართველო“, მოგვიანებით კი აღიმართა სიმბოლური ძეგლი (ავტ. დავით კაკაბაძე): ლაბრადორის ოთხი მასიური ქვა სამ რიგადაა განლაგებული. ზედა ქვაზე მიმაგრებულია ასიმეტრიული ჩანგი: ოთხი ხაზი და წრე - პოეზიისა და მუსიკის კავშირი.

ქვედა ქვაზე ამოკვეთილია ერთადერთი სიტყვა: აკაკი, რომელიც დღესაც ისეთივე დაფასებული და საყვარელია, როგორც ასი წლის წინ, როცა გალაკტიონმა თქვა:

„საქართველოს ჰყავდა და ჰყავს
საამაყო შვილი,
დათრგუნა და შეაჩვენა
თვით საფლავის ჩრდილი,
და უცვლელი უკვდავება
ირგვლივ დაამყარა...
საქართველოვ! მაშ, აკაკი
არ მომკვდარა, არა“

ჯიმშერ რეხვიაშვილი



თარაგულად::

1. პოეტური უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში; 2. ურჩხული (წიგნ); 3. ლიტერატურული ნაწარმოები ან მისი ნაწილი, რომელიც დაწერილია საუბრის სახით; 4. ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება; 5. რუსი მწერალი; 6. დიონისეს მხლებელი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ქართველი მწერალი, დრამატურგი, ავტორი პიესებისა „მეტეხის ჩრდილში“ და „იეთიმ გურჯი“; 8. „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის...“; 9. არჩიბალდ მეკეშის სატრფო („გველის პერანგი“); 10. ფლობერის რომანი; 11. ნინოშვილი „ჩვენი ქვეყნის...“; 12. რეზო ჭეიშვილი „ჩემი მეგობარი...“; 13. ხელოვნური ენა; 14. ჰამლეტის მეგობარი; 15. დათა თუთაშხიას საყვარელი; 16. ლიტერატორი, რომელიც რაიმე ნაწარმოების, ვისიმე შემოქმედების კრიტიკას ეწევა; 17. ჰომეროსის პოემა; 18. ბერნარდ შოუ „... და კლეოპატრა“; 19. მთავარი პერსონაჟი გრინის ნაწარმოებიდან „ალისფერი იალქნები“; 20. ვ. გუნიას პიესა „და-...“; 21. მეფე-ლირის ერთ-ერთი ქალიშვილი; 22. მშვენიერი ელენეს და დიოსკურების დედა; 23. ზოლას რომანი; 24. პროდუქტი, რომელსაც მაგდანა ყიდდა; 25. IV-Vსს ბერძენი პოეტი, ... პანაპოლისელი;

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:

7. ლექსი „... მუხასა“; 21. ქართველი მწერალი ... ჩაჩანიძე („გზა ნავსადგურისკენ მიდის“, „ლურჯი წიგნი“); 26. ზოლა „ტერეზა...“; 27. რა გვარია შუშანიკი?; 28. ლიტერატურული ნაწარმოების დიდი ქვეგანაყოფი; 29. მამა გორიოს ერთ-ერთი ქალიშვილი; 30. ერთ-ერთი „ბრემენელი მუსიკოსი“; 31. ჯუმბერის გამზრდელი „სიბრძნე სიცრუისადან“; 32. კონტინენტი, სადაც გაემგზავრა აიბოლიტი მხეცების სამკურნალოდ; 33. ჯუანშერის დედა („თეთრი კურდღელი“); 34. ასე გამოითქმის ბერძნულად სიტყვა „ვწერ“; 35. ჩეხოვი „...ვანია“; 36. ნუნუს სატრფო („მამის მკვლელი“); 37. უნგრელი მწერალი; 38. გოდუნოვის სახელი; 39. ნაბუკოვის რომანი; 40. ლეონიძე „ჩირიკი და...“; 41. ნინოშვილის მოთხრობა; 42. „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკებებ! მე შენში მიყვარს ... ჩემი“ (გალაკტ); 43. ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა „წყურვილი სიცოცხლისა“; 44. სულელის ამყოლი თვითონაც... (ანდ); 45. იაპონელი მწერალი; 46. დიუმა „დედოფალი...“

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ - ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲡᲐᲠᲙᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ: 1. ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ; 2. ᲐᲠᲬᲘᲮᲣᲚᲘ; 3. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ; 4. ᲢᲐᲔᲞᲘ; 5. ᲠᲣᲡᲘ; 6. ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲔ; 7. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ; 8. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ; 9. ᲐᲠᲩᲘᲑᲐᲚᲓ; 10. ᲤᲚᲝᲑᲔᲠᲘᲡ; 11. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ; 12. ᲠᲔᲖᲝ; 13. ᲔᲡᲞᲔᲠᲐᲜᲢᲝ; 14. ᲰᲐᲛᲚᲔᲢᲘᲡ; 15. ᲓᲐᲗᲐ; 16. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ; 17. ᲘᲚᲘᲐᲓᲐ; 18. ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓ; 19. ᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ; 20. ᲒᲣᲜᲘᲐᲡ; 21. ᲒᲝᲜᲘᲚᲘ; 22. ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲡ; 23. ᲖᲝᲚᲐᲡ; 24. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ; 25. ᲐᲠᲥᲘᲛᲔᲓᲔᲡᲘ; 26. ᲛᲔᲢᲔᲠᲘᲡ; 27. ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ; 28. ᲞᲐᲠᲘᲖᲘ; 29. ᲒᲝᲠᲘᲝᲡ; 30. ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲤᲐᲜᲔᲡᲘ; 31. ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲘᲡ; 32. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ; 33. ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠᲘᲡ; 34. ᲒᲠᲐᲤᲘᲚᲘ; 35. ᲩᲔᲮᲝᲕᲘ; 36. ᲜᲣᲜᲣᲡ; 37. ᲒᲠᲘᲜᲓᲚᲘ; 38. ᲒᲝᲓᲣᲜᲝᲕᲘᲡ; 39. ᲜᲐᲑᲣᲙᲝᲕᲘᲡ; 40. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ; 41. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ; 42. ᲐᲠᲐᲪᲘᲡ; 43. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ; 44. ᲡᲣᲚᲔᲚᲘᲡ; 45. ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ; 46. ᲓᲘᲣᲛᲐ

ემიგრანტები... ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ თავიანთი შვილებისთვის, ოჯახებისთვის, მათი მომავლისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენ ვიცით რას გრძნობენ ემიგრანტები, მაგრამ ვიცით რას გრძნობენ მათი ოჯახის წევრები? ვიცით, როგორ სტკივათ, როგორ ენატრებათ? რას განიცდიან მათი შვილები, მშობლები?

ალბათ, ვერასდროს გავიგებთ თუ საკუთარ თავზე არ გამოვცდით, თავად არ შევიგრძნობთ, თავად არ გავხდებით ემიგრანტები. მანამდე, მათსავით ვერავინ გავიგებთ მათ ყველაზე დიდ სატკივარს, რასაც სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს მონატრება ჰქვია.

ჩვენ ვერასდროს გავიგებთ რა ფერია ეს მონატრება, ეს ტკივილი, ნოსტალგიას რომ ეძახიან.

ისინი იტანჯებიან იმიტომ, რომ არ არიან იქ, სადაც მათ ელიან.

ემიგრანტთა შვილები...

გასაოცარია, თითოეული მათგანის თვალებში უზარმაზარი სატკივარი ჩანს, ის დანაკლისი ჩანს, რომლის შევსებაც მშობლის გარდა არავის შეუძლია. მათ თვალებში ჩანს ცხოვრება, ყოველდღიურობა, რომელიც ბევრი ტკივილის მიუხედავად, მაინც ლამაზია.

ამ სილამაზეს ხომ მათი განსაკუთრებული ნიჭი განაპირობებს, - მონატრების, სიყვარულის ნიჭი. სწორედ იმ დანაკლისმა და საშინელმა მონატრებამ ასწავლა მათ განსაკუთრებული და ბევრისგან განსხვავებული სიყვარული.

არასდროს დამავიწყდება მათი „ნამდვილი“ თვალები.

მათი თვალები ხომ ბევრს ამბობენ -

როგორ ელოდებიან?! სულ... ყოველ წამს ელოდებიან. სჯერათ, რომ ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან, აგრძნობინებენ იმას, თუ რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება.

ემიგრანტების შვილებს მხოლოდ ერთი სურვილი აქვთ - დაკარგულის დაბრუნება!

და რა მტკივნეულია, თუ ეს დაკარგული არათუ ნივთია, დედა!

დაბრუნება იმის, რაც მათთვის ყველაზე ღირებულია. მათ იციან, რომ მათგან შორს არიან, ძალიან შორს, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ახლოს.

მათ იციან, რომ არ უნდა გაეშვათ, არ უნდა მიეცათ უფლება დაეტოვებინათ. თუმცა, ახლა იმასაც სწავლობენ, რომ ცხოვრება რთულია და რომ არ დაიკარგო ამ სირთულეში, უფრო რთული ნაბიჯი უნდა გადადგა. შეიძლება ეს ნაბიჯი წასვლაც იყოს, დაკარგვაც დროებით, გადაკარგვა.

საჭიროა დათმო, დატოვო.

ტოვებ ისევ მათთვის, მათი ბედნიერებისთვის, თუმცა ვკარგავთ იმ ლამაზ წუთებს, მოუბრუნებელ წუთებს, რომელიც ჩვენს შვილებთან, ჩვენს ოჯახთან შეგვეძლო გაგვეტარებინა.

ანამარია 5 წლის იყო, როცა დედა ამერიკაში წავიდა და უკვე მეცხრე წელია იქ მუშაობს. მისთვის ხომ ეს დიდზე დიდი დროა. ის გამუდმებით დედაზე ფიქრობს. მის ფიქრებში დედა ისევ ისეთია, როგორიც 5 წლისას ახსოვს.

როგორი კი შეიძლება ახსოვდეს 5 წლისას?!

საამისოდ ძალიან პატარა იმისთვის, რომ გაეგო, მიმხვდარიყო საერთოდ ამ წასვლას. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ბაღშიც ვერ ჩერდებოდა დედის გარეშე.

„თავიდან დედა არც მტოვებდა. მახსოვს, ყოველდღე ერთად მივდიოდით ბაღში და ერთხელაც რომ გავიგე, რომ ჩუმად დაბრუნდა სახლში და მხოლოდ ჩემს წასაყვანად აპირებდა მოკითხვას, ისეთი ტირილი დავიწყე, მახსოვს, ვერავინ შეძლო ჩემი გაჩერება.

როცა მომაკითხა და მელაპარაკებოდა, პასუხს არ ვცემდი. გაბრაზებული ვიყავი.

მაშინ ვერ ვაპატიე ორი საათით ჩემი დატოვება და ახლა?“

ნატუკა ლომაძე

ნეტა მახთელა თუ ეყყრება ხეს კაცის?

ნოდარ დუმბაძე, „ხაზარაფელი"

ხეები და ადამიანები

ადამიანი დიდი ხანია, აღარ ცხოვრობს პირველყოფილ ბუნებაში, თუმცა, ცხადია, მისი ქვეცნობიერი კვლავ ინახავს იმ ინფორმაციას, რომელიც ისტორიაში გადაბარგებამდე დაუგროვდა. ალბათ ამის გამოა, რომ ტყეში დაბრუნებისას, ადამიანს უჩნდება არარაციონალური, სრულიად უსაფუძვლო შიში, თითქოს ისტორიასთან ერთად უკვალოდ გაქრა მისი კულტურულობა, განსწავლულობა, ბუნების კანონებზე დამყარებული ცოდნა-გამოცდილება და მათ ნაცვლად ეძალება პრეისტორიული ადამიანის გრძნობები - გაუცნობიერებელი, არამოტივირებული შიშები, რომ ტყეში შეიძლება დაიკარგოს, გადაეყაროს ნადირს, ავაზაკს... შეიძლება გაიტაცოს (მოაჯადოვოს) ავმა სულმა ანდა სულაც უკვალოდ გაქრეს!

ტყეში ხომ ყველაფერი იდუმალებითაა მოცული - სიჩუმეც, ხმაურიც, სიბნელეც და სინათლეც კი, რომელმაც ფოთლებსა თუ წიწვებს შორის გამოაღწია...

და რას გრძნობს ხე, რომელიც მოსწყდა თუ მოსწყვიტეს ტყეს და ცხოვრობს ადამიანთა შორის, ანუ ისტორიაში და არა ბუნებაში?

ტყეების ერთგვარ უმცროს ძმებად, შორეულ ნათესავებად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქად გაშენებული კორომები, სკვერები და ბაღები, მაგრამ მათ გარდა ასევე გვხვდებიან ცალკე მდგომი ხეებიც - სევდიანები, მედიდურები, უცნაურად მიმზიდველები და იმავდროულად საშიშებიც კი თავიანთი იერითა და ხასიათით, რომელიც მარტოობასა და არაბუნებრივ გარემოში გაიტოტა და დაიკოჟრა.

ალბათ, ასეთი იყო თბილისის ერთ-ერთ ეზოში ლამის საუკუნის წინ მდგარი ხე, რომელმაც ბორის პასტერნაკზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მწერალმა ის თავის დიად რომანშიც კი „გადარგო":

„ბიჭი ყველაზე მეტად ერთმა უცნაურმა თითებგაფარჩხულმა ხემ გააოცა, რომელიც იმავე ეზოში იდგა, სადაც სტუმრობდნენ. ერთი უშველებელი ტროპიკული გოლიათი იყო, სპილოს ყურების მსგავსი ფოთლებით, რომელიც იცავდა ეზოს სამხრეთული მცხუნვარე მზისაგან. ნიკა ვერაფრით შერიგებოდა იმ აზრს, რომ ის ხე მცენარე იყო და არა ცხოველი."

ასეთი მარტოხელა გოლიათები, უკიდეგანო ვარჯებითა და სტადიონისხელა ჩრდილებით, შეიძლება შეგვხვდეს როგორც ქალაქად და სოფლად, ასევე თვალუწვდენელ მინდვრებში ან მობიბინე ყანების შუაგულში, სადაც მოულოდნელად ამოზიდულები, თავიანთი ხანგრძლივი და დიადი მარტოობით მეტ შინაარსსა და სილამაზეს სძენენ როგორც გარემოს, ასევე ადამიანების ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ხეებს ფიზიკურის გარდა, სხვა განზომილებაც აქვთ. ეს ხეები უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად მცენარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჰავაზე, იცავენ ნიადაგს ეროზიისაგან და იძლევიან საკვებს, სითბოს და საშენ მასალას.

ეს ხეებიც, ადამიანების მსგავსად, ისტორიაში ცხოვრობენ და მათი არსებობაც შეიძლება იყოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. დამეთანხმებით, მცენარეზე მეტია თელავის ათასწლოვანი ჭადარი, წინანდლის ცნობილი ცაცხვის საუკუნოვანი ხე (რომელშიც, ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, სალომე, დაიმალა ლეკების შემოსევის დროს), მარტყოფის ისტორიული (ბეჟანიშვილების) კაკლის ხე და ა.შ. - ყველა ამ ხეს აქვს თავისი მდიდარი ისტორია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მჭიდროდაა გადახლართული ადამიანის (ადამიანების) ბედთან და ისეთივე სევდიანია, როგორიც ადამიანების ცხოვრება.

გალაკტიონის ფიჭვი, კლდიაშვილის ცაცხვები...

პოეტი ვახტანგ ჯავახაძე (გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარი) მოგონებების წიგნში „ლექსიდან ლექსამდე" იხსენებს გალაკტიონის მიერ დარგული ფიჭვის სევდიან თავგადასავალს, რომელიც დაიწყო შორეულ 1936 წლის 5 მარტს, როცა ყოფილ კირკის ქუჩის 4 ნომერში ერთი წლის წინ აშენებული სახლის წინ რამდენიმე ფიჭვი დარგეს, მათ შორის ერთ-ერთი (შესასვლელიდან მარცხნივ) თავისი აივნისა და ფანჯრების წინ საკუთარი ხელით დარგო „თვით პატივცემულმა გალაკტიონ ტაბიძემ" (უბის წიგნაკში ჩანაწერი გაკეთებულია დაუდ-

გენელი პირის მიერ).

ვახტანგ ჯავახაძის თქმით, თითქმის ოცი წლის შემდეგ 1952 წლის 9 მარტს გალაკტიონმა ამ ფიჭვის შესახებ უბის წიგნაკში ისევ ჩაწერა: „ამ ბაღში არის ჩემს მიერ დარგული ფიჭვი, რაც მას თავს გადახდა, პირდაპირ ასაწერია“.

როგორც ჩანს, ამ ხეს გალაკტიონის სიცოცხლეში ბევრი რამ გადახდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის ფიჭვმა დრამატიზმით სავსე ცხოვრება განვლო პოეტის გარდაცვალების შემდეგაც. აი, რას წერს ვახტანგ ჯავახაძე:

„მარჯანიშვილის ხუთი ნომრიდან ჩემი კაბინეტის ფანჯრები პირდაპირ შეჰყურებდნენ მარჯანიშვილის ოთხი ნომრის ფანჯრებს და მე ძალაუნებურად ყოველდღიურად ვესალმებოდი ნაცნობ ფიჭვს, რომელსაც ჩემს მეტი აღარავინ იცნობდა. ოთხმოცდაათიანი წლებიდან - საბჭოთა კავშირის მარტივ მამრავლებად დაშლის შემდეგ - გამომცემლობა, რომელიც წელიწადში 400 წიგნს გამოსცემდა, თითქმის გაუქმდა და მე საკმაოდ დრო მრჩებოდა, ხშირად შემეთვალიერებინა პოეტის ბიოგრაფიის ეს უკანასკნელი ერთადერთი ნაშთი, ვინაიდან გალაკტიონის ბინა გაიყიდა. მალე ყოფილი კირკის, ყოფილი ჟორესის და ბოლოს მარჯანიშვილის ქუჩა გააფართოვეს და ერთ მშვენიერ დღეს ხეების მოჭრას შეუდგნენ. მე სასწრაფოდ დავურეკე მწერალთა კავშირის მდივანს, რომელმაც ქალაქის აღმასკომში გადარეკა და მაშინვე გამოცხადდნენ ოფიციალური პირები, რომლებსაც ფიჭვის ისტორია ვაუწყე და ასე გადარჩა ყველაზე დაჩაგრული ერთადერთი ფიჭვი - გალაკტიონის ფიჭვი.“

მაგრამ ხის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. ვახტანგ ჯავახაძის გადმოცემით, 1999 წლის 5 მარტს მარჯანიშვილის ოთხ ნომერში გალაკტიონის მემორიალური მუზეუმი უნდა გახსნილიყო. წინა დღეებში შენობის ფასადი გაალამაზეს, ქუჩა გასუფთავეს და სახლის წინ სკვერში ყვავილები ჩარგეს.

კვლავ ვახტანგ ჯავახაძეს მოვუსმინოთ: „ყოველივე ამას მშვიდად ვათვალიერებდი. უცებ თვალი მოვკარი: ორი ღონიერი მამაკაცი ნაჯახებით მიადგა ფიჭვს. უმალ პოეტის სრულიად უცნობი ორი სტრიქონი გამახსენდა: „როგორ შემეძლო არ დამეთვალა, რამდენჯერ სცემდა ტყეში ნაჯახი". და მაშინვე კიბეებზე დავეშვი, ქუჩა გადავჭერი და შევუტიე. არ დამიჯერეს და უფროსი მოვიკითხე. ჩავიტანე ჩემი „უცნობი“ (წიგნი გალაკტიონის ცხოვრების შესახებ), იმ უფროსის „ვოლგის“ საბარგულზე გადავშალე და 1936 წლის 5 ნოემბრის ჩანაწერი წავუკითხე: „კირკის ქ. 4 სახლის ეზოში ერთი ძირი ფიჭვის ხე (შესასვლელიდან მარცხნივ) დარგულია თვით პატივცემულ გალაკტიონ ტაბიძის ხელით“. ამჯერად მეორედ გადავარჩინე გალაკტიონის ფიჭვი.“

თუმცა, მოგვიანებით, როგორც ვახტანგ ჯავახაძე წერს, ფიჭვმა გახმობა დაიწყო და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უფრო მძაფრი და დრამატიზმით სავსე (თუმცა შედეგიანი) იყო კიდევ ერთი დიდი მწერლის, რუსეთის მეფის არმიის პოდპოლკოვნიკ დავით კლდიაშვილის ბრძოლა საუკუნოვანი ცაცხვების გადასარჩენად.

„პირონიტში (სოფელი თურქეთში, ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე, ხოფასთან ახლოს) დარაჯები მყავდა დაყენებული, რომ ხელი არ ეხლოთ იმ მშვენიერი ცაცხვებისთვის, ზღვის პირს რომ მშვენებით ამართულიყვნენ“ - ასე იხსენებს თავის მემუარებში ცნობილი მწერალი პირველ მსოფლიო ომში გადამხდარ ერთ ეპიზოდს, რომლის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს ივანე არჯევანიძე (1916-1918 წლებში კავკასიის ფრონტზე სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის და რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომელი) წიგნში „დავით კლდიაშვილის ახლოს“, რომლის მიხედვითაც პირონიტის ეტაპის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი კლდიაშვილი წინ აღუდგა პოლკოვნიკ მიხეილ ვერდერევსკის (ბათუმ-ტრაპიზონის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ავტორისა და სამუშაოთა ორგანიზატორის) სურვილს, გაეკაფა „ადგილობრივი ლაზების მიერ სამღვთოთ მიჩნეული და საფუტკრედ დანიშნული, მშვენივრად გაშლილი ათასწლოვანი ცაცხვები“.

არჯევანიძის გადმოცემით, როცა მესანგრენი ცაცხვებს ნაჯახებით მიადგნენ, მათ წინ დაუხვდნენ კლდიაშვილის ჯარისკაცები. სამხედრო ხელმძღვანელობამ (გენერალმა ლიახოვმა) პოდპოლკოვნიკ კლდიაშვილის ეს მოქმედება მძიმე სამხედრო დანაშაულად სცნო, ეტაპის კომენდანტის თანამდებობიდან გადააყენა და ბათუმში გამოიძახა საველე სასამართლოს წესით გასასამართლებლად, თუმცა მწერალს ბედმა გაუღიმა - სულზე მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ.

„ამგვარად, ათასწლოვანი ცაცხვები - ბუნების ეს უძვირფასესი ძეგლი, ველურ გაკაფვას, ხოლო დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დავით კლდიაშვილი დაღუპვას გადარჩნენ“, ვკითხულობთ ივანე არჯევანიძის მიერ დატოვებულ მოგონებების წიგნში.

რა ჰქვია საქციელს, როცა 50 წელს გადაცილებული კაცი (შერყეული ჯანმრთელობით) სასწორზე დებს სამსახურს, კარიერას და თავის სიცოცხლესაც კი? როგორ ხდება, რომ დღეს მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაც მორიგი უსახური შენობა ჩავაკვეხოთ ქალაქის სხეულში, დაუნდობლად ვიმეტებთ ასწლოვან ხეებს, რომელთა ჩრდილში არა თუ მხოლოდ ჩვენ მშობლებს, არამედ უფრო შორეულ წინაპრებს უვლიათ და უოცნებიათ? როგორი უგრძნობი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო და დააფასო ქალაქში გახარებული ხეების სილამაზე და ამაგი? ვერ დააფასო მათი ჩრდილების, მათი სიგრილისა და ხმაურის იდუმალება? ანდა, როგორ ვერ უნდა იგძნო ხიფათი და ვერ წარმოიდგინო საშინელება - ხეებისგან დაცლილი ქალაქი თავისი მოშიშვლებული მოედნებით, მტვრიანი ქუჩებით და გავარვარებულ სახლებში გამოკეტილი მოქალაქეებით?

დაუჯერებელია, მაგარამ ყოველგვარი სინანულის გარეშე ვჩეხავთ როგორც სკვერებს, ასევე ცალკე მდგომ, ე.წ. „პიროვნებაზეებსაც“, არადა იყო დრო, ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ რომელი ხეებით (ჭადრებით, კედრებით, ფიჭვებით...) შეევსოთ მოტიტვლებული მთაწმინდის კალთები და ქალაქის ქუჩებს ჩაყოლებული გრძელი ტროტუარები.

ჭადარი vs კედარი

ჭადარს არ სწყალობდა ცნობილი ბოტანიკოსი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, რომელიც კედრის გაშენებას უჭერდა მხარს, ჭადარზე კი ამბობდა, ბუსუსებს ავრცელებს, სურდოს იწვევს, დიდი ზომისაა და ქალაქში უხერხულობას ქმნისო, თუმცა აკადემიკოსის მიერ მოტანილი ეს არგუმენტები გადაწონა ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის, კანდიდ ჩარკვიანის „ოდამ“ მიძღვნილმა ჭადრის დიდებულებას:

„ჭადარი - მონუმენტური სილამაზის გარდა - სიგრილისა და ჟანგბადის უშრეტი წყაროა, რასაც ჩვენი ცხელი, ძნელად გასანიავებელი, ხეობაში ჩამჯდარი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წიწვოვანი ჯიშებიდან თბილისში ფართო გავრცელება ჰპოვა ჰიმალაის კედარმა.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქალაქის ქუჩებში, როგორც წესი, ფოთლოვანი ჯიშები ირგვება და ეს შემთხვევითი არ არის. ქუჩაში ხეების შპალერმა ზაფხულობით ჩრდილი უნდა მოგვცეს. ეს არის მისი ყველაზე ხელშესახები ფუნქცია.

კედრის ვარჯი ისეთი ფორმისაა, რომ კარგ ჩრდილს მისგან ვერ მივიღებთ, ხოლო თუ ქვედა ტოტები არ შეაჭერით, ტროტუარზეც ვერ ივლით. მეორე და უფრო არსებითი ნაკლი ამგვარი გამწვანებისა კი ის არის, რომ კედარი ზამთარშიც, როცა მზეა საჭირო, ქუჩებს, სახლებს, ასე თუ ისე, მაინც ჩრდილავს და აბნელებს. სულ სხვაა ფოთლოვანი ხე, კერძოდ ჭადარი. ის ზაფხულში ხშირ ჩრდილს იძლევა, ზამთარში კი, ფოთლების დაცვენის გამო, მზის სხივებს ხელს არ უშლის. ფიგურალურად

რომ ვთქვათ, ქუჩაში დარგული ფოთლოვანი ხე ჰგავს ქოლგას, რომელიც ზაფხულში გაშლილია და მზისგან გვიცავს, ზამთარში კი დაკეცილია და მზეს არ გვიჩრდილავს.“

რა გასაკვირია და ამ არგუმენტების გამოქვეყნების შემდეგ თბილისში ლამპიონების ნათება და ჩაქრობა მხოლოდ ჭადრებშიღაა შესაძლებელი. ჭადრები კი, შესაძლოა, მართლაც ბევრს უქმნის დისკომფორტს, მაგრამ განა რა იქნება მტკვრის სანაპირო ანდა რუსთაველის გამზირი მათი ჩრდილისა და ფოთლების შრიალის გარეშე? ვინ იცის, იქნებ რუსთაველის გამზირის იმ საიდუმლოს გასაღებიც, რომლის შესახებ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე წერდა, გიგანტური ჭადრების მწკრივშია დამალული?

„მაინტერესებდა, რატომ იყო ყოველთვის მეტი ხალხი გამზირის იმ მხარეს (იმ ტროტუარზე), რომელიც მთაწმინდისკენაა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე თეატრი, სამივე კინოთეატრი, მუზეუმი და გალერეა მეორე მხარეს მდებარეობდა“, წერდა ვახტან ბერიძე 1987 წელს გამოცემულ „მოგონებებში“, - „რატომ იყო იმ ხალხმრავალ მხარეს განსაკუთრებით ბევრი ხალხი მაინც ერთ გარკვეულ მონაკვეთზე - ბესიკის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე... და სულ მოლად გაუგებარი რამ - რატომ იყრიდა უამრავი ჩიტი თავს მხოლოდ იმ ხეებზე, რომლებიც ოფიცერთა სახლის წინაა და იქ ჰქონდათ გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი, სხვაგან კი არსად სჩანდნენ.“

ცხადია, ჩიტებიც და ადამიანებიც გრძნობენ დიდი ხეების, მით უფრო „პიროვნებაზეების“ სილამაზესა და მიმზიდველობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ტყეში, სკვერში, ქუჩაში, ეზოში მდგომ თითოეულ ხეშია ჩაბუდებული ასეთი „პიროვნება-ხის“ პოტენციალი, მაგრამ მათ გასაფურჩქნად ზრუნვა და სიყვარულია საჭირო.

ჩემი ფიფელი

ალბათ, როგორც ხალხზე ზრუნვაა შეუძლებელი ცალკე აღებულ ერთ ადამიანზე ზრუნვის გარეშე, ასევე შეუძლებელია ბუნებაზე ზრუნვა ცალკე აღებული ერთი ხის გარეშე, იმ ხის გარეშე, რომლის თავგადასავალიც ხშირ შემთხვევაში ადამიანისაზე შინაარსიანი, ლამაზი და სევდიანია. ერთისას ვიტყვი, წიფლისას, რომელიც სახლის წინ, ეზოდან ასე 50 მეტრში გვედგა და იყო მარტოხელა და იმდენად დიდი, რომ დილით დაწყებული წვიმა მის ძირში საღამოს თუ ჩააღწევდა, ხოლო კენწეროზე შემომჯდარ ყვავს ვერც ყვირილით დააფრთხობდი და ვერც რუსული გლუვლულიანი სანადირო თოფით. ჩრდილსაც იმხელას იკეთებდა, რომ მთელ სოფელს იტევდა თავის ფრინველიან-საქონლიანად... უზარმაზარი მერქანი სულ ერთიანად დაგრეხილი, ჯანსაღად მოთეთრო და ხავსით აჭრელებული ჰქონდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი სიცოცხლის ხე იყო - კიბე ცასა და მიწას შორის, რომელსაც, ყველასათვის მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, ბიძაჩემი აუხირდა: ქარში უცნაურად ირხევა, საეჭვო ხმებს გამოსცემს, გული უნდა ჰქონდეს დამპალი და მეშინია, არ წაიქცეს და სახლი არ დაანგრიოსო.

ვერაფრით გადაათქმევინეს, ვერაფრით ააღებინეს ხელი და სულ მალე ნაჯახებითა და ბენზოხერხებით შეესივნენ სოფლის ძლიერი კაცები. რამდენჯერმე გაუწყდათ ჯაჭვი, ნაჯახის ტარმაც უმტყუნათ, მაგრამ უკან აღარ დაიხიეს და ბოლოს, როგორც იქნა, წააქციეს სრულად ჯანმრთელი, ქვასავით მკვრივი და მოწითალო გულიანი გოლიათი. წაქცეულიც დიდებული იყო, ვერტიკალურად აშვერილი ტოტებითაც კი ცას სწვდებოდა, მაგრამ დაცემულსა და ფესვებსგადაჭრილს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო.

როგორ კი წიფლის ადგილას გაჩენილ უზარმაზარ სიცარიელეს თვალი მოსწყვიტა, სოფელი წაქცეულ წიფელს შეესია და სულ მალე სიცოცხლის ზეიმი და ბუნების მშვენება მჭვარტლიანი ბუხრის ლუკმად - შეშად აქცია. მახსოვს, მთელი წელი ხე არ მოჭრილა სოფელში, ტყიდან ფიჩხი არ გამოტანილა, ჩვენც გვარიანად ვაგიზგიზეთ ბუხარი იმ ზამთარს, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ იმ ტკივილამდე მწველ სიცივეს, რომელიც უდანაშაულო წიფლის მკვლელობამ დაგვიტოვა გულში.

წლები გადის, მაგრამ ამ ფანტომურ ტკივილს არაფერი შველის: დღემდე მტკივა გული იმის გამო, რომ ვეღარც ამ წიფელს ვნახავ, ვეღარც გარდაცვლილ ბიძაჩემს და ვეღარც აფხაზეთს, სადაც ჩემი წიფელი იდგა ასე ლამაზად და მისი წაქცევის შემდეგ სხვაც ბევრი სევდიანი ამბავი მოხდა...

ჯიმშერ რეხვიაშვილი

გალაკტიონის ფიჭვიც ჭადრებმა შეცვალეს, მარჯანიშვილის ქ.N4

ᲐᲠᲘᲡ!

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

„თონეს“ სწრაფი მომსახურების კაფე პრესტიჟულ ადგილას, „იუნიონ სქვეარზე“ გაიხსნა. ქართული ეროვნული სამზარეულო ამერიკაში დღითიდღე პოპულარული ხდება.

ქართული კაფე „თონე“ ბრუკლინში უკვე რამდენიმე წელია ქართველი ემიგრანტების, რუსების და უკვე ამერიკელების საყვარელი ადგილია. თუმცა, მისი ანალოგი, ოღონდ სწრაფი კვების ობიექტი, რომელიც მანჰეტენზე, პრესტიჟულ და მუდმივად ხალხმრავალ ადგილას, „იუნიონ სქვეართან“ გაიხსნა, ამერიკაში ქართული რესტორნების ბიზნესის ისტორიაში პირველია. ახლა უკვე გათვლა ამერიკელ მომხმარებელზე კეთდება. „თონეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკოლოზ ჩხეიძე აპირებს კონკურენცია გაუწიოს ნიუ-იორკის მექსიკურ, ჩინურ, იტალიურ სწრაფი კვების ბიზნესს.

ნიკოლოზ ჩხეიძე: ვფიქრობთ, რომ დაახლოებით ათამდე ავალთ - ორი წლის განმავლობაში, ნიუ-იორკში, მანჰეტენზე 10 ობიექტს გავხსნით, ასევე ლონგ-აილენდის სითიშიც. დღესდღეობით, ქართული სამზარეულო საკმაოდ პოპულარულია, მოთხოვნილება გაიზარდა ქართულ საკვებზე. ჩვენი ქართული კერძები, სპეციალური დანამატები, რასაც ვხმარობთ ჩვენს სამზარეულოში, სრულიად უცხოა ამერიკელი მომხმარებლისთვის.

ბევრმა ამერიკელმა საქართველოს არსებობის შესახებ სწორედ ქართული სამზარეულოთი შეიტყო. ამერიკელი პედაგოგი ვალი ქართული ხაჭაპურით და ჩაქაფულით აღფრთოვანებულია.

ვალი: ძალიან გემრიელია ყველაფერი, რამდენიმე დღის წინ ხბოს ჩაქაფული და ხაჭაპური მივირთვი. უგემრიელესია. საქართველოზე მანამდე არაფერი ვიცოდი.

ოქსანა, უკრაინელი გამყიდველი, ამბობს, რომ ძალიან სასიამოვნოა, როდესაც მასთან მიდის ამერიკელი მომხმარებელი და ამბობს, რომ მეზობელმა საკვები „თონეში“ შეიძინა და შემდეგ მას ურჩია. ქართულ პურს დიდი მოთხოვნილება აქვს, ასევე ლობიანს, ფხალეულს, სვანურ კუბდარს.

„ვაშინგტონ პოსტმა“ ქართულ სამზარეულოს რამდენიმე სტატია უკვე მიუძღვნა. ამ გავლენიანი გაზეთის ინტერნეტ-ვერსიის რეცეპტების ნაწილში გასულ თვეს აჭარული ხაჭაპურის დამზადების რეცეპტიც დაიბეჭდა. უფრო ადრე, 2014 წლის ავგისტოში, ჟურნალისტმა მორა ჯადკისმა სრული სტატია მიუძღვნა საქართველოში ხაჭაპურის დამზადების სხვადასხვა ტრადიციებსა და წესს.

„ვაშინგტონ პოსტის“ გარდა ქართულ სამზარეულოზე სხვა ამერიკული გამოცემებიც წერენ. მათ ქართული ტრადიციული კერძების შესახებ უკეთესად ბოლო 2 წელია რაც შეიტყვეს. ამ პერიოდში, მანჰეტენზე თითქმის ერთდროულად გაიხსნა ქართული რესტორანი „ოდა“, „პეპელა“. „ Old Tbilisi Garden“.

ნიკა ჩხეიძე თვლის, რომ ბიზნესის ამ სფეროში ნიუ-იორკში ქართველებს შორის კონკურენციის ხსენება უადგილოა:

- ჩვენ არ მივიჩნევთ არავის კონკურენტებად, მეგობრები ვართ პირველ რიგში. რაც არ უნდა ბევრი რესტორანი გაიხსნას მანჰეტენზე, არ ნიშნავს იმას რომ კონკურენცია იზრდება. პირიქით, იმდენად დიდია მანჰეტენი, 300-400 ქართულ რესტორანს „აიტანს“. პირიქით, რაც უფრო მეტი ამერიკელი გაიგებს ქართული სამზარეულოს გემოს და მოეწონება, მით უფრო გაიზრდება ჩვენი პერსპექტივა.

ქართული სწრაფი კვების ობიექტში შეკვეთები ონლაინ, ტელეფონით და ადგილზე მიტანით ხდება.

ამერიკელებისთვის რთული მხოლოდ ქართული საკვების სწორედ წარმოთქმაა. მენიუშია ფხალეული, ხაჭაპური, კუბდარი, ჩახოხბილი, ჩაბოსტნილი, ჩიხირთმა და შოთის პური, რომლის პატარა ვარიანტს აქ „შოთიკო“ ქვია.

თეა თუაფვილი

ცოტა კიდევ და, დავამთავრებ ამ ამბავს. ერთ ცხელ დღეს მე და ძია ვანო ახალშენილ მამულში ვისხედით ხის ქვეშ და ატამჩაჭრილ ცივ ღვინოს შევექცეოდით. ჩანჩოს იქვე გვერდით ეძინა.

- ეს მამული უკეთესი საქმეა, ძია, ვიდრე საუზმის გაყიდვა. ისე საფაციფუცო არაა და, რაც მთავარია, სენდვიჩები აღარა გაქვს დასამზადებელი, - ვუთხარი ძია ვანოს.

- მართალია. უნდა გამოგიტყდე, როცა სენდვიჩებს ვაკეთებდი, გული მეთანაღრებოდა ხოლმე. მრცხვენოდა, თავმომწონე კაცმა სენდვიჩს არც უნდა მოკიდოს ხელი. იცი, დღესაც ვერ მივმხვდარვარ, როგორ გამოსწორდა თქვენი ბიზნესი ასე უცებ. ამდენი წლის გამოცდილება მაქვს და ასეთი რამ არასდროს გამიგია.

ჩანჩომ გაიღვიძა და ,,ახლა ღვინოს დავლევო", წაიბურტყუნა. ძიამ ჭიქა გაუვსო.

- მეც ვერაფერს მივხვდი. ერთ დღეს, სამასი საუზმე გავყიდე, მეორე დღეს ათასი, მესამე დღეს სამი ათასი. მიზეზი?!

- მიზეზი ის ფულია, საქმეში რომ დავაბანდე, - თქვა ჩანჩომ.

- აბა, ამიხსენი, ჩანჩო, - თხოვა ძია ვანომ, - მარტივად მითხარი.

- მე ის ფული, იატაკის ღრიჭოში რომ ვიპოვე,ავიღე და თითო-თითო დოლარებიანად დავახურდავე. მააშ! მერე ქვედა სენკვიშში ვდებდი თითოს. ყოველ მეათე პაკეტში. ხალხი ამიტომ ამჯობინებდა ჩვენი საუზმის ყიდვას. ალბათ უხაროდათ, როცა იპოვნიდნენ.

ფერადი საწრუპავები, გამაჯანსაღებელი მარილი, საფლავის ქვა, დოლარები სენდვიჩებში - არა, ნამდვილად შტერი იყო ეს საცოდავი?

ჯარისკაცობა

ერთ დღეს, როცა ჯერ კიდევ კალისტოგაში ვცხოვრობდი, სამზარეულოში შევედი რაღაც საქმეზე. ჩანჩო იარაღის სახელმძღვანელოს ათვალიერებდა და ხელში თოფივით ჰქონდა მომარჯვებული ფრანგული ფუნთუშა. ძია ვანო სკამზე იჯდა და მოღუშული მისჩერებოდა ჩანჩოს.

- ბიჭო, ჩანჩომ მითხრა, გიორგი ჯარში ჩაეწერაო. თუ მართალია, მეტ საუზმეს გაჰყიდი. ეს ძალიან კარგი საქმე იქნება.

- ნამდვილ ჯარში კი არა ვარ, რაღაც ჯარის მაგვარია - ეროვნული გვარდია ჰქვია, მაგრამ განა საუზმის გასაყიდად ჩავეწერე. ეს ამბავი სულ სხვანაირად მოხდა: ჯარისკაცები ყოველ კვირა დღეს სამას საუზმეს და რძეს მისაღებდნენ. აქედან აღებული ფული ძალიან მშველოდა. ჯარისკაცად შემდეგ ჩამწერეს. ახლა რაკი შეერთებული შტატების ჯარისკაცი ვარ, მისი ფორმა მაცვია და მის იარაღს ვატარებ, როგორღა უნდა მივყიდო ჩემს ქვეყანას სენდვიჩები? როგორღა უნდა გამოვრჩე ფულს?

- თუკი მართლა შენი ნება-სურვილით შეხვედი, - მითხრა ძიამ, - მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ეს იმას ემგვანება, მშობლებს რომ გამორჩე რამეს.

- ჰოდა, ამიტომ თავის ფასად ვყიდი.

- კი, მაგრამ, რატომ ჩაეწერე. ექვსი წელი ჯოჯოხეთში იყავი, - მეფის არმიაში - და არ გეყო?

- არ იცი, რა ემართება კავალერიის ბებერ ცხენს ჯარის დაფდაფების ხმაზე? მეც ისე დამემართა: ყოველ კვირას დამქონდა საუზმე სასროლეთზე. მეოთხე კვირას რომ მივედი, იცი რას აკეთებდნენ? ჩემს ბოთლებს ესროდნენ ტყვიას.

- მომხედეთ, ბიჭებო, - ვუთხარი ჯარისკაცებს, - ეგ ბოთლები ფული მიღირს, თითო სამი ცენტი, აგრე ხომ გავკოტრდები!

- რას ამბობს, - გაიკვირვა ლეიტენანტმა, 23-24 წლის სასიამოვნო შესახედაობის ახალგაზრდამ, - ძალიან ვწუხვარ, ეგ სულ გამოგვრჩა მხედველობიდან.

- მომისმინეთ, ბიჭებო, - ლეიტენანტმა ყველას ერთად მოუყარა თავი, - მე ქუდს ჩამოვატარებ, ფულით გავავსოთ და მერე განვაგრძოთ სროლა. ფულს გამარჯვებული აიღებს, მებუფეტეს ანგარიშს გაუსწორებს და დანარჩენს თვითონ დაიტოვებს. შენ ხომ დაგვყაბულდები?

- სიამოვნებით!

ოცდაშვიდ-ნახევარი დოლარი მოაგროვეს და სროლა განაგრძეს.

- ლეიტენანტო, - ვუთხარი მე, როცა ყველამ ისროლა, - სხვა რომ არ იყოს, ჩემი ბოთლებია, რა იქნებოდა, ჩემთვისაც მოგეცათ სროლის ნება?

- მართალია! სწორია! - ახმაურდნენ ჯარისკაცები, - მებუფეტემ უნდა ისროლოს, რევოლვერი მიეცით, მაგანაც სცადოს.

ჩაამწკრივეს ბოთლები. პირველ თოთხმეტ თუ თხუთმეტ ბოთლს თავები წავაცალე. დანარჩენები ისე დავამსხვრიე.

- დიდი ამბავი, შენ ხომ ამ ომის დროს სნაიპერი იყავი. მე მგონი, თქვენი რაზმის ყველაზე უარესი მსროლელიც კი მოახერხებდა მაგდენს. არადა, კვლავ სანგრების სათხრელად გააგზავნიდნენ.

- მართალია. იმათ კი რატომღაც არ დამიჯერეს. მებუფეტემ, მეორედ უნდა ესროლოსო. მე ცოტა უკან დავიხიე და კიდევ ორიოდე ფანდი ვაჩვენე. ასე იყო თუ ისე, მთელი ფული მე დამრჩა.

- მანდ გასაკვირი არაფერია, - თქვა ძიამ, - ეგრე ადვილია სროლა, - იცი, რომ რძის ბოთლი ხელს არ შეგიბრუნებს.

- ჰოდა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ეროვნულ გვადიაში ჩამწერეს.

- ჰო, მართალია, - თქვა ჩანჩომ, - გიორგიმ ნება დამრთო მეც წავყოლოდი. ვარჯიშს ვუყურე. ბახ! ბახ! როცა აცდენდა, ტაშს ვუკრავდი.

- ვარჯიშისა და ოფიცრების გინების მოსმენის გარდა, რას აკეთებთ? - მკითხა ძიამ.

- ჩვენ არავინ გვაგინებს, შემგინებელს, ალბათ, სამხედრო სასამართლოს გადასცემენ. ეგეც არ იყოს, არა მგონია, აზრად მოსვლოდათ ჩვენი გინება, ისინი ხომ მშვენიერი ახალგაზრდები არიან, უმეტესობა კოლეჯშია ნამყოფი. ასეთი ოფიცრები შენ არც კი გეყოლება ნანახი. ტანვარჯიშის დარბაზში ერთად დავდივართ, რესტორანში ერთად ვვახშმობთ, ტრამვაიში ერთად ვსხდებით. ერთხელ, როცა უკვე ფიცი მქონდა მიღებული და მსროლელთა რაზმში ვირიცხებოდი, სერჟანტი გამიბრაზდა, რადგან სროლაში ვჯობნიდი. ლეიტენანტმა რომ ჩამოგვიარა, დამბეზღა - ფეხები სწორად არ უდგასო. ახლა კი დაიწყება ჯო-

რედაქტორისაგან:

გიორგი და ჰეიენ პაპაშვილების "ყველაფერი შეიძლება მოხდეს" ავტობიოგრაფიული ნოველების კრებულია.

იგი ინგლისურ ენაზე დაიწერა და პირველად 70 წლის წინათ, 1944 წელს გამოიცა. დღემდე ამ წიგნის 20-მილიონამდე ეგზემპლარია გაყიდული, ჩვიდმეტჯერ გამოიცა ამერიკაში, ითარგმნა იტალიურ, ფრანგულ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე. გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმადაც ჰოლივუდში.

წიგნი გვიხატავს 1930-იანი წლების ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამაგ დროს გელეხის თვალით დანახულ ამერიკას.

ანთოლოგიაში, მსოფლიოს 50 საუკეთესო წიგნს შორის, ორმელიც ყველაზე უკეთ აისახა ამერიკა - ჯეკ ლონდონის, ფიცჯერალდის, სელინჯერის და ჰემინგუეის გვერდით შეხვდებით ამ წიგნსაც.

ჯოხეთი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლეიტენანტმა ჩემი ნასროლის ანგარიში მოითხოვა, გასინჯა და თქვა, ყველაზე ზუსტად უსვრიაო. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს წესდება, როგორ უნდა დადგე და დაჯდე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს იმათთვის იწერება, ვინც თავგასულიაო, - უთხრა მან სერჟანტს.

- კიდევ რას აკეთებთ? - მკითხა ძიამ.

- კურსებს ვუსმენთ.

- კურსებს?

- ჰო, გვასწავლიან. ყველაფერს გვასწავლიან, მჭედლობას, რადიო-აპარატურას, სიგნალიზაციას, ავტო-საქმეს. ყველაფერს, რაც გაახსენდებათ. თანაც სულ უფასოდ, მთავრობის ხარჯზე.

- ასეთი რამ, არასოდეს გამიგონია, - თქვა ძიამ, - ჯარისკაცები და სწავლა? რომ აზროვნების საშუალება მიეცეთ? მუდამ ამბობენ, რომ ჯარისკაცები ხეპრეები უნდა იყვნენ. მაინც რისთვის უნდათ ეგ ჯარი?

- ამერიკაში ეროვნული გვარდია იმიტომ ჰყავთ, რომ ერთხელ ამერიკელებს მტრები შემოესივნენ და ყველაფერი ხარკში წაიღეს. მერე სახლებში ჩაუსახლდნენ, მათ ხარჯზე დაიწყეს ცხოვრება და ხალხს ეს არ ესიამოვნა.

- ბუნებრივია, - თქვა ძიამ, - მეც არ მესიამოვნებოდა.

- ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს მტრებს შებრძოლებოდნენ და უკან გაერეკათ.

- სწორეა! სწორედ მოქცეულან.

- მაგრამ ამ მტრებს დიდი და კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავდათ. უამრავი ათასი კაცი იყო მწკრივებად დაწყობილი. ამერიკელებს კი თოფებისა და სიმამაცის გარდა არაფერი გააჩნდათ და მაინც აღსდგნენ მტრებთან საბრძოლველად. ამერიკელები კედლებს და ხეებს მოეფარებოდნენ, გაისროდნენ, შემდეგ უკან გაიქცეოდნენ, დასტენიდნენ თოფებს და კვლავ გაისროდნენ ხოლმე.

- ბუხ! ბუხ! - აღრიალდა ჩანჩო და პური რევოლვერივით დამიმიზნა.

- ათი კაცი, ორმოცდაათი კაცი. ასი, ხუთასი. სულ მალე მთელი არმია ჰყავდათ და მტრები უკან გარეკეს.

- კარგია, - თქვა ძიამ, - ძალიან მინდა ხელი ჩამოვართვა იმ ხალხს. დიდი ხნის წინათ მოხდა ეგ ამბავი?

- ასი წლის წინათ, თუ უფრო ადრე. ამის შემდეგ ამერიკელებმა თქვეს, ჩვენ მილიცია უნდა ვიყოლიოთ ყველა შტატში. როცა კვლავ გვაიძულებენ თავი დავიცვათ, უკვე მზად ვიქნებითო.

- ძალიან საინტერესო ამბავია, - თქვა ძიამ, - ვითომ ძალიან მოხუცი ვარ არმიისათვის?

- როცა უკან დავბრუნდები, ლეიტენანტს ვკითხავ.

- ჰკითხე, უთხარი, ძალიან გამოცდილია-თქო. ყირიმის ომში ვარ ნამყოფი, თურქების წინააღმდეგ მიბრძოლია. მთის ბრძოლებშიც ვყოფილვარ, სანამ მოვკვდები, მინდა იმ არმიის რიგებში ჩავდგე, სადაც კაცს შეუძლია ჯარისკაციც იყოს და ადამიანიც.

ყველაფერს კურნავს, გარდა სიყვარულით დამწვარი გულისა

ერთი ჩვენებური ბიჭი, ილარიონი, კოლეჯში მუშაობდა. მისი მოვალეობა იყო ტელესკოპით ემზირა ვარსკვლავებისათვის, რათა მათ ადგილი არ მოეცვალათ. როცა ვარსკვლავებს არ უთვალთვალებდა, სტუდენტებს ასწავლიდა ათასნაირ ხრიკებს, მაგალითად: როგორ უნდა გაეზომათ მზე, როგორ მისულიყვნენ მთვარეზე უმოკლესი გზით. უხსნიდა, თუ საით მიისწრაფიან კომეტები, რომლებიც ელვასავით ჩამოგვიქროლებენ ხოლმე. ინგლისელები ასეთ კაცს ასტრონომს ეძახიან.

ილარიონი ღამეებს ათენებდა სამუშაოზე. მაინცდამაინც ბევრ ფულს ვერ აკეთებდა, მაგრამ ღვთის მადლით ზოგიერთივით ფულის გიჟი არ იყო. მხოლოდ სწავლაში პოულობდა სიამოვნებას. ხანდახან გასართობად ორიოდე ვარსკვლავს დაიჭერდა, რომლებიც წინათ არა ჩანდნენ იმ მიდამოებში, ლამაზ-ლამაზ სახელებს დაარქმევდა და წიგნში ჩაწერდა.

აი, ასეთი გართობა და კვირაში ერ-

თხელ მეგობრებში დალეული ერთი ბოთლი ღვინო სავსებით აკმაყოფილებდა მას.

ილარიონს მტკიცე ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ პარასკევს საღამოს რესტორანში შეგვხვედროდა და კარგად გაეტარებინა დრო. თუმცა ილარიონი დიდი პროფესორი იყო, ტელესკოპის ბაქანზე ივჯდა და ჭერად დაფა ეხურა, თუმცა ყველა მდაბლად უკრავდა თავს, იმდენი ჭკუა მაინც შერჩენოდა, რომ ქეიფში მეცნიერების სასახლე დაევიწყა და კაცურად მოელხინა: დაელია, ემღერა, ეცეკვა და ანეგდოტები ეთქვა.

მაგრამ ერთ პარასკევს ილარიონი აღარ გამოჩნდა. ჩვენ კი ბეჭიც მოვხარშეთ, რადგან ილარიონს ყველაზე მეტად ბეჭი უყვარდა.

- არა მგონია, რაიმე მოსვლოდა, - თქვა ვახტანგმა, - თუმცა რა ვიცი? ილარიონი ხომ გაუთავებლად კითხულობს იმ უზარმაზარ წიგნებს. აკი, ვეუბნებოდი კიდეც: ეგენი ყოფას გიტირებენ ოდესმე-მეთქი. სურათებიც კი არაა იმ წიგნებში, რომ ცოტა თვალი შეასვენოს კაცმა.

- არა, ეგ არ ავნებდა, - თქვა შალიკომ, - ჩვენ, ხევსურებს, არწივის თვალი გვაქვს. როდისმე მიამბნია თქვენთვის ბიძაჩემის ამბავი? მას შეეძლო მიზანში მოერტყა...

- ჰო, როგორ არა. გიამბნია.

ჩვენ სულ არ გვეხალისებოდა კვლავ თავიდან ბოლომდე მოგვესმინა, თუ როგორ არტყამდა შალიკოს ბიძა გარეულ ტახს ტყვიას ნახევარი მილის მანძილიდან. თანაც შიგ კაკალ გულში. სულ ცოტა ათასჯერ მაინც ექნებოდა მონაყოლი და მანძილი შალიკოს ბიძას და ტახს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა.

- ისევ ის ტახი? გეყო, შალიკო, სულ მალე ბიძაშენს, ალბათ, რადიოთი დაახოცინებენ ღორებს, - ჩაუნისკარტა ვახტანგმა.

- იქნებ ილარიონს რაიმე საქმე გამოუჩნდა, - ვთქვი მე, - რათა კინკლაობა შეწყვეტილიყო, - იქნებ მთვარის დაბნელება ან სხვა რაიმე მოხდა და ვეღარ მოიცალა.

ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ. ასე რომ, მეორე პარასკევამდე არ გვიდარდია. მაგრამ ილარიონი არც მაშინ გამოჩნდა.

- ახლა კი რაღაც უბედურება გვჭირს, - თქვა ვახტანგმა, - ხომ არ შეიძლება, რომ მთვარემ ყოველ კვირას მოისულელოს თავი. რომელიმე ჩვენთაგანი კოლეჯში უნდა წავიდეს და გაიგოს რა გვჭირს.

დელეგატად შალიკო ავირჩიეთ.

- ძალიან კარგი, - თქვა მან, - როცა ჩემ სოფლელს საფრთხე მოელის, მე უნდა მივხედო. ამხანაგის გადარჩენა ჩემი მოვალეობაა და ამიტომ იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ძალიან საშიშ ადგილას მგზავნით. რა გაეწყობა, წასვლა აუცილებელია.

მეორე დღეს დაბრუნდა და ძალიან ცუდი ამბავი მოგვიტანა, ილარიონი ავად ყოფილა, ძალიან ავად!

- რა დაემართა? - ჰკითხა ვახტანგმა, - აბა, ამიწერე, როგორ გამოიყურება?

- ახლავე. რაღაც საავადმყოფოს მსგავს ოთახშია, ოთახი კოლეჯის შენობაშია. ამბობენ, ისეთი არაფერი სჭირს, მარტო დაიღალაო, მაგრამ, მე მგონი, რაღაცას გვატყუებენ.

- თვითონ ნახე?

- კი. შემიყვანეს იმ ოთახში, ილარიონი კედლისაკენ პირ-შემობრუნებული წევს. რა დაგემართა, კაცო-მეთქი, - ვუთხარი ქართულად, - მომვლელმა დაისისინა, - შენ მეგობარს ნუ ააღელვებ, - ცოტათი გადაიღალა. დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაამთავრა და ახლა ისვენებსო.

- ისვენებს კი არა, ის არ გინდა? უფრო ავადმყოფსა ჰგავს-მეთქი.

- არა, ავად არ არისო, - თქვა იმ ქალბატონმა და კბილები ისე გააელვა, გეგონებოდათ ელნათურები აინთოო. ბრაზი მომივიდა და ვუთხარი:

- დარწმუნებული ვარ, ავად არის. აბა, ამხელა კაცი იმ შუადღეზე ლოგინში რამ გააჩერა-მეთქი, - მერე ილარიონს ვკითხე, რა დაგემართა მეთქი.

- არაფერიო, - ობოლი ბატკანივით დაიკიკინა ილარიონმა.

- ილარიონი და ლოგინი? - გავიკვირვე მე, - ასოთხმოცდაათ გირვანქიანი, ექვსი ფუტისა და სამი დუიმის სიმაღლის კაცი ლოგინშია?

ჰოდა, წავედი და ექიმს ვკითხე, ძალიან დიდ პროფესორს. მითხრა, ილარიონი ძალიან მაგრამ მუშაობდა და ახლა გვეშინია, ნერვების დასუსტება არ დაემართოსო.

- ნერვების დასუსტება? ეგ რას ნიშნავს? - იკითხა ვახტანგმა.

- ეს ამერიკული დავადებაა. როცა შენს ტვინს შენზე ფიქრი აღარა სურს, - ავუხსენი მე.

- ალბათ, საშინელი რამაა. ხანდახან მეც მემართება ხოლმე - მავიწყდება, სად რასა ვდებ. სხვა მხრივ მე და ჩემ ტვინს კარგი ურთიერთობა გვაქვს. სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია, - დაიმშვიდა თავი ვახტანგმა.

- ნეტა თავი გაეტეხათ ომში, - ვინატრე მე, - ან დაეხანჯლათ, ან ტყვია მოხვედროდა ფეხში, რაღაც ისეთი დამართოდა, რომ კაცი მიმხვდარიყო რამეს. ეს ნერვების დასუსტება რაღა ჯანდაბაა.

ერთხმად გადავწვიტეთ, საავადმყოფოში წავსულიყავით. იქ უკეთ შევატყობდით, რითი შეგვეძლო შველა.

ილარიონი აბანოს ხალათში დაგვხვდა. სკამზე ივჯდა, მაგრამ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

- ილარიონ! - ვუთხარი მე, - მშიერი ხარ, კაცო?

- ჩვენ ძვირფასი კერძი გვქონდა საუზმედ, ისპანახი, - თქვა ილარიონის მომვლელმა გახამებულმა ქალბატონმა, - და თუ კარგად მოიქცევი (მან ილარიონს თითი დაუქნია), ერთ დიდ ფინჯან კრემს მიიღებ ვახშმად. ასე შევთანხმდით, არა?

- ილარიონ! - უთხრა ვახტანგმა ქართულად, - ბატკნის ხორცი არ გინდა, შამფურზე შემწვარი, კარგად გახუხული? სისხლს მოგიმატებს.

ილარიონმა თავი გააქნია.

- ერთი ჭიქა კარგი ღვინო? შავი, - შესთავაზა შალიკომ, - ჯანზე მოგიყვანს.

- გინდა რამეს გიმღერებთ? იქნებ გესიამოვნოს, - ვუთხარი მე.

- არა, ჯენტლმენებო, დღეს არა. ხვალ კი შეგიძლიათ კვლავ მოინახულოთ, - გვითხრა გახამებულმა ქალბატონმა და გარეთ გამოგვრეკა.

- მისმინეთ, ბიჭებო, - ვთქვი მე, როცა სახლის გზას დავადექით, - სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე. ხვალ ძია ვანო ბრუნდება ფრესნოდან. ძია უკვე 80 წელია ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და უეჭველია, ამისთანა ამბის წამალი ეცოდინება.

როგორც კი მოვიდა ძია ვანო ჩვენთან, ეს ამბავი ვუთხარით. მან კარგა ხანს იფიქრა (ამასობაში მშვენივრად დაივარცხნა წვერი) და ბოლოს იკითხა, ილარიონმა სიყვარულში ხომ არ განიცადა მარცხიო?

- არა, - უპასუხა შალიკომ, - ეგ არ უნდა იყოს მიზეზი. პირველად მისვლისას ცოტა რომ გამომეფხიზლებინა, ვუთხარი, „ილარიონ, ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამაჩერა კიბესთან და მკითხა, მისტერ ილარიონი დღეს როგორ არისო. შველივით ქალი იყო, შენი გულის ვარდი ხომ არ არის-მეთქი“? მაგრამ ილარიონმა არც კი შემომხედა.

- მაშინ ერთადერთი გზაღა დაგვრჩენია, - თქვა ძია ვანომ, - ნიორ-წყალი უნდა ვცადოთ. კვეხნით არ ვიტყვი და ჩემი გაკეთებული ნიორწყალი კოჭლს ააცეკვებს, მუნჯს აამღერებს და მკვდარს გააცოცხლებს. ნამდვილად გეუბნებით, რომ მიჯნურის გარდა ყველას მოარჩენს.

- ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ უშველის, - ვთქვი მე, - ერთხელ მეც მიგემია. მადას გაუხსნის და რაკი ჭამას დაიწყებს, რაღა თქმა უნდა, მოიკეთებს კიდეც.

- რომ არ მოუხდეს? - იკითხა ვიღაცამ.

- მაშინ გათავებულია საქმე, - თქვა ძიამ, - მაშინ ქელეხზე უნდა ვიზრუნოთ. არა რცხვენია ავადმყოფობისა? ახალგაზრდა კაცია, ჯანმრთელი, ხელი არ აკლია და ფეხი. აი, მე 85 წლის კაცი ვარ და როდისმე თუ გახსოვთ ლოგინში ჩავწოლილიყავი და მეგობრები ამეწრიალებინოს?

- ილარიონის გაჯორვას მერეც მოვასწრებთ, - თქვა ვახტანგმა, - ახლა კი საქმეზე ვიზრუნოთ. როგორ ვაჭამოთ ეგ ნიორწყალი. საავადმყოფოში შეტანა არ მოხერხდება, ტრამვაის გაჩერებიდანვე ეცემათ სუნი.

- მე დავრეკავ და ექიმს ვთხოვ, რომ ჩვენს მეგობარს ილარიონს ჩვენთან გამოსეირნების უფლება მისცეს, - თქვა ვახტანგმა, - შემდეგ მანქანით წავიდეთ სადმე, ქეიფი მოვაწყოთ და ნიორწყალი ვაჭამოთ.

- ერთი კი ეცეს ნივრის სურნელი და მერე უარს აღარ იტყვის ერთ ნაჭერ ხორცზე, - ვთქვი მე, - მერე ორიოდე ყლუპ ღვინოსაც გადაყლუნწავს ჩვენი ილარიონი და, ეჭვი არაა, მოიხედავს.

- კი მაგრამ, საავადმყოფოში რას იფიქრებენ, დროზე რომ არ დაბრუნდება?

- როცა გამოვიყვანთ, მეორედ დავურეკოთ და ვუთხრათ, ჩვენთან კიდევ რამდენიმე საათის გატარება მოუნდა ილარიონსთქო. კარგად მოვუვლით-თქო.

- სად წავიდეთ? პარკში?

- არა, პარკში დიდ ცეცხლს არ დაგვანთებინებენ.

- სანაპიროზე?

- სანაპიროზე ავჯობებს. ქვევით დავუყვეთ და ქალაქს გავცდეთ.

- ის პატარა პლაჟი ბუტლეგერებითაა სავსე, - თქვა ვახტანგმა, - იქ თავიანთ ნავებსა სცლიან ხოლმე.

- ზღაპარს ნუ ყვები, - დასცინა შალიკომ, - ნეტა კი გადავაწყდეთ. მინდა ხუთი-ექვსი გალონი გამოვართვა, ერთიანად ვიყიდი და იაფად გამოვალ.

დავრეკეთ საავადმყოფოში. ექიმმა ნება დაგვრთო. მანქანით მივედით ილარიონის წამოსაყვანად.

- გადავწყვიტეთ სანაპიროზე წაგიყვანოთ და კარგი ქეიფი გავმართოთ, შენი პატივისცემა გვინდა.

- სულაც არ მექეიფება.

- ცეცხლს დავანთებთ, მწვადებს შევწვავთ...

- არ მინდა.

- ძიამ, შენ რომ გიყვარს, ისეთი ავჯაფსანდალი დაამზადა.

- არ მინდა, არ მინდა! - იმეორებდა ილარიონი მოშლილი პატეფონივით.

ნაპირს გავყევით და ქალაქიდან 20-25 კილომეტრზე საუცხოო ადგილი ამოვარჩიეთ. მანქანა მინდორში დავაყენეთ და ბილიკით ჩავედით ზღვის ნაპირას. იქაურობა თეთრი, ქათქათა ქვიშით იყო დაფარული. სამი მხრიდან ციცაბო კლდეები იცავდა. უქარო ადგილი იყო, ნანატრი. ილარიონს დიდ მორებზე საბნები გავუშალეთ და დავსვით. იგი პირდაპირ ოკეანეს გაჰყურებდა.

- აბა, არ მოიწყინო! - უთხრა ვახტანგმა, - ზღვის ჰაერი ისუნთქე და უცებ გამომჯობინდები. ღრმად ისუნთქე.

ამასობაში მე და შალიკომ ფიჩხები მოვაგროვეთ და ცეცხლი დავანთეთ. ძია ვანო ნიორწყლის კეთებას შეუდგა - როდინში დარჩეული ნიორი, მარილი, წიწაკა, ქინძი და კამა ჩაყარა, ნაყვა დაუწყო და თან ძმარს უმატებდა წვეთ-წვეთად. როცა კრემივით იქცა და ჰაერი ნივრის სურნელით გაიჟღინთა, ნიორწყალი უკვე მზად იყო.

ილარიონი ავადმყოფი იყო და მწვადს პირდაპირ შამფურიდან ვერ შეჭამდა. ამიტომ ვახტანგმა რამდენიმე საუკეთესო ნაჭერი ფოთოლზე დაუწყო, მწვადს გვერდით ნიორწყალი დაუსხა და პურიც დაუტეხა. დავიწყეთ ჭამა-სმა. ნიორწყალმა ისე მოგვაშივა, რომ რამდენიმე შამფური ბატკნის ხორცი შევწვით და ორიოდე ჭიქა ღვინო კიდევ გადავკარით. ძია ვანომ ანეგდოტები გვიამბო, ვახტანგმა თავისი ჩონგური ააღულუნა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცალი თვალი ილარიონისაკენ გვქონდა. კი, მართალია, ჭამდა, მაგრამ ისე, თითქოს ჩალა უდევს პირშიო.

- არა, სასწაულები არ ხდება, - მითხრა შალიკომ, როცა მე და ის გამორიყული შეშის მოსაგროვებლად წავედით, - იქნებ, მეორედაც რომ ჭამოს, მაშინ განკურნოს მაგ ნიორწყალმა. ასეთ მძიმე შემთხვევაში, ალბათ, ორჯერაა საჭირო.

უკან რომ დავბრუნდით, შალიკომ სამშობლოს ამბები გაიხსენა - იქნებ, ილარიონი გავამხიარულოო. ორივენი ხევსურები იყვნენ, ცამდე აზიდულ პიტალოებში შებუდრულ სოფლებში ცხოვრობდნენ. ამ ხევსურებს უცნაური ზნე-ჩვეულებები აქვთ: დღემდე იმ ჩაფხუტებსა და ჯაჭვის პერანგებს ატარებენ, რომლებიც ჯვაროსნებმა დაუტოვეს. ხშირად ფარიკაობენ და თუ საჩხუბარი არაფერი აქვთ, სახუმარო ბრძოლებს მიმართავენ დროის მოსაკლავად. უმამაცესი ხალხია, მაგრამ ცოტა ჩამორჩენილი.

წინათ ილარიონს ძალიან უყვარდა ხევსურებზე საუბარი. იგი ამაყობდა, ხევსური რომ იყო და იერუსალიმის ყველა ჭიშკარში იარაღითა და გაშლილი დროშებით შესვლის უფლება რომ ჰქონდა (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არასოდეს არ უსარგებლია ამ უფლებით). ილარიონს და შალიკოს ძალიან მოსწონდათ თავი, როცა ორლესულებს აათამაშებდნენ ხოლმე ხელში. ეს ხმლები იმხელა იყო, რომ ზოგი ვერც კი დასძრავდა ადგილიდან.

- მოდი, ლაშქრული დავძახოთ. უკაცური ადგილია და არავინ შეწუხდება, აი, ისა, აკრის ალყის დროს რომ ვმღეროდით, ჰა, გინდა, ხომ გინდა? - შეაგულიანა შალიკომ.

არა, ილარიონს არ უნდოდა.

- მაშინ იმაზე რას იტყვი, ჯარი რომ შევკრიბეთ და დორილეუმი რომ გადავარჩინეთ განადგურებას. ასეთი შემთხვევა ხშირად არ გვეძლევა. რაც გვინდა, ყველაფერი შეგვიძლია შემოვძახოთ.

- არა!

- კარგი, მაშინ მე ვიმღერებ, შენ კი მოძახილი მითხარი. აბა, მოდი! „ფრანგებს ჰყავდათ დედოფალი, ელეონორა, ელეონორა...“

ილარიონის გული ვერაფრით მოიგო.

ბოლოს ისევ ვახტანგმა ააჟღერა ჩონგურის ლარები და მშვენიერი კვარტეტი გამოვიდა. მე, ძია ვანო და შალიკო ვმღეროდით. ბანს ტალღები გვეუბნებოდნენ - ბუმ, ბუმ, ბუმ...

და სწორედ მაშინ, როცა ასე ბედნიერად ვგრძნობდით თავს - ჭიქით ხელში ვუმზერდით ოქროსფრად, მწვანედ და ცისფრად მოელვარე ცეცხლის ენებს, ჩვენს უკან,

სულ ათიოდე ნაბიჯზე ტყვიამ ქვიშა აამტვერა.

- დაწექით! - იყვირა ძია ვანომ. ყველანი მიწას გავეკარით და მორს ამოვეფარეთ. კიდევ ერთხელ დაითხიპინა.

– B. B-ა, - თქვა ვახტანგმა, როცა მესამე გასროლის ხმა გაისმა, - ისიც მარტო ერთი თოფიდან ისვრიან.

- სულერთია. მაინც არ მინდა, რომ მომხვდეს, - თქვა შალიკომ, - რატომ გვესვრიან?

- რატომ? ეგენი ის ბუტლეგერებია, ბითუმად რომ გინდოდა გამოგერთმია ღვინო. მოდი, ნულარ იყიდი. იმ ფულით ვინმე მეკუბოვე იქირავე, იაფად რომ დაგმარხავს, ისეთი.

ბუტლეგერები უკნიდან მოგვეპარნენ, - თქვა ძია ვანომ, - ალბათ, გემს ელიან და ამიტომ გვანიშნებენ, წადითო.

- განა არ შეუძლიათ წესიერად ეთქვათ? - იკითხა შალიკომ, - ახლა როგორ უნდა წავიდეთ? არაფრად არ შეიძლება. უკვე გაქცევად ჩაგვეთვლება.

რამდენიმე წუთს ხმაგაკმენდილები ვიწექით მორს უკან. ცალ მხარეზე ძია ვანო მეწვა, მეორეზე - ილარიონი.

- რა ვქნათ, - დაიჩურჩულა შალიკომ, - შეიძლება შემოგვიტიონ.

ნაპირზე რაღაც ამოძრავდა. ვითომ კაცია? არა! კიდევ მივიხედე უკან - იქნებ წყალმცენარეები შრიალებენ? გარკვევით ვერაფერი გავარჩიე და ძიას გავკარი ნიდაყვი, მაგრამ იმანაც ვერაფერი დაინახა. რაღაც ლანდი მოჩანდა მხოლოდ.

- რა ვქნათ და ჩვენი წესი და რიგი გავატაროთ, - უპასუხა ვახტანგმა შალიკოს, - ერთად დავესხათ თავს და ვიბრძოლოთ. როცა ერთ-ერთი ჩვენთაგანი დარჩება ცოცხალი, იმას ისე შეუძლია მოიქცეს, როგორც გაეხარდება.

- მოვიცადოთ - თქვა ძიამ - ცოტა ხანს.

უცებ ღრიალმა ხმალივით გააპო ღამის მყუდროება.

- ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ ილარიონია, - წამოიძახა შალიკომ.

ჩემს გვერდით ხელი მოვაფათურე - არავინაა.

ნამდვილად ილარიონი იყო. იგი კვლავ ხრიალებდა. ისეთი ხმა ამოსდიოდა პირიდან, რომ კაცს სისხლი გაუჩერდებოდა ძარღვებში.

- ერთი თოფიანი დავიჭირე, - გადმოგვძახა ილარიონმა, - მომეხმარეთ, ბიჭებო, ორიღა დამრჩა, - იგი კლდის ნაპირას, ბილიკზე იდგა, ციცაბოს ნახევარი ჩაევლო. ნეტა როგორ ჩავიდა? თუმცა რა იყო მისთვის ცოცვით გაევლო მთელი კლდიანი სანაპირო, ახოხებულიყო ფრიალოზე და იქიდან დახტომოდა თავის ბუტლეგერებს. ეს ხევსურები ხო ნამდვილი ჯიხვები არიან.

ჩვენც ზევით ავცოცდით, ცოტა ხნის ძიძგილაობის შემდეგ მთელი ჯგუფი დავიჭირეთ და ქამრებით შევკარით.

- ახლა დროებითი ზავი დავდოთ, - თქვა ჩვენმა სპოუკსმენმა და უხუცესმა ძია ვანომ, - რატომ გვესროდით.

- თქვენ კანონის დამრღვეველები ხართ, - თქვა ერთმა, იგი იტალიელი უნდა ყოფილიყო, რადგან ინგლისურად კარგად ვერ ლაპარაკობდა.

- ჩვენ დავარღვიეთ კანონი? - გაიკვირვა შალიკომ, - რა სასაცილო ხარ. ერთი ამათ დამიხედეთ! იქნებ პრეზიდენტმა აკრძალა სანაპიროზე პიკნიკების მოწყობა. აკრძალა?

- დაიკარგეთ! ვიცით თქვენი პიკნიკები! - თქვა ყველაზე წარმოსადეგმა იტალიელმა და ზურგი შეგვაქცია.

- გაგიშვებდით, კარგი ბიჭები რომ იყოთ, მაგრამ რა ვიცი, კიდევ რას ჩაიდენთ, ძალიან ველურები ხართ, - უთხრა ძია ვანომ.

- არა, ლაპარაკზე დროს ნუ დავკარგავთ, - განაცხადა ილარიონმა, - უახლოეს ფერმაში მივიდეთ და პოლიციას დავურეკოთ.

- პოლიცია?! - დაიღრიალა ბრგე იტალიელმა, - რას ამბობთ? გაგიჟდით? ბუტლეგერები...

- ვინა ხართ, მე არ მეკითხება! ხალხს არ უნდა ესროლოთ. ამას, შეიძლება, მარცხი მოჰყვეს. თქვენივე ბრალია, პოლიციას რომ ვეძახით.

- თქვენ ვერ გაბედავთ პოლიციის დაძახებას, - თქვა მეორემ, ყელზე წითელ ცხვირსახოცშემოხვეულმა (მესამე ბუტლეგერი მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა - რა დაემართა, ვერ მივხვდი), - ვერ გაგვაცურებთ. პოლიცია ორი წელია დაგეძებთ, მაშინვე ციხეში გამოგამწყვდევენ. თქვენ ხომ ბუტლეგერები ხართ.

- ბუტლეგერები ჩვენა ვართ? - გაოცდა ვახტანგი, - ჩვენ კი არა, თქვენა ხართ.

- თქვენა ხართ, თქვენ, - ბრგე იტალიელი ისე გაცოფდა, რომ ხტუნვა დაიწყო, - თქვენა! თქვენ! თქვენ!

- მოითმინეთ, - თქვა ძია ვანომ, - მოდი, კარგად გავიგოთ, ვინ ვინ არის. მე ვარ კაცი, ხელობით მზარეული, სან-ფრანცისკოში მცხოვრები. აქ პიკნიკზე ჩამოვედი. ესენი ყველანი ჩემი მეგობრებია. ასე რომ, ბუტლეგერები თქვენა ყოფილხართ. ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა, არა! - თქვა ბრგე იტალიელმა, - მე ფერმერი ვარ. ესენი ორივე ჩემი მეზობლებია. კვირა ისე არ გავა, რომ განგსტერებმა აქ თავიანთი გემი არ გადმოცალონ და...

- მართალია, - ჩაურთო სიტყვა წითელცხვირსახოციანმა, - საქონელი საბარგო მანქანებით გადააქვთ და ოქროფხალას ნათესებს გვითელავენ. პურის ყანაც გამიჩანაგეს. ათასჯერ ვუთხარი, აღარ მოხვიდეთ-მეთქი, მაინც მოდიან. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა მოვიცადეთ, ვიდრე ჩვეულებისამებრ დალევდით, იმღერებდით და იღრიალებდით, შემდეგ თოფები პილპილით დავტენეთ და...

- არა უშავს რა, - თავაზიანად გააწყვეტინა შალიკომ, - შეცდომა ყველას მოუვა. ასე არაა?

მე ტყვეებს ქამრები ავხსენი.

- ზარალის საქმე როგორ იქნება? - იკითხა ბრგე ახალგაზრდამ, - ტანსაცმელი ნაფლეთებად გვექცა. თქვენმა მეგობარმა ჩემი თოფი მუხლზე გადაღუნა.

- ყველა კბილები დამაყრევინა, - წაიჩიფჩიფა ჩია კაცმა, აი, იმან, ტუჩებს რომ აცმაცუნებდა. იგი ანთებული ასანთით ხელში დახოხავდა მიწაზე. - ვერა ვფოულოფ. აი! არა, ეშ არაა. ხომ არ გადავქლაფავდი?

- კბილები დაკარგა, - გვითხრა წითელცხვირსახოციანმა.

- ღმერთო ჩემო! - შეწუხდა ილარიონი, - სულ არ მინდოდა ამის ჩადენა.

- ხელოვნური კბილებია, - დაგვაწყნარა წითელცხვირსახოციანმა, - ნამდვილი რომ ჰქონოდა, უარესი იქნებოდა.

- მაინც ძალიან ვწუხვარ, - თქვა ძია ვანომ, - თხუთმეტი დოლარი შეგვარიგებს?

კი შეგვარიგებსო, - თქვეს.

- ოკეი! აბა, ბიჭებო, ფული შეაგროვეთ, - გვითხრა ძიამ.

- არა, მე გადავიხდი, - მიუგო ილარიონმა. - ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. რამდენი წელია, ასე არა ვყოფილვარ. მე ვკისრულობ.

ერთი სიტყვით, ფული გადავიხადეთ და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

- ახლა მეგობრები ვართ! - გამოაცხადა ძია ვანომ.

- უკაცრავად, - იკითხა ჩიამ (მას კბილები ეპოვა და ჩაესვა), - ნივრიანი ხომ არაფერი გიჭამიათ.

ამის შემდეგ ყველანი სანაპიროზე ჩავედით, მწვადები შევწვით. იმ ბრგე ახალგაზრდამ, თურმე ტონი ერქვა, წითელცხვირსახოციანი შინ გააგზავნა, მინდვრის გადაღმა, „ორი დოქი წამოიღე. ამათ კარგი ღვინო მინდა დავალევინო“.

ილარიონი კი, ღმერთო დიდებულო, - ჭამდა, მღეროდა, მალაყებზე გადადიოდა, გვიჩვენა, როგორ ცეკვავენ მის სოფელში - ჯაჭვიდან აწყვეტილი ძაღლივით ხტოდა.

ბოლოს ცეცხლი ჩაიფერფლა, საჭმელი შეიჭამა, სიმღერები შემოგველია და ჩვენი ქეიფიც დამთავრდა.

- დასწყევლა ღმერთმა, - თქვა ტონიმ, როცა პირობა ჩამოვართვით, რომ შემდეგ კვირას ქალაქში გვესტუმრებოდნენ, - ასეთი მამაცი მებრძოლები ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. ალბათ, ძალიან გიყვართ ბათქაბუთქი. მან მუშტი შემოკრა ხელისგულს, - ეს, ალბათ, ჩვეულებრივი რამეა

თქვენებურებისათვის.

დილის ცხრა საათს გადასცდა, როცა ილარიონი უკან ჩავაბარეთ კოლეჯს.

- საავადმყოფოში ნუ წამიყვანთ. ჩემს ოთახში დამტოვეთ, - გვეხვეწებოდა იგი, კვიცივით კუნტრუშობდა და მზად იყო მუშაობას შესდგომოდა.

- კარგად მოეწყო საქმე, ძია, - შენიშნა შალიკომ, როცა მანქანამ ჩვენს ქუჩაზე შეუხვია, - სწორედ ისე გამოვიდა, როგორც დაგვპირდი. ნიორწყალი, თურმე, მართლა კურნავს ყველაფერს.

- ჰო, ყველაფერს. სიყვარულით დამწვარი გულის გარდა.

- მაგას რა შვილის ძია? - ვკითხე მე.

ძიამ ცერით გაისწორა ულვაში და მიპასუხა:

- მხოლოდ სამარე, ან სხვა უფრო ლამაზი ქალი.

რა არის საჭირო ბედნიერი ცოლქმრობისთვის

ელენე რომ დავნიშნე, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მეგობრებთან გავიქეცი, რომ ეს ამბავი მეხარებინა. გული ბედნიერებით მქონდა სავსე.

მაგრამ იმათ, როგორც შევატყვე, ჩემსავით არ გაეხარდათ ეს ამბავი. ვახტანგს ცხენივით დაუგრძელდა სახე, შალიკო გალურჯდა და ოთახის კუთხეში დაჯდა. ილარიონმაც კი არ დამიჭირა მხარი (ის ხომ თითქმის გაამერიკებული იყო). მარტო ძიამ ჩამომართვა უგემურად ხელი და ორიოდე სიტყვა გაიმეტა:

- ძალიან გამბედავი ყოფილხარ, ბიჭო, თუ ამერიკელ ქალს ირთავ.

- უპირველეს ყოვლისა, - დამიქნია თითი ვახტანგმა, - ამერიკელ ქალებს არ მოსწონთ უცხოური სახელები. ამიტომ სახელი უნდა შევიცვალო. ერთმა ჩემმა კარგად ნაცნობმა რუსმა ამერიკელი ქალიშვილი ითხოვა. დაქორწინებისთანავე ცოლმა სასამართლოში წაიყვანა და გერბერტ გუვერად მონათლა. უნდოდა წონა მომატებოდა მის ქმარს. ახალ არჩევნებში გერბერტ გუვერი ვერ გაიმარჯვებს და წარმოგვიდგენია რა დღეში ჩავარდება ჩემი ნაცნობი? შენც ასე დაგემართება.

- ყველაზე ცუდი ისაა, რომ ყველა ამერიკელი ქალიშვილი, რომელსაც დღემდე შევხვედრივარ, საჭმელს წიგნებით ამზადებს, - თქვა ილარიონმა.

- მოიცა, ეგ იცი, რას ნიშნავს? - განმიმარტა ვახტანგმა, - ერთიც ვნახოთ, წიგნი დაკარგა. საჭმელი ფაა-ფუ, შიმშილით უნდა მოკვდე.

- ახალ წიგნს ვუყიდი.

- კიდევ მეტს გეტყვი, - ჩამოგვერია ლაპარაკში შალიკო, - ამერიკელები ძალიან ცოტა საჭმელს ამზადებენ. თუ ორი სულია ოჯახში - ორ ბივშტექსს, სამია - სამს. ერთ ზედმეტ ულუფას არ დაამზადებენ შემოსწრებულისათვის. უცებ ვინმე რომ მოგივიდეს სტუმრად, მშიერი დარჩება. სულ ექვსი თვე არ გავა, რომ სირცხვილისაგან უფალს მიაბარებ სულს.

- მართალია, - დაუკრა კვერი ვახტანგმა, - დასაფლავების შემდეგ პურ-ღვინოც კი არ გეღირსება. იქნებ, მარტო კუბოს წამღებებს დაალევინონ თითო ჭიქა ჩაი. მე არც მოვალ.

- შენ კართან მგზავრი რომ ჩაივლის, - სადილზე ვერ მოიპატიჟებ,ამ სიამოვნებას უნდა გამოეთხოვო, - თავის ქნევით ჩაილაპარაკა შალიკომ, - თეთრად მბრწყინავი ხუთასდოლარიანი, ღილაკებიანი და სახელურებიანი მაცივარიც რომ გედგას, ერთი ზედმეტი ნაჭერი ძეხვი არ გექნება გადანახული სტუმრებისათვის.

- შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა საშინელება მოხდება შენს ოჯახში, - მითხრა ვახტანგმა, - ვერც ერთი ამერიკელი ქალი ვერა სძლებს ბოდგატსის გარეშე.

- ელენეს ძაღლი ჰყავს, ირლანდიური სეტერი. „ველიკი კნიაზი“ ჰქვია, ინგლისურად ჰერცოგს ნიშნავს. ბოდგატსი არ მინახავს იმასთან.

- ბოდგატსი დასახარჯი ფულის წინასწარ ჩამოწერას ჰქვია. ვთქვათ, უქეიფოდა ხარ. ისე, მაგალითისათვის ვთქვათ, და გინდა რუსულ კლუბში შეხვიდე, ერთი ჭიქა არაყი გადაკრა და ქაშაყის ნაჭერი დააყოლო, მადის მოსაყვანად. ამისათვის ჯერ ბოდგატსი უნდა დაწერო:

ვსვამ ვისკის - 35 ცენტი.

ვაყოლებ ქაშაყის ნაჭერს - 10 ცენტი.

- როდის აქეთ იცნობ ასე კარგად ამერიკელ ქალიშვილებს. საიდან გაქვს ასეთი ცნობები, - გავუბრაზდი ვახტანგს.

- გეყოთ, ბიჭებო, - გაგვაჩერა ძიამ. - რაკი პირობა მისცეს ერთმანეთს, აღარაფერი ეშველება. საქმე მორჩენილია, - ძია ვანომ მეორედ ჩამომართვა ხელი, - არა უშავს, ბიჭო გოგია, ოცი წელი შენი მეგობარი ვიყავი და ახლა ვეღარ დაგკარგავ.

არავის ლაპარაკს არ მივხედე და ყველაფერი მშვენივრად აეწყო. ჩემ სიცოცხლეში პირველად მქონდა ოჯახი. საუკეთესო დედა მყავდა, კაცი რომ ინატრებს, ისეთი; ლამაზი და მხიარული და, თქვენ წარმოიდგინეთ ბებიაც კი გამიჩნდა. ბევრი კი ვერ დაიკვეხნის ასეთი ბებიით - ოჯახის მშვენება იყო.

ვიღრე ქალები ქორწილის სამზადისს არ შეუდგნენ, ჩემი ცხოვრების მზით გაკაშკაშებულ ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა.

- ათი ან თერთმეტი კაცის დაპატიჟებას თუ აპირებ, - მითხრა დედამ, - და თხუთმეტიც ხომ აქაურები იქნებიან, სულ ოცდაათი ვიანგარიშოთ, მაშინ რულეტი დავაცხოთ, სამი, არა სამი კი არა, ოთხი ქათამი, სოკოები...

- ოთხი ქათამი?! - საშინელ დღეში ჩავვარდი, მაგრამ ჯობს, ახლა ვუთხრა ჩვენებურების ამბავი. სუფრას რომ შემოუსხდებიან, მერე კი გაიგებენ, მაგრამ გვიანღა იქნება.

- ძია ვანო საკუთრად ჭამს ორ ქათამს, როცა კარგ მადაზეა.

ჩემ სიდედრს სახეზე შევატყე, რომ გაოცდა.

- უფალო დამიფარე, მერე წნევა არ უწევს?

- არა, ყოველ შემთხვევაში ოთხმოცდახუთი წლის კაცის პირობაზე საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურება.

- კარგი. მაშინ ქათმები მეტი გვჭირდება. ფრანგული მუხუდო, აი, ისა, პტი პუას რომ ეძახიან. პატარა ცხელ-ცხელი ბისკვიტები, მუსი...

- მუსი ძალიან კარგი იქნება, ბარკლებიდან მწვადების შეწვა შეიძლება, ბეჭს მოვხარშავთ.

ელენეს სიცილი აუტყდა.

- მუსი ნაყინის მსგავსი საჭმელია, - ჩამჩურჩულა დამ.

- როგორც ჩანს, ვერასოდეს ვერ მივხვდები ნათქვამს.

მუსი ირმის მსგავსი ცხოველი მეგონა, მაგრამ დავა აღარ დავიწყე.

- მისმინე, ჩემო, - მითხრა დედამ, - როგორც მე მივხვდი, ასე უნდა მოვიქცეთ: შენ მოგვიყევი, როგორია საქორწილო საუზმე საქართველოში და მერე ვნახოთ, რასაც შევძლებთ, გავაკეთოთ.

- იქ საუზმით არა კმაყოფილდებიან. მთელი დღე სჭამენ.

- კეთილი, რასა სჭამენ?

- ჯერ თევზეულს. შებოლილი თართი შეიძლება. კარაქში შეპიწკინებული მთის ციმორი. მერე ზუთხი - ქორჭილას მსგავსი თევზია, სტაფილოს წვენით და დაფნის ფოთლით, სათალი, ჭიჭყინა, შემწვარი კალმახი და ორაგული - დიდი თევზია, პირში ლიმონის ნაჭერს უდებენ. შემდეგ ცოტა ხიზილალა. იქნებ ვინმეს უყვარდეს! ზედ ახალი ხახვი უნდა დააჭრან. და კიდევ...

- ზღვის ნაპირას გამართულ სადილს ჰგავს. აი, მშობლიურ მენში რომ ვაწყობდით ხოლმე, ისეთს, - თქვა ბებიამ, - თქვენებურები ასთაკვებს თუ ჭამენ?

- არა, მაგრამ არაფერი დაშავდება, თუ სამ-ოთხ ცალს დავდებთ სუფრაზე. იქნებ, ვინმემ გასინჯოს. ჩემი აზრით, თევზეული საკმარისია.

- შემდეგ რა მოდის? - იკითხა დამ, - რომელიც ფანქრით იწერდა ყველაფერს.

- საწყალი კაცის ხიზილალა, - ვუთხარი ქართულად და ინგლისურად ვუთარგმნე, - Poor man's caviar, - უამისოდ არ იქნება. იოლი საქმეა. კანიანად შემწვარ

ბადრიჯანს კოვზით ამოფხეკენ და კარგად მოსრესენ. მერე წვრილად დაჭრილ ქორფა ხახვს დააყრიან, ლიმონის წვენს და ზეთს დაასხამენ და მერე ტარხუნას, ძმარსა და ოხრახუშს უზამენ.

- ზეთი, ტარხუნა, ბადრიჯანი, - მისუსტებული ხმით იმეორებდა დედა, - თართი, ხიზილალა...

- წვნიანი შეიძლება გამოვტოვოთ, - განვაგრძე მე, - შემდეგ მოდის ხორცეული. ჯერ ინდაურის საცივი. ამის ოსტატი ძია ვანოა. მოიცა (უცებ კარგი აზრი მომივიდა თავში), თუ ნებას მომცემთ, ძია ვანოს ვთხოვ, რომ რამდენიმე დღით ადრე მოვიდეს და ყველაფერი მოამზადოს.

- რა, მზარეული ხომ არ არის? - მკითხა დედამ.

- რესტორანი ჰქონდა მრავალი წლის განმავლობაში. თქვენ ნულარაფერზე შეწუხდებით.

- კარგი, - ამოიხვნეშა დედამ, - ყოველმხრივ კარგი იქნება. გვეტყვის, რა დავამზადოთ. ელენე უყურებს და ისწავლის თქვენებური კერძების კეთებას. რაც დაჯდება, დაჯდება! რას ვიზამთ! თავიდან უნდა დაგვეჭირა ქეთერერის ვარაუდი.

„ნეტა რას ნიშნავს ქეთერერი. - ვიფიქრე გულში, - ესეც ვიკითხო? არა, თუ ეგ რაიმე კერძია, ძია უეჭველად მოახერხებს დამზადებას“.

ერთი სიტყვით, ჩვენები ყველაფერზე დავითანხმე და ქორწილამდე ორი დღით ადრე სადგურში წავედი ძია ვანოს დასახვედრად. იგი ისე იყო გარშემორტყმული ფუთებით, მუყაოს ყუთებითა და ჩემოდნებით, რომ ვუთხარი, წიწილებიან კრუხსა ჰგავხარ-მეთქი.

- რა მექნა,- მიპასუხა ძიამ,- ვერ გადავწყვიტე, რომელი ჩოხა წამომეღო. შავი, სიასამურის ქუდით, თუ თეთრი, ასტრახანული ბიხოსით. ბოლოს ორივე წამოვიღე. ჰოდა, აქ ჩემი ქვაბებია. ცოტა მწვანილიც. ასეთს აქ ვერ ვიშოვიდი, - და ძია ვანომ ათიოდე ისეთი რამ ჩამომითვალა, ურომლისოდაც სიცოცხლე წარმოუდგენელი იყო.

ყველაფერი გადმოვიტანე და მანქანაში ჩავაწყე. ხავერდის ჩანთა ძიამ თვითონ წამოიღო. მასში შემზარავი საყასბო დანები, სამართებელივით ალესილი ვიწრო სათლელები, მოღუნულწვერიანი სათულები, ნაჯახები და პატარ-პატარა უცნაური ფორმის ალმასივით მჭრელი საფხეკები იდო. ძიას მეტს არავის ჰქონდა მათი ხელის ხლების ნება - ოსტატის იარაღები იყო.

სახლში მისვლისთანავე დარბაზში შეიყვანე.

- ეს ის კაცია, საჭმელი რომ უნდა მოამზადოს? - მკითხა დედამ.

ძიას თავისი ბარგი მოჰყავდა წესრიგში, სათითაოდ იღებდა ნივთებს ფუთებიდან, მაგრამ, როცა ქალების ხმა გაიგონა, სარკეში ჩაიხედა, ტანსაცმელი გაისწორა და მეორე ოთახში შევიდა. ჯერ საერთო სალამი მისცა ყველას, შემდეგ ქალებს ჩამოუარა და ყველას სათითაოდ ეამბორა ხელზე. ბოლოს ბებიას წითელი ვარდების თაიგული მიუძღვნა, დედას დაშაქრული ხილით სავსე ატლასის ყუთი მიართვა, დას ნელსაცხებლის ბოთლი (ბაფთიანი) და მერე სიტყვა წარმოთქვა ქართულად. როცა დაამთავრა, ჯიბიდან ძვირფასეულობათა პატარა ყუთი ამოიღო ელენესათვის. შემდეგ ორივე ლოყაზე მაკოცა და დაჯდა.

ბებიამ ღრმად ჩაისუნთქა და მკითხა:

- დიდად დავალებული ვარ, მაგრამ მითხარით, რა თქვაო?

- მან მადლობა გადაგიხადათ, პატივი რომ დასდეთ და მოიწვიეთ. გისურვათ, რომ დიდხანს და თანხმობით იცხოვროთ ყველამ ამ ოჯახში. მწუხარება გამოთქვა, რომ დედა არა მყავს და მამა ჯერ არ ჩამოსულა, მაგრამ სიამოვნებით იკისრა იყოს ჩემი უახლოესი ნათესავი ყველა სავალდებულო ცერემონიალის შესრულების დროს.

- ჩვენს მაგივრად მადლობა გადაუხადე, გეთაყვა. უთხარი, უაღრესად დავალებული ვართ-თქო, - მითხრა დედამ.

- ის ამბობს, ქალები რომ საქორწილო ხორაგის გრძელი სიის კითხვით არ შევაწუხო, ხვალ მე თითონ გამოგყვებით ბაზარში. ეს ჩემთვის სიამოვნება იქნებაო. ყველაფრის არჩევაში დაგეხმარებათ.

- ჩვენ გავაგებინეთ კი რამეს? - შეწუხდა ელენეს და.

ამასობაში ძია ჯონი უკვე კარგად შეეგუა გარემოს და კითხვა გაიგო. იგი წამოდგა: „I luff, I luff you oll“, - თქვა მან და კვლავ დაჯდა.

მომდევნო დღეებში მთელი სახლი საქორწილო მზადებით იყო აფორიაქებული. სისხამ დილიდან ისმოდა არტო ნაყვის, კეპვის, თქვეფის ხმა და ღუმელის კარის ხათქა-ხუთქი. ქვაბების სახურავები ორთქლზე ცეკვავდნენ. ძია ვანო მშვენიერ დროსტარებაში იყო - ხან თაროებზე აფათურებდა ხელებს და ვერცხლის ჭურჭელს ითვლიდა, ხან უეცრად გამოხტებოდა საკუჭნაოდან და კარადიდან გადმოღებულ თეფშს ამოწმებდა, ხან კი ხანგრძლივად ჩაფიქრდებოდა და ხელში დაცლილ ღვინის ჭიქას ატრიალებდა. ამ დროს, ალბათ, ფიქრობდა, თუ რომელი ახალი კერძით გავეკვირვებინეთ.

პირველ დღეს ძიამ და ბებიამ ორიოდე მწარე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს - წიწაკის დასამჟავებელი წათხის რეცეპტზე მოუვიდათ უთანხმოება, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჩხუბის შემდეგ საუკეთესო მეგობრები გახდნენ. მეტადრე მაშინ, როცა გამოირკვა, რომ ორივეს გაგიჟებით ჰყვარებია ცერცვი, ნამცხვარი, შემწვარი და მოხარშული ხორცი, სუფი და სალათა.

მერე ქალებმა შემოიარეს და ძია ვანო თითოეულს ცალ-ცალკე უმხელდა შაქრით კომშის მოხარშვის საიდუმლოებას, ან თვითონ ეკითხებოდა რაღაც ანგელოსის ნამცხვრის დამზადების კონფიდენციალურ დეტალებს. ძია ვანოს მოსვლისთანავე სახლი სამზარეულო იარაღებით აივსო. მანამდე ძია ვანოს არც უხმარია ისინი - მჭრელი დანები ვაშლის დასაჩირავად, ყალიბები კარაქისათვის და რა ვიცი, კიდევ რა... ერთხელ, წარმოიდგინეთ, წინადადებაც კი მომცა - ყავის საფქვავი დამიშალე, მინდა გავიგო, ასე წვრილად როგორ ფქვავსო. ეს ყავის საფქვავი კი თითქმის საგვარეულო რელიქვია იყო - ელენეს დიდედის პაპას ეყიდა ჰორში.

ბუნებრივია, მე ასეთი სისულელეებისათვის ვერ მოვიცლიდი. მთელი დღეები საქორწილო წესების დაზეპირებას ვუნდებოდი, რომ კრიტიკულ წუთებში მეგობრები და სამშობლო არ შემერცხვინა. ბოლოს ეს დიადი დღეც დადგა. ცერემონიალი დამთავრდა და აი, უკვე ცოლიანი კაცი ვარ. ყველამ მოგვილოცა და გვისურვა, ერთი საუკუნე ბედნიერად იცხოვრეთო. ამის შემდეგ დადგა დრო, რომ ლამაზ, სანთლებით გაჩახჩახებულ, ვარდებით მორთულ და სანოვაგით დახორგილ მაგიდას შემოვსხდომოდით. თუმცა ზოგი ამერიკელი სტუმარი, მგონი, ძალიან გაოცდა და შეცბა ამ უცნაური საქორწილო საუზმის დანახვაზე, მაგრამ მადა არ დუკარგავთ - ყველა გაცხარებული ილუკმებოდა. არც ისეთი დამბლა დასცემიათ, რომ მეორედ, არა, სჯობს სიმართლე ვთქვა, მესამედ და მეოთხედ არ გადაეღოთ ყოველი კერძი.

ახლა ჩემს მეგობრებზე მოგახსენებთ: როცა ასეთი სუფრა ნახეს, შალიკოს ეყო ვაჟკაცობა და ბოდიში მომიხადა, და, წარმოიდგინეთ, თვით ვახტანგმაც კი მოიხარა ქედი: თქვა - ჩემი ბიძაშვილის გათხოვების შემდეგ ასეთი არაფერი მინახავსო. ასე რომ, იმ დღეს ყველა ბედნიერი ვიყავით.

ძია ვანო ქალებში ჩამჯდარიყო, ნექტარის საძებნელად გამოფრენილ ფუტკარივით ზუზუნებდა და თან წამდაუწუმ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით.

- ამგვარად, ნიგოზს კარგად დავნაყავთ, - მესმოდა მისი ხმა, - მერე დაკეპილ ხახვში ავურევთ...

- ახალ ხახვში? - მიესივნენ ქალები და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი პასუხს.

- დიახ, ქალბატონებო, ოღონდ ნუ ღელავთ, ღეროებს დავაჭრით, რადგან შემდეგ ლიმონის წვენი უნდა ვუქნათ. მერე წიწაკა...

- ტკბილი წიწაკა?

- ტკბილი, - როგორც ქალის ღიმილი, - დაუქნია თავი ძიამ, - ტკბილი, მწვანე, მრგვალი წიწაკა. შემდეგ ოხრახუში და

ქინძი - ჩვენებური მწვანილებია. და ყველა ამას ქორფა მწვანე ლობიოში შევზილავთ...

- გასაოცარია, - წამოიძახა ხუჭუჭთმიანმა ლედიმ, - ნამდვილად გასაოცარია.

- და ეს ჩვენებური მწვანე ლობიო იქნება.

სადღეგრძელოები ითქვა, ცოტა ცრემლი დაიღვარა, მაგრამ უფრო მეტი სიცილი და მხიარულება იყო. ბოლოს განშორების ჟამიც დადგა - ჩვენ ხომ სამოგზაუროდ მივდიოდით. წასვლისას, რაღა თქმა უნდა, ყველას რაღაც გაახსენდა: ელენემ სხვა კოსტუმის ჩაცმა მოინდომა, მერე საქორწილო ნამცხვარს კვლავ რამდენიმე ნაჭერი ჩამოჭრა, მერე თაიგული გადააგდო...

- ბილეთები? მატარებლის ბილეთები რა იქნა?

- ილარიონ! სად შეინახე მატარებლის ბილეთები? აბა, მარდად!

- შენს საფულეში.

კარგი ადგილი არ უპოვია ბილეთების შესანახად? მაგრამ მადლობა უფალს, მივაგენი.

და როცა უკვე წასვლას ვაპირებდი, ძია ვანომ ბოდიშით გაიყვანა ელენე დარბაზში და დიდი საიდუმლო გაანდო - ისეთი დიდმნიშვნელოვანი, რომ, მგონი, ორჯერ გაუმეორა. თაღის გადაღმიდან მომესმა ელენეს „დიახ“ და შემდეგ მეორედ „დიახ“. ბოლოს, როგორც იქნა, გავეტიეთ. ადამიანს კარგად შეუძლია აიტანოს ერთი ქორწილი. ორს კი მე, ჩემდათავად, ვერ გავუძლებდი.

- ახლა კი, - ვუთხარი ელენეს, როცა მატარებელში ჩავსხედით, - ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და მოდი, ნურაფერი გვექნება ერთმანეთისაგან დამალული. რა გითხრა ძია ჯონმა?

- ახალი რეცეპტი, - სიცილით მითხრა ელენემ.

- ღმერთო ჩემო, რისი რეცეპტი?

- თუ გინდა ბედნიერი ცოლქმრობა გქონდეთო, ჩამჩურჩულა ძია ვანომ ყურში, სულ ცოტა, დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენ ქმარს, მიყვარხარ-თქო, და როცა ქართველებისათვის აწყობ სუფრას, არ დაივიწყო, უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათო.

ვიცინი, მაგრამ ხმადაბლა

მაგრამ ამ საქმეს საუკეთესო რჩევადარიგებაც კი ვერ შველის - ამერიკელ ქალიშვილს მაინც ძალიან უჭირს უცხოელის ცოლობა. სხვა ზნე-ჩვეულებათა შეთვისება, სხვანაირ საჭმელზე მიჩვევა, სხვა ენის შესწავლა...

მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებად შეიძლია ვთქვა, რომ ჩემმა ცოლმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი სიძნელეებს: ისწავლა აჯაფსანდალის გაკეთება, დაოსტატდა მჭადის გამოცხობაში, ორიოდე ქართულ სიტყვას ამტვრევდა და ქართველებსაც დაუამხანაგდა. ოღონდ ისინი (ძია ვანოს გამოკლებით), იმდენი ხნის ჩამოსულები იყვნენ, რომ უკვე ამერიკულ ყაიდაზე ცხოვრობდნენ.

ელენემ მხოლოდ ერთხელ წაიტეხა ფეხი და რომ მახსენდება, ახლაც მეცინება. ოღონდ, როცა ელენე მიყურებს, ვცდილობ, არ შემამჩნიოს.

ცოლის შერთვამდე ცოტა ხნით ადრე ერთმა გამოგონებამ გამიმართლა. მთელი ჩემი სიცოცხლე რაღაც-რაღაცეებს ვიგონებდი, მაგრამ ისე, გასართობად. ათიოდე წლისა ვიყავ, როცა ხის თოფი გამოვიგონე ხისავე ტყვიებით და კურდღელი მოვკალი. ომის დროს ჩემი ერთადერთი სიამოვნება ჩვენი ჯაბახანა მანქანები იყო. ისეთი უხეირო ნაკეთები გახლდათ, სულ მცირე შესწორება უკვე გამოგონებად ჩაითვლებოდა.

მე გამოვარკვიე, რომ ამერიკაში პირდაპირ გიჟდებიან გამოგონებებზე, განსაკუთრებით ისეთი მანქანის გამოგონებაზე, რომელიც მუშაობს, და ულაპარაკოდ იხდიან მასში დიდძალ ფულს.

იცით, რა არის მთელი საიდუმლოება? - ან უნდა გაამარტივო რთული მანქანა, ანდა პირიქით, გაართულო მარტივი, რომ იგი რაღაც არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი ეგონოს კაცს.

დაქორწინებიდან ცოტა ხანი რომ გავიდა, ასლის გადასაღები ქაღალდით დავინტერესდი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც საინტერესო არა იყო რა.

ორიოდე კვირის შემდეგ ნიუ-იორკიდან ილიკოს წერილი მივიღეთ:

„ერთი ქართველი ყოფილა ნორთ კაროლინაში - ბესო ფეხშიშველაშვილი. მრავალი წელია იქა ცხოვრობს. დიდი ხნის ჩამოსულია, ოღონდ არავინ იცის მისი ადგილსამყოფელი. სადღაც გაქრა. ახლა, რადგან მეზობლები ხართ, შენი მოვალეობაა, იპოვო...“

ელენეს ვუთხარი: „ამ დღეებში, როგორც კი მოვიცლით, ბესო ფეხშიშველაშვილის სამებნელად უნდა წავიდეთ-მეთქი“. ოღონდ ჯერ გადასაღები ქაღალდი უნდა დამემთავრებინა. ამას გარდა, თავი ახალი სახის, წყალგამძლე ცემენტით მქონდა გამოტენილი და ისიც უნდა გამომეცადა.

ერთ დღეს გაზაფხულის სუნთქვა ვიგრძენი. ვირჯინიაში რაღაც საოცრად ლამაზი გაზაფხული იცის. სულ ერთ კვირაში მინდორ-ველი ლურჯად მოლივლივე სუმბულებით იფარება, ხეთა ჩეროში იები მოელვარე, წინწკლებიან ხალიჩას ქსოვენ, ყველგან, სულ ყველგან ფიჭვის სურნელი დატრიალდება ხოლმე.

- სწორედ თავგადასავლების შესაფერი ჟამი დადგა, - ვუთხარი ელენეს, - რა იქნება, რომ ბესოს მონახვა ვცადოთ?

სახლი გამოვკეტეთ, ძაღლები ჩამოვიყვანეთ, მანქანაში ჩავსხედით და გზას გავუდექით. ილიკოს წერილიდან დაახლოებით ვიცოდი იმ ბესოს ადგილსამყოფელი. პატარა ქალაქი იყო, დურჰამის აღმოსავლეთით C თუ K იყო პირველი ასო. მატარებელი არ უდგებოდა. გვერდით მდინარე ჩაუდიოდა.

ელენემ ცნობარიდან ამომიწერა ასეთი ქალაქები, მაგრამ თან დაიჩივლა - როგორ ვიპოვოთ, კარდაკარ ხომ ვერ ვივლითო?

- საუკეთესო რესტორანს ვიპოვი და გამგეს ვკითხავ. ქართველი კაცი თუა და ქალაქში ცხოვრობს, დროდადრო რესტორანში უნდა იქეიფოს, თუნდაც სულ მარტოდმარტომ.

პირველი ორი დღე ელენეს ამოწერილ თითქმის ყველა ქალაქში ვიყავით, მაგრამ ბედმა არ გაგვიღიმა. მესამე საღამოს ერთი მოხუცი კაცი მიგვასწავლეს. ის კაცი უნდა ყოფილიყო, ჩვენ რომ ვეძებდით. მივედით, მაგრამ ყარსელი სომეხი გამოდგა. სამოცი წლის წინათ დაუტოვებია სამშობლო.

ორიოდე საათი ვისტუმრეთ ამ სომხის ოჯახში, მისი თავგადასავალი მოვისმინეთ, ფოტოსურათები დავათვალიერეთ, მისიანები გავიცანით და ერთი ბოთლი დუბიკა დავლიეთ. ძირ-ტკბილას მოგაგონებს, ოღონდ სპირტიანია. მე თუ მკითხავთ. გემო სახელზე უკეთესი არა აქვს. სომეხს ვკითხე, ოდესმე ვინმე ბესო ფეხშიშველაშვილს ხომ არ გადაყრიხართ-მეთქი. არაო, მითხრა, - მაგრამ, ამბობენ, მეზობელ ქალაქში (აქედან ორმოცდაექვსი მილია) ვიღაც უცხოელი ცხოვრობსო. ოღონდ, მან არ იცოდა, საიდან იყო ჩამოსული ეს უცხოელი, პენსილვანიდან, რუსეთიდან თუ მთვარიდან. ამ სომხისათვის ყველა უცხოელი იყო და ამიტომაც დღემდე არ მონდომებია მისი ნახვა.

გადავწყვიტეთ, კიდევ გვეცადა ბედი. დავიძარით და საღამომდე ძლივს მივაღწიეთ ქალაქს.

მისი ნიშნები ილიკოს მონაწერს არ დაემთხვა: არც „C“-ზე იწყებოდა არც „K“-ზე, და არც დურჰამის აღმოსავლეთით იყო. თანაც მდინარის მხოლოდ ნახევარი ჩაუდიოდა გვერდზე (მეორე ნახევარი შარშანდელ ზაფხულში ამომშრალიყო).

გზაზე ვიღაც ზანგი მისეირნობდა. მანქანა გავაჩერე და ვკითხე, მავანი და მავანი კაცი ხომ არ იცი-მეთქი.

- დიახ, - მიპასუხა მან მჟღერი ხმით (ამ ზანგებს ისეთი ხმა აქვთ, თითქოს ვერცხლის თასიდან თაფლი იღვრებაო), - ერთი რაღაცნაირი კაცი ცხოვრობს შარაგზის ბოლოს სახლში. ამერიკელი არაა. მარჯვნივ მოუხვიეთ, მერე მარცხნივ.

როგორც იქნა, მივაკვლიეთ იმ სახლს. მთლად ჩაბნელებული იყო. კარგა ხანს ვაბრახუნე, მაგრამ არავინ გამოგვხედა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში


ᲗᲣᲯᲐ
ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
ᲒᲐᲯᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲒᲚᲘ
ᲓᲐ ᲑᲔᲠᲐᲫᲓ ᲐᲯᲙᲕᲔᲪᲘᲡ
ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

- ანუ ერთმანეთი იმ დღესვე არ გაგიცნიათ?

- არა, ეს მოგვიანებით მოხდა. ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი, მსახიობი თეა გაბუნია რუსთაველზე ვსეირნობდით. „ივერიის“ წინ მდებარე ატელიის ვიტრინისკენ რომ გავიხედე, ჩემი ყურადღება ერთმა ფოტომ მიიქცია. - თეა, შეხედე, რა კარგი ბიჭია-მეთქი, - ვუთხარი. მაგ ფოტოზე აი, ეს ბიჭი არისო, - მითხრა მეგობარმა და იქვე მდგარი გუჯი გამაცნო; თურმე, ამ დროს გუჯა იქვე ტრიალებდა, თეა კი მას კარგად იცნობდა.

- ფოტოზე ვერ იცანით ის ბიჭი, რომელიც ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში მოგეწონათ?

- ვერა, ვერ ვიცანი, მაგრამ როცა თეამ მითხრა, - გაიცანი, გუჯი ბურდულიო, მერე ისიც გამახსენდა, რომ ის ბიჭი იყო, რომელიც ინსტიტუტში ვნახე და მომეწონა.

- ამის შემდეგ თქვენი ურთიერთობა როგორ აეწყო?

- ინსტიტუტიდან რომ გამოვდიოდი, ვითომ შემთხვევით, ქუჩაში მხვდებოდა - წინ მე მივდიოდი, უკან გუჯი მომყვებოდა; მერე ჩვენ შორის მანძილი თანდათან დამოკლდა... გუჯი მეტისმეტად სუფთა, ხალასი ბუნების მთიული მამაკაცია. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დაიბადა და გაიზარდა, სისხლის ყივილი მის ბუნებაში ვიგრძენი.

- და შეგიყვარდათ, არა?

- ასე მოხდა! შეყვარებულობის პერიოდში იყო გაბუტვები, შერიგებები...

- რაზე ჩხუბობდით?

- ეჭვიანი იყო და ვიდრე სახლამდე მიმაცილებდა, 4 კაცს მაინც სცემდა ხოლმე; ქუჩაში ვინმე თუ შემომხედავდა, მისი საქმე წასული იყო. გამოგიტყდებით და ამაზე დიდად არ ვნერვიულობდი, მეტიც - ეს ყველაფერი მომწონდა კიდეც... გუჯი სიტყვაძუნწიც გახლდათ. მას ერთხელაც არ უთქვამს, - მიყვარხარო, მაგრამ ამას მისი გამოხედვით, ქცევით, შეხებით ვგრძნობდი. მოგვიანებით იცით, რა მითხრა? - ბიჭი რომ არ გვყოლოდა, ბოლომდე ერთად ვერ ვიქნებოდით, ჩვენი ოჯახი დაინგრეოდაო. გავგიჟდი, - ამ დიდ სიყვარულს დათმობდი, ამას მართლა ამბობ-მეთქი? - დავთმობდიო! - სრული სერიოზულობით მიპასუხა. მთიულებში ბიჭის ანუ გვარის გამგრძელებლის კულტი დღემდე არსებობს. გუჯი ძალიან განიცდიდა, რომ ყველა ჩვენი შვილიშვილი გოგონა იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ბაკურს და მის მეუღლეს ვაჟი, პატარა გუჯა ბურდული შეეძინათ, რამაც ყველანი გაგვახარა. სხვათა შორის, ბაკურის ცოლიც თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს.

- როგორც ვიცი, თქვენ საქართველოში პირველი ფოტომოდელი იყავით...

- იმ პერიოდში, როცა ინსტიტუტში ვსწავლობდი, თეატრალურის რექტორი ილია თავაძე იყო. ერთ დღეს ის სერგო ზაქარიაძესთან და ერთ უცნობ პიროვნებასთან ერთად ინსტიტუტის შესასვლელთან იდგა. დილის 9 საათია, სტუდენტთა ნაკადი და მათ შორის მეც სასწავლებელში შევდივართ. მახსოვს, ზაქარიაძემ ყველასგან გამომარჩია, ხელი ჩემკენ გამოიშვირა და თავაძეს უთხრა, - აი, ეს გოგონა დავტოვოთო. ბიჭებიდან კი კახი კავსაძე შეარჩიეს. როგორც აღმოჩნდა, სატელევიზიო ტელენოველისთვის შეგვარჩიეს და ფოტოები გურამ თიკანაძემ გადაგვიღო. იმ პერიოდში მოდაში იყო ფოტოკონკურსები, რომლებიც საზღვარგარეთ ტარდებოდა და საერთაშორისო არენაზე ჩვენი ფოტოების გატანა ჟურნალ „დროშის“ მეშვეობით ხდებოდა. სხვათა შორის, გურამის გადაღებულმა ჩემმა ფოტოებმა არაერთ კონკურსში გაიმარჯვა. მახსოვს, გოჩა აბაშიძე მეუბნებოდა, - შენ „ფოტოზვეზდა“ ხარ, მე - „კინოზვეზდაო“. მაშინ გოჩას ბევრ ფილმში იღებდნენ.

- საბოლოოდ, თქვენ უარი თქვით არა მარტო ფოტომოდელობაზე, არამედ მსახიობის პროფესიაზეც...

- აბა, მთიული კაცი მსახიობი მეუღლის გვერდით იცხოვრებდა? თანაც, გუჯის დედას ახლობლები ეკითხებოდნენ, - ოლღა, შენი სარძლო მსახიობიაო? - მსახიობი კი არა, ისტორიკოსიაო, - იტყუებოდა ოლღა. არაერთმა რეჟისორმა მიმიწვია ფილმში გადასაღებად, მაგრამ ყველას უარს ვეუბნებოდი.

- გული არ გწყდებოდათ?

- არა, ეს ნებაყოფლობითი მსხვერპლი იყო; ოღონდ გუჯი გამეხარებინა და რაც მას უნდოდა, იმას ვაკეთებდი. თანაც, როცა ცოლობა მთხოვა, ისიც დასძინა, რომ ოჯახის შექმნის შემთხვევაში შინ უნდა ვმჯდარიყავი, მისთვის მომევლო და ბურდულების გვარის გამგრძელებლები გამეჩინა... მაშინ გუჯი „გეპეიში“, სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლობდა და კინოში წასვლა აზრადაც არ ჰქონდა. მართალია, რეჟისორების ინტერესს ყოველთვის იწვევდა, მაგრამ მისი „აზიატი“ ბუნების შესახებ ყველამ იცოდა და როლის შეთავაზებას ვერ უბედავდნენ. არის ასეთი პიროვნება, სიომა გასპაროვი, რომელიც „ვგიკის“ (კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი) დამთავრების შემდეგ, ოდესის კინოსტუდიაში გაგზავნეს. სიომა ჩვენთან მეგობრობდა და პირველმა სწორედ მან გაბედა გუჯისთვის როლის შეთავაზება, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: - წადი, თავი დამანებე, თორემ ერთს მოგადებო...

სიომამ ფილმის გადაღება მძღოლების ცხოვრებაზე დაიწყო. სცენარის მიხედვით, ისინი საქართველოშიც უნდა ჩამოსულიყვნენ. სამხედრო გზაზე მასპინძლები მთიუ-

მათი სიყვარულის ამბავი რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა გოგონამ, ინესა აბესაძემ სასწავლებელში უცხო ყმაწვილი შენიშნა, მოეწონა და მეგობარს, გოჩა აბაშიძეს უთხრა, - შეხედე, რა კარგი ბიჭიაო. გოჩამ უცხო შეათვალიერა და მისი გადაბმული წარბების დანახვისას გოგონას გადაულაპარაკა: - არაფერი უთხრა, თორემ ისე იბღვირება, ორივეს გვცემსო. თურმე, ეს სიტყვები ბიჭმაც გაიგონა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება გადაიფიქრა... მაგრამ წლების შემდეგ გუჯა ბურდული და ინესა აბესაძე ერთმანეთს ისევ შეხვდნენ...

ლები იყვნენ და გუჯი სიომას მეგობრულად დაეხმარა, ორგანიზაციული საკითხები მოუგვარა. ერთ დღეს მწყემსებმა სტუმრებისთვის ცხვარი დაკლეს და სუფრა მინდორში გაშალეს. სიომამ გუჯის სთხოვა, - იმღერეო, ოპერატორი კი წინასწარ გაფრთხილა: ეს სცენა ისე გადაიღე, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდესო. როცა გუჯა სიმღერას მორჩა, მხოლოდ ამის შემდეგ გაუმხილა, - თუ გინდა, მომკალი, მაგრამ ეს ეპიზოდი გადაღებულია და ფილმშიც შევაო. აი, ასე შედგა მისი კინოდებიუტი ფილმში - „რეისი პირველი, რეისი უკანასკნელი“ ამის შემდეგ კი მიწვევა არაერთი რეჟისორისგან მიიღო. გუჯი სცენარებს მე მაკითხებდა და გმირი თუ არ მოეწონებოდა, როლზე უარს ამბობდა. ერთ დღეს შეთავაზება თემურ ბაბლუანისგანაც მიიღო და „ბელურების გადაფრენაში“ მონა-წილეობაზე თანხმობა მაშინვე განაცხადა, გმირის ხასიათი მოეწონა.

- ამბობენ, ბელურა მიჩვეული ჰყავდაო...

- გადაღებების დროს გუჯი ბელურას ეფერებოდა და გულის ჯიბით დაატარებდა. ერთ დღეს ფრინველი ჯიბიდან ამოუყვანია, ქურთუკი კი მიწაზე დაუგდია და სადღაც წასულა. ვიდრე მობრუნდებოდა, ბელურა თავის „ბინაში“ დაბრუნებულა, რაც ცხადია, გუჯიმ არ იცოდა და თურმე, პირდაპირ ქურთუკზე წამოწვა, ბელურა გაჭყლიტა; ამ ამბის გამო გუჯა დიდხანს ნერვიულობდა...

გუჯის ცხენებიც ძალიან უყვარს. მახსოვს, კინოსტუდიაში ჰყავდათ არაბული ჯიშის ცხენი - სატრაპა. როცა დავით აღმაშენებლის როლი ითამაშა, იქაც ამ ცხენზე ჯდა, ძალიან უყვარდა და როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა, მის სანახავად მიდიოდა, ცხოველისთვის შაქრის ნატეხები მიჰქონდა. კინოსტუდიაში ამბობდნენ: როცა სატრაპა მოკვდება, ეზოში დიდი ორმო გავთხაროთ და დავასაფლაოთო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ამაზე აღარავის უზრუნია. იმ პერიოდში გუჯი ქალაქში არ იყო, გადაღებაზე გახლდათ წასული და როცა თბილისში დაბრუნებულმა სატრაპას სიკვდილის ამბავი გაიგო, ლამის გაგიჟდა...

- გუჯა ბურდული სტიქაროსანია. საინტერესოა, სტიქარით პირველად როდის შეიმოსა?

- დედაჩემი, ისევე როგორც მისი თაობის უმეტესობა, ათეისტი იყო. მართალია, ბებიაჩემი თავადის ქალი გახლდათ და სახარება ზეპირად იცოდა, მაგრამ დედაჩემზე გავლენა ვერ მოახდინა. მეტიც, როცა ბებია შვილიშვილებთან რელიგიაზე იწყებდა ლაპარაკს, დედა შეშინებული, განწირული ხმით საყვედურობდა, - ესენი ამას სკოლაში იტყვიან და დავიღუპებითო...

დედა აღდგომა დღეს გარდაიცვალა. მაშინ ქვეყანაში ამდენი სასულიერო პირი არ მოღვაწეობდა და ისე მოხდა, რომ წესის ასაგებად მღვდელი ვერ ვნახეთ. მერე ახლობელმა გვანუგეშა, - შეგიძლიათ, ეს რიტუალი საფლავზე გასვლის დღესაც ჩაატაროთო. მღვდელი ვერც ამ დღისთვის მოვიძიე და გუჯას ვთხოვე, - გაიარე, იქნებ რომელიმე ჭირისუფალს მოძღვარი მოყვანილი ჰყავდეს და ჩვენთანაც მოვიდეს-მეთქი. გუჯა წავიდა, მაგრამ მოსვლა ძალიან დააგვიანა. ბოლოს, მღვდელთან ერთად გამოჩნდა. თურმე, მამა იოანე ვაკის სასაფლაოზე, დედის საფლავის საკურთხებლად ყოფილა მოსული, მაგრამ გუჯის გამოჰყვა... საფლავის კურთხევის შემდეგ მოძღვარს მადლობა გადავუხადეთ და გარკვეული თანხის მიცემა დავაპირეთ, მაგრამ იუარა, - მე ამ ადამიანს იმიტომ გამოვყევი, რომ გუჯა ბურდულია და ფულს არ ავიღებო! თან, დასძინა: - ტაძარში წირვაზე თუ დადიხართ? მე სიონის ტაძრის წინამძღოლი ვარ და მადლობის თქმა თუ გინდათ, ტაძარში მოდით, წირვას დაესწარით, ეს ჩემთვის გადახდილი ყველაზე დიდი მადლობა იქნებაო...

კვირადღეს სიონში წავედით. წირვას პატრიარქი ატარებდა. ცოტა ხანში გუჯის სტიქაროსანი მიუახლოვდა და უთხრა, რომ მოძღვარი საკურთხეველში იხმობდა. გუჯი მოკრძალებით შევიდა. მამაოს უთქვამს, - თუ სურვილი გაქვთ, ეკლესიას ემსახუროთ, განცხადება უნდა დაწეროთ, მოიტანოთ და პატრიარქი სტიქაროსნად გაკურთხებთო. ერთ მშვენიერ დღეს პატრიარქმა მართლაც, სტიქაროსნად აკურთხა და დალოცა... სხვათა შორის, თურმე გუჯის 6 წლამდე გერმანელი ქალბატონი - მარია უვლიდა და ყოველთვის, როცა ბავშვი სასეირნოდ გაჰყავდა, სახლთან ახლოს მდებარე წმინდა ტვერელის სახელობის ეკლესიაში შეჰყავდა, წირვას ასწრებდა. მოკლედ, ძიძამ გუჯის რწმენა ჩაუნერგა...

- მინდა, შვილებზეც გკითხოთ...

- (მაწყვეტინებს) ისინი არაორდინარული ადამიანები არიან.

- ეს რამ განაპირობა?

- გუჯის ბრალია! ახალგაზრდობაში ისიც უცნაურად ჩაცმული დადიოდა - დაბალსათავიან შარვლებს ატარებდა, დიდბალთიანი ქამრით, ჩაჩაჩული ჯინსით დადიოდა და რა გასაკვირია, რომ მის შვილებსაც უცნაური გემოვნება აქვთ?! ლადო პირველი იყო, ვინც თბილისის ქუჩებში შორტით, უცნაური ვარცხნილობითა და საყურით გაიარა.

- და ცხოვრების განსხვავებული სტილის გამო, უსიამოვნო სიტუაციაშიც არაერთხელ ჩავარდნილა, არა?

- დიახ, მის ცხოვრებაში იყო ბევრი დაპირისპირება, ჩხუბი, მაგრამ ლადოს არავისი ეშინოდა, რადგან პირველ რიგში, საკუთარ თავთან იყო მართალი. ის ბევრ გოგოს მოსწონდა, მაგრამ ამით ბოროტად არასდროს უსარგებლია... კარგი შვილები გვყავს, მაგრამ გვსურდა, უკეთესები ყოფილიყვნენ. ბაკური ნიჭიერთა ათწლედში სწავლობდა, მაგრამ შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარა. მეორე კურსზე იყო, როცა თქვა, - მე მამაჩემისნაირი მსახიობი ვერ გამოვალო და საბუთები საოპერატოროზე გადაიტანა. საბოლოოდ, ის ლადომ მუსიკისკენ „გადმოქაჩა“.

- თავად როგორ აფასებთ მათ შემოქმედებას?

- შევეგუე. ლადოს მაინც ეტყობა, რომ კონსერვატორია აქვს დამთავრებული.

- ახალ მელოდიას პირველად მამას ასმენინებენ?

- ბაკურს ვეუბნები ხოლმე, - როცა რაღაცას გააკეთებ, პირველად მამას და ლადოს მოასმენინე-მეთქი, მაგრამ მპასუხობს: ამათმა თუ შემისწორეს, მაშინ მათი მუსიკა იქნება და არა - ჩემიო...

- ბატონი გუჯა როგორი მამაა?

- იდეალური! ბაკური და ლადოც მას ჰგვანან, თავადაც ძალიან თბილი და ყურადღებიანი მამები არიან.

- საინტერესოა, რაზე კამათობენ ხოლმე?

- ეს იმდენად იშვიათად ხდება, რომ არც კი ვიცი, რა გითხრათ... ოჯახში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას ბოლო სიტყვა გუჯის ეკუთვნის, ის ერთმმართველია. ყველაზე დამთმობი და განათლებული ლადოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 4 ცოლი გამოიცვალა (აქედან ორი ოფიციალური მეუღლე იყო). სხვათა შორის, მისი პირველი მეუღლე გერმანიაში გათხოვდა, გუშინ ახალ ქმართან ერთად ჩამოვიდა და საჩუქრად აი, ეს შარფი ჩამომიტანა... ლადოს ახლაც არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს - ქეთი მათეშვილი, რომელიც ინგლისური ენის სპეციალისტია.

- ლადოს ყოფილ მეუღლეებთან როგორი ურთიერთობა აქვს?

- ყველას ჰპატრონობს, თითოეული მათგანის უახლოესი მეგობარია!

- მათ მეუღლეებთანაც მეგობრობს?

- აბა, რა და მათ სახლშიც ეპატიჟება ხოლმე... ლადოს ერთ-ერთ ყოფილ მეუღლეს, რომელიც ამერიკელი გახლავთ, ჰეიზერა ჰქვია. თავიდან მისი სახელი ვერ დავიმახსოვრე და ეთერას ვეძახდი.

- არ სწყინდა?

- არა! სხვათა შორის, ის ოდრი ჰეპბერნს ჰგავს... ლადოს ქალიშვილი - თეჯი ლონდონში გათხოვდა. სიძეს ბარნი ჰქვია. მართალია, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ 27 წლისაა და ბი-ბი-სის თანამშრომელია. მათ თბილისში, ინგლისურენოვანი ქორწილი გადავუხადეთ. კიდევ კარგი, ჩემ გვერდით მაკას შვილი, აკაკო ოჯდა და ყველას ნათქვამს

მითარგმნიდა, თორემ ვერაფერს გავიგებდი.

- მაკა საკმაოდ წარმატებული რეჟისორია. მისმა ფილმმა, რომელშიც მშობლები გადაგიღოთ, კანის ფესტივალზე 10-ჯერ ჩვენების უფლება მოიპოვა.

- მაკამ „ვგიკში“ სწავლისას მიიღო დავალება, გადაეღო ფილმი მეორე მსოფლიო ომის თემაზე. მან მთავარი როლებისთვის მე და გუჯა შეგვარჩია და გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფოტოფილმი, რომლისთვისაც სურათები პოლონელმა ფოტოგრაფმა გადაგვიღო. ამ ნამუშევარმა კანის ფესტივალზე 10-ჯერ ჩვენების უფლება მოიპოვა, მაკა კი ევროკინემატოგრაფისტთა კავშირის წევრად მიიღეს... ის ახლა მუშაობს ფილმზე, სადაც გრიგოლ ფერაძის ცხოვრება იქნება ასახული; კათოლიკოს-პატრიარქთანაც ჰქონდა შეხვედრა და ფილმში უწმინდესის საგალობლების გამოყენების ნებართვა ითხოვა. სხვათა შორის, ფერაძის როლში გუჯი იქნება.

- გუჯა ბურდული სტიქაროსანია ანუ შეიძლება, ერთ დღეს ბერადაც აღიკვეცოს?

- ბურდულები რამდენიმე შტოდ იყოფიან, გუჯა კი ჯეჯიაანთ კარის ბურდულების შთამომავალია. არსებობს ასეთი ლეგენდა: წლების წინ მთიულთა სოფლებს მტერი შესევია და თურმე, ხალხს საქეიფოდ ხარის დაკვლას, გასართობად კი ახალგაზრდა გოგონას მიყვანას სთხოვდნენ; უარის შემთხვევაში, მტერი მთელი კუთხის გადაწვით იმუქრებოდა. როცა 9 ძმა ბურდულის „მასპინძლობის“ ჯერი დამდგარა, მამაკაცებს უთქვამთ: ყველანი ერთ დღეს გავწყდებით, მაგრამ ჩვენს ერთადერთ დას თითსაც ვერავინ დააკარებსო და მომხდურის დასახვედრად დაუწყიათ მზადება. მთელი მთიულეთი დიდველის ვაკეზე შეკრებილა, ბურდულების თაოსნობით თხრილები გაუთხრიათ, ზედ კი ხის სარები გაუდვიათ, ბალახი დაუტკეპნიათ... იმ დღეს დიდი ბრძოლა გამართულა, მომხდურნი თხრილებში ცხენებიანად ჩაცვენილან და 7 ათასიდან ცოცხალი მხოლოდ 7 მეომარი გადარჩენილა. ამის შემდეგ მთიულებს დაუწყიათ ფიქრი იმაზე, თუ რით დაესაჩუქრებინათ ბურდულები. ძმებს მოუთხოვიათ, - ჩვენ ლომისის წმინდა გიორგის ტაძრის მომსახურე ხალხი ვიქნებით! დაე, დეკანოზი ყოველთვის ჩვენგან აირჩესო. მთიულებს ძმების სურვილი აუსრულებიათ და თან დაუმატებიათ: „ქალი უშურველი, სუფრა უწევარი“ ანუ მას შემდეგ ბურდულებს ნებისმიერ სუფრაზე დაუპატიჟებლად შეეძლოთ მისვლა და ვერც იმას გაბედავდა ვინმე, რომ მათთვის ქალი არ გაეტანებინა... გუჯას ბერად აღკვეცის სურვილი აქვს და ალბათ, დადგება დრო, როცა წინაპრების მსგავსად, ისიც ლომისის წმინდა გიორგის მსახური გახდება.

თამუნა კვინიკაძე



მამული

შემეცნებით-საზოგადოებრივი ჟურნალი ამერიკაში

№3(77) აპრილი, 2015

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კაჭახიძე**
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

გარეკანზე:
„ფესვების“ ბელურები -
გია მელიქიშვილის ფოტო-ეტიუდი

ჩვენი სარედაქციოთ: **ასავად-დასავალი**
მოგვწერეთ: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com

„მამულის“ მეგობარია:

კომპიუტერების ექიმი

www.mycompwiz.com; 1-908-361-9590 აკაკი ჯიქია

ვირუსისგან გაწმენდა

თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კომპიუტერი არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ადრე, შესაძლებელია კომპიუტერი ინფიცირებული იყოს ვირუსებისგან, Malware,Spam ან კიდე keylogger ისგან, რომელსაც ესაჭიროება გაწმენდა;

სადენის შეკეთება

ხშირ შემთხვევაში ლეპტოპის სადენი ზიანდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეუძლებელი ხდება ბატარეაზე დენის მიწოდება. ესაჭიროება შეკეთება;

მიკროსისტემების გამოცვლა

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ლეპტოპს ან დესკტოპს გამოვუცვალოთ დაზიანებული მიკრო-სისტემა და დავაბრუნოთ მუშა მდგომარეობაში;

კლავიატურის გამოცვლა

თუ თქვენს ლეპტოპს ესაჭიროება კლავიატურის გამოცვლა, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ ნებისმიერი მოდელის კლავიატურის გამოცვლაში. თუ ფიზიკურად არ ხერხდება ჩვენამდე მოსვლა, დაგეხმარებით საფოსტო მომსახურებით;

ფენის გამოცვლა

თუ თქვენი ლეპტოპი ითიშება ხშირად უმიზეზოდ, შესაძლებელია ფენი იყოს დაბინძურებული ან გამოსაცვლელი. გათიშვის მიზეზი შესაძლებელია გადახურებამაც გამოიწვიოს და თავისით გაითიშოს დაცვის მიზნით. მოულოდნელმა გათიშვამ შეიძლება ვინჩესტერიც დააზიანოს, ამისათვის დროულად უნდა შეკეთდეს;

ეკრანის გამოცვლა

არასწორმა მოპყრობამ ადვილად შესაძლებელია ლეპტოპის ეკრანი დააზიანოს და საჭიროებს გამოცვლას;

ფაილების აღდგენა

ფაილების დაკარგვის შემთხვევაში, ვინჩესტერის გაფუჭების, „USB flash drive“, „External hard drive“, „IDE“, „SCSI hard drive“, „SSD“ ჩვენი პარტნიორის ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს,რომ მოვიპოვოთ ის დაკარგული ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივი „recovery“ პროგრამა ვერ აკეთებს;

* * *

ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით, თქვენთან მოუსვლელად დავუკავშირდეთ კომპიუტერს.

ჩვენი მომსახურება გარანტირებულია, ვინაიდან პროფესიონალურად ვეკიდებით ჩვენთვის დაკისრებულ მოვალეობას და შესაბამისად, მომხმარებლებიც ბედნიერია ჩვენით.

დაზღვევა უკვე შესაძლებელია შენთვისაც!

მარინა ორჯონიკიძე

სადაზღვევო აგენტი

PA, NJ & NY

გთავაზობთ ყფასო მომსახურებას შემდეგ სახეობებში:

- ☑ ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ☑ სიცოცხლის დაზღვევა;
- ☑ სტომატოლოგიური და ოფთალმოგიური დაზღვევა;
- ☑ შემოსავლის დაზღვევა;
- ☑ დაზღვევა 65 წლამდე და 65 წლის ზემოთ (**Medicaid, Medicare**) და მრავალი სხვა.

Cell: 610-812-3377; Office: 610-666-0737; Fax: 484-318-7641
200 Berwyn Park Rd, #320. Berwyn, PA 19312

არის!

თონე-კაფეს ახალი უკვე მანჰეტენზე

პირველი სწრაფი კვების ქართული ობიექტი ამერიკაში

134 E 17th st, New York, NY 10003 Tel: 212-882-1199